რუსეთის ხელისუფლება საქართველოსთან დაპირისპირებას ერიდება A3
"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3
კვირის TV-პროგრამა B7

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
პარასკევი, 4 აპრილი, 2003 წელი. №92 (304)
ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

შრომის პარტიის ლიდერმა გაერო-ს რეფორმის პროექტი შეიმუშავა

"გაერო კონფლიქტებზე მისატანი სამგლოვიარო გვირგვინია... მოიშალა ორგანიზაციის უსაფრთხოების სისტემა. გაერო-ს სხდომათა დარბაზი სალაყბო ადგილად გადაიქცა." - ამ სიტყვების ავტორმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეფორმის პროექტი შეიმუშავა.

A2

ომი

რა ხდება ბაღდადთან - ანალიტიკოსთა შეფასებები

მოკავშირეთა ქვედანაყოფებმა გუშინ, პრაქტიკულად, წინააღმდეგობის გარეშე წაიწიეს წინ და ახლა ბაღდადიდან 10 კილომეტრში არიან განლაგებულნი. მათი პირველი მიზანი ბაღდადის აეროპორტი იქნება.
ქვემოთ გთავაზობთ ექსპერტების პასუხებს სამ დასმულ კითხვაზე: რამდენად მოულოდნელი იყო ასე სწრაფი წინსვლა ბაღდადისაკენ? ხომ არ უგებენ ერაყელები მოკავშირეებს მახეს და დაიწყო თუ არა ბაღდადზე საბოლოო იერიში.

A5

უცხოეთი

"პაციფისტი" პუტინი

ერაყთან დაკავშირებით წარმოქმნილ დაპირისპირებაში, პუტინი ფრანგულ-გერმანულ ანტისაომარ ბანაკს შეუერთდა. ჯორჯ ბუშთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად გაწეული ძალისხმევა მან ჟაკ შირაკისა და გერჰარდ შრიოდერის კომპანიაში ყოფნის სიამოვნებაზე გაცვალა. პუტინის ამ ნაბიჯის ასახსნელად, მოსკოვში სამ არგუმენტს გვთავაზობენ: ეკონომიკურს, საარჩევნოს და გეოპოლიტიკურს.

A5

ეკონომიკა

"იტერას" პრობლემები შექმნა?

გუშინ დილიდან "იტერამ" სამხრეთ კავკასიის მიმართულებით გაზის მიწოდება შეამცირა. ამის შედეგად, თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მცხოვრებ მომხმარებლებს ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდათ.

A6

სამართალი

ამბოხების მონაწილე გვარდიელები პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ

ათი დღის წინ მომხდარ სამხედრო ამბოხში მონაწილე ვეტერანი გვარდიელებისთვის, რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ, საოლქო სასამართლოში ორდღიანი საკასაციო განხილვის შემდეგ - ძალაში დარჩა.

A7

ამინდი

თბილისი	12	წვიმა
ქუთაისი	16	წვიმა
ბათუმი	16	წვიმა
სოხუმი	16	წვიმა
ფოთი	16	წვიმა
თელავი	13	წვიმა
ზუგდიდი	16	წვიმა
გორი	12	წვიმა
ახმეტა	13	წვიმა

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1550
ევრო	2.3322
გირვანქა სტერლინგი	3.3851
რუბლი	0.0689

გადამწყვეტი ბრძოლის მოლოდინში

REUTERS
მათ ერაყის დედაქალაქამდე სულ რაღაც ათიოდე კილომეტრი აშორებთ.

ლევან ღირსიაშვილი

ერაყში ომის დაწყებიდან ორი კვირა გავიდა. ანგლო-ამერიკული ძალები უკვე ბაღდადის მისადგომებთან იმყოფებიან. მათ ერაყის დედაქალაქამდე, სულ რაღაც, ათიოდე კილომეტრი აშორებთ. ჰუსეინის უკანასკნელი ციტადელისათვის ბრძოლის დაწყება უკვე ყოველ დღეა მოსალოდნელი. ეს კი, კვლავ უამრავ კითხვას ბადებს. შეძლებენ თუ არა მოკავშირეები მინიმალური დანაკარგებით დედაქალაქის აღებას? მოახერხებენ თუ არა ერაყელები ბაღდადის "სადამგრადად" გადაქცევას? რამდენ ხანს გაგრძელდება უკანასკნელი ბრძოლა და იქნება თუ არა ის უკანასკნელი? მოკლედ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერაყის დედაქალაქისათვის ბრძოლის წინ, მსოფლიოს შეშფოთება ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყებამდე არსებულ ვნებათაღელვაზე გაცილებით დიდია. ამის გამომწვევი მიზეზი კი ერთია: ერაყის არმიამ ანგლო-ამერიკულ კოალიციას საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გაუწია. შედეგად, ვაშინგტონი იძულებული გახდა, ერაყში დამატებითი 120 ათას კაციანი სამხედრო კონტინგენტი გადაესროლა. "24 საათი" უკვე იუწყებოდა, რომ 2 აპრილს კოალიციამ ომში გარდატეხის შეტანა მოახერხა და ბაღდადისაკენ ორი მიმართულებით გაარღვია ერაყის არმიის თავდაცვითი ზღუდეები... წინ უკვე ბაღდადია.

გაგრძელება A4 გვერდზე

"პრეზიდენტის ქიები" და "აბრეშუმის გზა"

რევაზ საყევარიშვილი
სპეციალურად "24 საათისთვის"

რაც დრო გადის, მით უფრო მეტად ვრწმუნდები - ეპოქის ხიბლი ყველაზე მეტად ანეკდოტებში ინახება. აბა, გაიხსენეთ:

"წაიკითხე ჩემი "მცირე მიწა"? - ეკითხება ბრეჟნევი სუსლოვს.

"წავიკითხე, შესანიშნავია!" - პასუხს არ აყოვნებს მთავარი იდეოლოგი.

"წაიკითხე ჩემი "მცირე მიწა"? - არ ასვენებს ბრეჟნევი გრომიკოს.

"აბა რა, მსგავსი შედევრი აქამდე არ შემხვედრია!" - არ იბნევა დიპლომატად დაბერებული გრომიკო.

"შენ თუ წაიკითხე ჩემი "მცირე მიწა?" - გენერალური მდივნის სამიზნე ამჯერად "კა-გე-ბე"-ს შეფი ანდროპოვია.

"ცხადია, საუცხოო რამ არის!" - პასუხი გამზადებული აქვს მთავარ ჩეკისტს.

"საოცარია, როგორ აქებენ ამ "მცირე მიწას". მეც ხომ არ წამეკითხა?" - თავისთვის ფიქრობს გაკვირვებული ბრეჟნევი.

ნამდვილად არ ვიცი, წაკითხული აქვს თუ არა პრეზიდენტ შევარდნაძეს თავისი "აბრეშუმის გზა", მაგრამ ფაქტია, რომ ეს წიგნი თუ არა, შესაბამისი იდეა მის ზოგიერთ თანამებრძოლს აქტიური ქმედებებისათვის განაწყობს. "ცისფერი მთებისა" და ორი სათაურისა არ იყოს, დასახელებაზე დავა ამჯერადაც არასერიოზული საქმეა. ბოლოს და ბოლოს, ოღონდ ვინმემ საქმე გააკეთოს და უნდა "აბრეშუმის გზა" დაარქვას, უნდა "მატყლის გზატკეცილი".

დღეს ეს ვინმე პირველი ქართველი რკინიგზელი აკაკი ჩხაიძეა - შევარდნაძის მმართველობის განუყოფელი და ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი სახე თუ სიმბოლო. ცხადია, ბატონი აკაკის სიძლიერის გამო

გაგრძელება A2 გვერდზე

პარიზული საღამო რეზო გაბრიაძესთან

ნინო კირთაძე
პარიზიდან

პარიზის ყოველდღიურ ცხოვრებას თავისი ტრადიციები აქვს; დღე ფინჯანი ყავისა და გაზეთის გარეშე არ დაიწყება. დილით რიჟრაჟთან ერთად იღება კაფეები და პრესის ჯიხურები, რომ ახალგამოღვიძებულ პარიზელებს ახალი დღის დაბადება აუწყონ და ისინიც, სამსახურში წასვლამდე, მიაშურებენ უახლოეს კაფეს, ყავის ფინჯნებიდან დააცქერდებიან ახალ გაზეთს, რომ მერე მეტროში გემრიელად წაიკითხონ ის, რაც პირველ რიგში აინტერესებთ.

დილის საათებში მეტრო მოძრავ სამკითხველოს ჰგავს. ყველა მგზავრს თავისი გაზეთი აქვს გაშლილი, ზოგი იღიმის, ზოგი უკმაყოფილოდ აქნევს თავს და ზოგიც ირონიულად დაჰყურებს სტრიქონებს, ვითომდა ეს რას წერენო...

მას მერე, რაც საფრანგეთის ვეტოს მიუხედავად, ერაყში საომარი მოქმედებები მაინც დაიწყო და საფრანგეთისა და ამერიკის ურთიერთობები დაიძაბა, გაზეთის მკითხველთა გამომეტყველება ფრიად ერთგვაროვანი გახდა - შეწუხებულ-შეშფოთებული დასცქერის ხალხი გაზეთის გვერდებს და თითქოს ყველას ერთი რამ აწუხებს - ხვალ რა იქნება, რა მოხდება, რა გვეშველებაო.

გაგრძელება A8 გვერდზე

ნინო კირთაძის ფოტო
რეზო გაბრიაძე პარიზში.

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები მხოლოდ ითხოვენ

გიორგი ასანიშვილი

გუშინ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შეხვდა. მათ შორის გამართულმა დიალოგმა საკმაოდ არასასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა: პარლამენტში მიბრძანებულმა სტუმრებმა საჭიროდ არ ჩათვალეს (თუნდაც, ფორმალურად) იმის აღნიშვნა, რომ ისინი საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები არიან და სახელმწიფო მშენებლობის პროცესში თავისი კონკრეტული წვლილის შეტანა სურთ. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებმა გუშინ, ძირითადად, თავიანთი პრეტენზიებისა და მოთხოვნების გარშემო ისაუბრეს. მოთხოვნების ჩამონათვალი კი საკმაოდ ვრცელია. არაქართული მოსახლეობის წარმომადგენლებს, მაგალითად, საჭიროდ მიაჩნიათ, რომ ეროვნული უმცირესობებისთვის უნდა გამოიყოს კვოტები პარლამენტში, კანცელარიაში, მერიასა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში; დე-ფაქტოდ არსებული ორმაგი მოქალაქეობა დე-იურედაც დაკანონდეს და ა.შ.

გაკეთდა უფრო საგანგაშო განცხადებებიც. კერძოდ, გამოითქვა ეროვნული ნიშნით პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და საპარლამენტო არჩევნებში მათი მონაწილეობის წინადადება. **"ვშიშობთ, რომ არჩევნების წინ ისეთი სიტუაცია შეიქმნება, როდესაც ხმის მისაცემი ღირსეული პიროვნება არ აღმოჩნდება,"** - ასეთი ერთობ უცნაური არგუმენტი მოიყვანა ამ საკითხის წამოჭრის ინიციატორმა (რომელი დიასპორის წარმომადგენელი რას მოითხოვდა, შეგნებულად არ ვაკონკრეტებთ).

გაგრძელება A3 გვერდზე

საპარლამენტო ბარტერი სეზ-ის გარშემო

115-ლარიანი ბატალიების შემდეგ, სერიოზული საპარლამენტო დებატებია მოსალოდნელი "სპეციალური ეკონომიკური ზონების შესახებ" კანონპროექტის განხილვისას. კანონპროექტი, რომლის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება პრეზიდენტმა არაერთხელ დააფიქსირა, განსახილველად პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში მომავალი კვირისთვისაა ჩასმული.

ლენა მიქაძე

სეზის შესახებ კანონის მისაღებად 79 ხმაა საკმარისი. "აღორძინება", სასურველი პროექტის გასატანად, საკუთარი ძალების გარდა, "დემოკრატების" ფრაქციის იმედადაც არის. ჟვანიას გუნდმა აჭარის დეპუტაციას მხარი უნდა დაუჭიროს 115-ლარიანი ცვლილების დროს გაწეული დახმარების სანაცვლოდ. "მრეწველები", თავის მხრივ, სეზის იდეით მას შემდეგ მოიხიბლნენ, როცა აღმოაჩინეს, რომ "ამღორძინებლები" მათ "ტექნიკურ დახმარებას" საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების მიღებისას აღმოუჩენდნენ. ასეთი ურთიერთსარგებლიანი

გაგრძელება A2 გვერდზე

ენერგოსექტორის ვალები - კორუფციის კიდევ ერთი წყარო

ნინო ნარჩემაშვილი

"საქენერგო 2000"-ის საქმიანობა გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომის განხილვის საგანი გახდა. ორგანიზაცია, რომელიც "საქენერგოს" დაშლის შემდეგ ენერგოსექტორში დაგროვილი ვალების ამოღებისა და გაკონტროლების მიზნით შეიქმნა და, კანონმდებლობის მიხედვით, ე.წ. ერთი ადამიანის ინსტიტუტს უნდა წარმოადგენდეს, დღეისათვის მრავალ თანამშრომელს ითვლის და მის მიერ 2000 წლიდან დღემდე მხოლოდ 350 ათასი ლარია ამოღებული, საიდანაც თანხის დიდი ნაწილი თანამშრომელთა ხელფასებზეა გაცემული. ასე რომ, ენერგოსექტორში დაგროვილი ვალის ოდენობა, 169 მილიონი ლარი, ყველაფრის მიუხედავად, არ შემცირებულა. ამ სიტუაციის ფონზე, როგორც სხდომაზე აღინიშნა, კლასიკური აფიორაა ის გარემოება, რომ

გაგრძელება A6 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ომი A5 უცხოეთი A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება
B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 კვირის TV-პროგრამა B8 სხვადასხვა

ნამეტანი ხმამაღლაა დაწერილი, მაგრამ ეტყობა, რომ უზრქვნია

ირაკლი წერეთელმა ბუშს ლექსები მიუძღვნა

"ლირიკოსი" ირაკლი წერეთელი.

სოფო ბუკია

"საზიზღარი გერმანია გადმოვიდა ჩვენს საზღვარზე, მაგრამ ფეხს ვერ მოიკიდებს ჩვენს საყვარელ მიწა-წყალზე..." – ეს ლექსი ზურიკელა ვაშალომიძემ დაწერა.

"მე მომენატრა ომი რამეთუ
ქვეყნად ტყუილმა განიდგა ფესვი,
ფარისევლობის დამპალი სუნით
აყროლდა ხილი, საზამთრო, ნესვი..." – ეს ლექსი კი ირაკლი წერეთლის კალამს ეკუთვნის.

ზურიკელა ვაშალომიძეს თავისი ლექსებით ილიკოსა და ილარიონის მეტი არავინ შეუწუხებია, ბებიასაც კი გაუფრთხილდნენ - "თავის გაჭირვება ეყოფაო".

ირაკლი წერეთელი არც ბებიას მოერიდა და არც სხვას; არც აცია, არც აცხელა და გუშინ ჟურნალისტთა სახლში ერაყის ომის თემატიკაზე დაწერილი ლექსების ციკლის - "ომის ეტიუდების" პრეზენტაცია მოაწყო.

თუ ზურიკელა მერის სიყვარულმა გადარია, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერის "გადარევის" მიზეზი ჯორჯ ბუში უმცროსი გახდა. სწორედ თეთრი სახლის ამჟამინდელ შეფს გაუთენა წერეთელმა ღამეები და მებრძოლი სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსები დაუწერა. თავად მიძღვნის ობიექტმა ამის შესახებ ჯერ არ იცის, მაგრამ მალე ინგლისურად ნათარგმნ ვარიანტს გაუგზავნიან (ისე, ბუშსაც ოლღაზე ნაკლები გასაჭირი არ ადგას და ცოტა ხანს თუ დაუმალავენ, უკეთესი იქნება).

"ომის ეტიუდებს" ვუძღვნი აშშ-ის პრეზიდენტს, თანამედროვე მსოფლიოს უდიდეს და უმამაცეს პოლიტიკოსს ჯორჯ ბუშს უმცროსს.... მის ბრწყინვალე ადმინისტრაციას,... – აღნიშნულია ლექსების წინასიტყვაობაში.

გუშინდელ პრეზენტაციაზე ავტორს საკუთარი სტრიქონები არ წაუკითხავს იმ მოსაზრებით, რომ **"ლექსი, თუნდაც შედევრი, უკეთ აღიქმება, როცა მას თავად მკითხველი წაიკითხავს".** წერეთელმა პროზაულ ენაზე ხოტბა შეასხა ბუშის პოლიტიკას და კოალიციის ჯარებს წინასწარ მიულოცა გარდაუვალი გამარჯვება.

დამსწრე საზოგადოებას თაბახის ფურცლებზე დაბეჭდილი ლექსები დაურიგდა. რეცენზენტებად პარლამენტარები თედო პაატაშვილი, კობა ამირხანაშვილი, ყოფილი პოლიციის შეფი დავით ზეიკიძე, აგრეთვე მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა და სხვები იყვნენ მიწვეულები. ამ "გაუგებრობაში" მოხვდა აშშ-ის კულტურის ატაშე შერონ ჰადსონ დინიც. პრეზენტაციაზე საპატიო სტუმრად დაპატიჟებული აშშ-ის ელჩი რიჩარდ მაილსი მოუცლელობის გამო ვერ გამოცხადდა, თუმცა ამან "ომის ეტიუდების" გადაკითხვისგან ვერ იხსნა, ლექსებს მას საელჩოში გაუგზავნიან.

თედო პაატაშვილი აღფრთოვანებული დარჩა ყოფილი თანამებრძოლის შემოქმედებით და ინანა, მასავით რომ არ უჭრის კალამი.

კობა ამირხანაშვილს ირაკლი წერეთლის შინაგანი რომანტიზმი ხიბლავს, რაც, თურმე, მის ლექსებში აღმოუჩენია.

"ლექსი დრომ უნდა გამოსცადოს, ვნახოთ, მომავალი თაობა რას იტყვის," – ბჭობდნენ ირაკლი წერეთლის თანაპარტიელები. მიმართვაში, რომელიც ჟურნალისტებს დაურიგდა, ავტორი გაზეთების რედაქტორებს ლექსების სრულად დაბეჭდვას სთხოვს. "ომის ეტიუდების" სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანის ინიციატივით ჯერ არ გამოსულან.

"მომავალი თაობის აზრის" გარდა, რომელიც უდავოდ იმსჯელებს ამ ლექსების ავ-კარგიანობაზე, ძალიან საინტერესოა ასევე ჯორჯ ბუში უმცროსის აზრიც, როცა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარის კრებულს მიიღებს და ასეთ რამეს ამოიკითხავს:

"უკვე დილამდე, მაგრამ შებინდდა
სული არ ცხრება და არ იძინებს,
სული საოცრად შემართულია,
სულში გრგვინავს ომის ღრიალი..."

სავსებით ლოგიკური იქნება, თუ ბუში იგივე ნამოცდება, რაც თავის დროზე ლოგიკური ნიჭიერების ზურიკელას უთხრა: **"თუ ქარი იყო, თუ წვიმდა, თოვდა და ქვეყანა ინგრეოდა, შენ რა გახარებდა, შე აბდალა?.."**

ინფორმაცია

რუსული წყაროების ცნობით, საქართველო-რუსეთის საზღვარზე სამალავი აღმოაჩინეს

ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის სასაზღვრო უწყების რეგიონული სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, ნაზრანის ოლქის მესაზღვრეებმა საქართველო-რუსეთის საზღვარზე სამალავი აღმოაჩინეს, რომელშიც გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი "სტრელა" ინახებოდა.

პრესსამსახურის მონაცემებით, სამალავი მდინარე არმხის ნაპირზე მდებარეობდა. მისივე მტკიცებით, რამდენიმე ანალოგიური სამალავი რუსმა მესაზღვრეებმა გასულ წელსაც იპოვეს. მათში სხვა სამხედრო აღჭურვილობასთან ერთად, გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებიც იყო. **ინტერ-პრესი**

"ლეიბორისტები" ზოდელავას ქონებრივი მდგომარეობის შესწავლას იწყებენ

ლეიბორისტული პარტიის სპეციალური საგამოძიებო ბიურო ქალაქის მერის ვანო ზოდელავას ქონებრივი საკითხების შესწავლას იწყებს. "ლეიბორისტები" ზოდელავას დეკლარირებული და არადეკლარირებული ქონებისა და მისი საშემოსავლო წყაროების გამოძიებით არიან დაინტერესებულნი და ვარაუდობენ, რომ საბოლოო დასკვნა მოსახლეობისთვის დიდი სიურპრიზი იქნება.

"ზოდელავას წინააღმდეგ მთავარი კომპრომატი მისივე ხელით შევსებული დეკლარაციაა. მასში მერს პირად, შვილებისა და მეუღლის სახელზე გახსნილ საბანკო ანგარიშებზე 200 ათასამდე დოლარი აქვს მითითებული, ხოლო უძრავ-მოძრავი ქონება მის მიერვე 2 მლნ. დოლარადაა შეფასებული" - იუწყება პარტიის ერთ-ერთი წევრი, თბილისის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე კახა ძაგანია. ზოდელავას მთავარ დანაშაულად მან ის გარემოება დაასახელა, რომ "მილიონერ მერს" საშემოსავლო მოგებიდან ბიუჯეტში შესაბამისი თანხები არ შეუტანია.

"თუ ლეიბორისტები მერის წინააღმდეგ ერთ დასაბუთებულ არგუმენტს მაინც მოიყვანენ, მერი მზადაა, იმავე დღეს გადადგეს," – განაცხადეს თბილისის მერიის პრესცენტრში. **ინტერ-პრესი**

მოკლედ

თბილისი. საპარლამენტო ფრაქცია "აღორძინების" ლიდერი ჯემალ გოგიტიძე მიიჩნევს, რომ სადეპუტატო იმუნიტეტის შეზღუდვასთან დაკავშირებით პრეზიდენტ შევარდნაძის გააქტიურება პოლიტიკური მოტივებითაა განპირობებული და ამ ინიციატივის განხორციელებას დეპუტატთა მიმართ ტერორი მოჰყვება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შეუსრულებლობის გამო, საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატები" აპრილის ბოლოს პარლამენტში აღნიშნული საანგარიშო პერიოდის მონაცემების განხილვისას, მთავრობის მთელი შემადგენლობის გადაყენებას მოითხოვს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ბულგარეთმა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებს, შესაძლოა, ახალი ტექნიკა გადასცეს, რომელსაც ადრე თადარიგში ინახავდნენ. **პრაიმ-ნიუსი**

შრომის პარტიის ლიდერმა გაერო-ს რეფორმის პროექტი შეიმუშავა

ვერიკო თევზაძე

"გაერო კონფლიქტებზე მისატანი სამგლოვიარო გვირგვინია... მოიშალა ორგანიზაციის უსაფრთხოების სისტემა. გაერო-ს სხდომათა დარბაზი სალაყბო ადგილად გადაიქცა. ორგანიზაციამ ამოწურა თავისი ფუნქცია და არ იცის, რა აკეთოს. მოძველდა მისი წედება, მენტალიტეტი... გაერო არ არის ვანგა, რომ რაღაც მოიფიქროს", - სამაგიეროდ, ამ სიტყვების ავტორმა, ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა მოიფიქრა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეფორმის პროექტი შეიმუშავა. პროექტი ოთხპუნქტიანია.

შრომის პარტიის თავმჯდომარის ფართომასშტაბიანი საერთაშორისო ინიციატივა ითვალისწინებს გაერო-ს წესდებაში შემდეგი ცვლილების შეტანას:

პუნქტი პირველი: არც ერთ ქვეყანაში არც ერთ პოლიტიკოსს არ უნდა ჰქონდეს უფლება, დაიკავოს პრეზიდენტის და პრემიერის თანამდებობა ზედიზედ ორ ვადაზე მეტად (მაქსიმალური ვადა უნდა განისაზღვროს ათი წლით); **"ხელისუფლებაში მოსვლა უნდა მოხდეს დემოკრატიული არჩევნების გზით. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევას მოჰყვება დამნაშავე მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა და გლობალური ეკონომიკური სანქციები გაერო-ს ყველა წევრი სუბიექტებისგან."**

შალვა ნათელაშვილი.

პუნქტი მეორე: ნათელაშვილი მოითხოვს გაერო-ს უშიშროების საბჭოს გაფართოებას. კერძოდ, მასში შემავალ ხუთ სახელმწიფოს უნდა დაემატოს: გერმანია, იაპონია, კანადა, ინდოეთი, ინდონეზია, ბრაზილია; აგრეთვე - რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები: ევროკავშირი, არაბული ქვეყნების ლიგა, აფრიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, ლათინური ამერიკის ქვეყნების ორგანიზაცია.

შალვა ნათელაშვილის პროექტის მესამე პუნქტი ითვალისწინებს გაერო-ს სასამართლოს ძირეულ რეფორმას (ლეიბორისტებმა სასამართლო რეფორმის პროექტი ცალკე შეიმუშავეს). **"თუ უშიშროების საბჭო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას რომელიმე საკითხის შესახებ, იგი განსახილველად გადაეცემა გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოს, რომლის ვერდიქტი საბოლოო და სავალდებულო იქნება,"** - განუცხადა ჟურნალისტებს ნათელაშვილმა.

"აუცილებელია, ამოქმედდეს გაერო-ს წესდების ის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ერთიანი შეიარაღებული ძალების და სარდლობის შექმნას. შეიარაღებულ ძალებში მოხდება საკონტრაქტო გაწვევა გაერო-ს ყველა წევრი სახელმწიფოდან," - ვკითხულობთ ლეიბორისტების პროექტის მეოთხე პუნქტში. შალვა ნათელაშვილის განცხადებით, გაერო-ს რეფორმა უნდა გახდეს მსოფლიოს მშვიდობიანი მომავლის გარანტი და **"განაქარვოს დღევანდელი მსოფლიოს თავზე ჩამოწოლილი შავი ღრუბელი."**

ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე ერაყ-ამერიკის ომში საქართველოს როლს აფასებს, როგორც "მეცამეტე გოჭის" ფუნქციას.

"გაერო-ს რეფორმის პრობლემაზე საუბრისას თქვენც ხომ არ გამოდიხართ მეცამეტე გოჭის როლში?" - შალვა ნათელაშვილმა არამც და არამც არ გაიზიარა ჟურნალისტის ეს ეჭვი. **"ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო არენაზე ლეიბორისტების ინიციატივა ბევრად უფრო მისაღები იქნება, ვიდრე ჩვენი პრეზიდენტის ქმედებები ბოლო წლების განმავლობაში. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი რომ იყო, შევარდნაძეს უკან ბირთვული რაკეტები ედგა და, ბუნებრივია, მის ნაბიჯებს ეფექტები მოჰყვებოდა."** შალვა ნათელაშვილს სჯერა, რომ მისი რეფორმის პროექტი მსოფლიო პოლიტიკური და იურიდიული წრეების ყურადღებას ბირთვული რაკეტების გარეშეც მიიქცევს. ლეიბორისტული პარტიის მიმართვა, გაერო-ს წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტითურთ, გაეგზავნება მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მეთაურს და გაერო-ს საერთაშორისო სამართლის კომისიას.

"პრეზიდენტის ჭიები" და "აბრეშუმის გზა"

პირველი გვერდიდან

მასთან ფლირტს ან, სულაც, რომანს ბევრი პოლიტიკური ჯგუფი სიამოვნებით გააბამდა, მაგრამ ამ თვალსაზრისით ჩხაიძე აქამდე შესაშურად ერთმოყვარულია - ის მყარად მხოლოდ შევარდნაძის ორბიტაზეა "დაბმული". უფრო სწორად, შევარდნაძეების, რადგან ბატონ ედუარდ შევარდნაძის გარდა, აკაკი ჩხაიძესთან ბატონი ნუგზარ შევარდნაძეც საკმაოდ კარგადაა შეთამაშებული (ცხადია, სარკინიგზო სარბიელზე). თუმცა, პრეზიდენტი, მხოლოდ ამის გამო არ ყვირის ხოლმე მუდმივად - "ხელები შორს აკაკი ჩხაიძისგანო"! მას, ბატონ აკაკისგან, საბიუჯეტო და ფინანსური "ზურგის" გარდა, როგორც ახლა ირკვევა, პოლიტიკური თანამესუფრეც სჭირდება.

ცხადია, როცა ახალი პოლიტიკური პარტია იქმნება, თან ამხელა "რაზმახით" (ბარბარიზმისთვის ბოდიშს ვიხდი, რადგან თარგმანში ეს სიტყვა უწინდელ პეწს აშკარად კარგავს), ყოველთვის ჩნდება კითხვა, საიდან აქვთ ფული ამხელა მონსტრის მოსამშობიარებლად და გასაზრდელად. ამ მხრივ "აბრეშუმის გზა" ფინანსურად საკმაოდ შეძლებულ გარემოში იბადება: ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის უწყება, რომელსაც ბატონი აკაკი ჩხაიძე მეთაურობს, ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ორგანიზაციაა და ბიუჯეტის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დონორია. მეტიც: რკინიგზა ბიუჯეტის წინმსწრები დონორია - ჯერ კიდევ 2002 წლის დასასრულს შპს "საქართველოს რკინიგზას" სახელმწიფო ბიუჯეტისთვის წინსწრებით ჰქონდა გადახდილი გადასახადები... 2003 წლის დასასრულამდე! კარგია, არა? ეს ნიშნავს, რომ რკინიგზამ წინასწარ გადაიხადა ქონების გადასახადი ანუ იცის, რამდენი ქონება უნდა გამოაჩინოს; წინასწარ გადაიხადა მოგების გადასახადი, ანუ ისიც იცის, რამდენ მოგებას აჩვენებს და ა.შ. და ა.შ. თან, გაითვალისწინეთ, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა - საქმე უკვე წლობით ფესვგადგმულ ტრადიციასთან გვაქვს.

ახლა, ალბათ, სულაც აღარ არის გასაკვირი, რატომ არის "საქართველოს რკინიგზა" იმ სამი ორგანიზაციის ნუსხაში, რომელშიც, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დაბეჯითებითი მოთხოვნის მიუხედავად, ხელისუფლება ცოცხალი თავით არ თანხმდება საერთაშორისო აუდიტის ჩატარებას. ჯერ ერთი, რაც ყველასთვის ცნობილია, "რკინიგზა", ფოთის პორტთან და "მადნეულთან" ერთად, მყარად ზის პრეზიდენტის უახლოესი ნათესაობის ხარბი თვალის ინტერესების არეალში. მეორეც, დღევანდელი მდგომარეობით, რკინიგზა არის აბსოლუტურად გაუმჭვირვალე სტრუქტურა, რომელსაც საერთაშორისო აუდიტი ბევრ ჩრდილოვან საკითხზე აუხდის ფარდას და მის რეალურ შესავალ-გასავალსაც უფრო კარგად გამოაჩენს.

თუმცა, აქ გასაკვირი არაფერია. აკაკი ჩხაიძისთვის უწყების გამოძერწვა თავიდანვე უდიდესი დარღვევებით მიმდინარეობდა. უეცრად შევარდნაძემ აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა - რკინიგზის სახელმწიფო დეპარტამენტი - შპს "საქართველოს რკინიგზად" აქცია. მოგვიანებით კი ესეც არ იკმარა და ამ შპს-ს გენერალურ დირექტორად აკაკი ჩხაიძე საკუთარი ბრძანებით დანიშნა. გასაკვირი აქაც არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება: კანონით, სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოს ხელმძღვანელს სახელმწიფო ქონების განმკარგავი უწყება ნიშნავდა. ასეთი კი მაშინ სადღეისოდ უკვე წირვაგამოყვანილი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო იყო. თუმცა, შევარდნაძემ ეს კანონი შესაშური გულგრილობით დაარღვია და, ჩხაიძის დანიშვნის ბრძანებაზე ხელის მოწერით, პირდაპირ მიანიშნა, ვის ინტერესებში შედიოდა მთელი ეს მანიპულაციები.

თუმცა, ეს ყველაფერი უკვე წარსულია. დღევანდელ ეტაპზე კი ჩხაიძე უკვე ახალი ფუნქციითაა აღჭურვილი - ის სანაქებო პარტმშენებელი უნდა გახდეს და დარგობრივი ორთქლმავალი პოლიტიკურ რელსებზე გადაალაგოს.

პარტიის შექმნის მიზეზი ნათელია: "მოქკავშირისთვის" სკალპის ახდის შემდეგ შევარდნაძე თავისი ამორტიზებული დეპოდან სათადარიგო შემადგენლობის გამოგორებას ცდილობს. თუმცა, ეს გამოგორება ისეთი მოუხერხებელი ფორმით ხდება, რომ ერთ ლიანდაგზე მოძრავი ორი შემადგენლობის შეჯახება გარდაუვალია. ეს მით უფრო რეალურ საფრთხედ მოჩანს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩხაიძის გვერდზე "აბრეშუმის გზის" დასაგებად "მოქკავშირის" ლიდერ ჯორბენაძისგან მოძულებული დედაქალაქის მერი ზოდელავა და ჯორბენაძისგან სმკ-ს ფრთებქვეშ ასევე შევიწროებული ქვემო ქართლელი რწმუნებული მამალაძე გაირჯებიან.

საყურადღებოა სხვა გარემოებაც: თუ სადღეისოდ სმკ-ს მასში წლების მანძილზე შეფარებული ფულიანი ტიპები მასობრივად ტოვებენ და თანხების სხვა პოლიტიკურ ყულაბაში დაბანდებას ცდილობენ, "აბრეშუმის გზას" ეს საფრთხე არ ემუქრება: მის საბაზისო ორგანიზაციაში - შპს "საქართველოს რკინიგზაში" ბიუჯეტთან მთელი საარჩევნო წლის მანძილზე წინასწარ გასწორებული არიან, წლის განმავლობაში მიღებულ სხვა შემოსავლებს კი აშკარად დასაქმება სჭირდება. ამისთვის საარჩევნო ბუღალტერია რომ იდეალური საშუალებაა, უეჭველია. ხარჯების გაწევის თაობაზე წინასწარი შეთანხმება რკინიგზას რომ არავისთან დასჭირდება, ესეც ფაქტია. ამის ნათელსაყოფად უბრალოდ შეგახსენებთ, რომ საბიუჯეტო კრიზისის შემსწავლელმა საპარლამენტო კომისიამ ჯერ კიდევ 3 წლის წინ დასვა ჩხაიძის მიერ რკინიგზის შემოსავლების თვითნებური ხარჯვის საკითხი, მაგრამ ყური არავის შეუბერტყავს. დიდი ალბათობით, ასე იქნება ახლაც, ოღონდ იმ სხვაობით, რომ თანხები ახლა დიდი პოლიტიკისკენ მიმავალი სახეებისთვის აბრეშუმივით რბილი და უმტკივნეულო გზის დაგებას მოხმარდება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ პრეზიდენტსა და მის გარემოცვას სტატუს ქვოს შესანარჩუნებლად მხოლოდ ეს ან ამის მსგავსი ტიპის ბერკეტებიღა შემორჩა.

ვისაც აბრეშუმის წარმოების შინაური პროცესი არ უნახავს ან არ ახსოვს, უბრალოდ შევახსენებთ, რომ ის მარტივ საყოფაცხოვრებო პირობებში დაახლოებით ასე გამოიყურება: გარკვეულ სივრცეზე თუთის ნორჩი ფოთლებია გაშლილი, რომელზეც გასკდომამდე გასიებული თეთრი ჭიები დაცოცავენ და ყბებს გაუჩერებლად ამუშავებენ. დროთა განმავლობაში, ჭამის მატების კვალდაკვალ, ეს ჭიები თეთრ გარსში ეხვევიან და სულ იმალებიან.

ეს მოდელი აბსოლუტურად იდენტურად ასახავს საქართველოს ხელისუფლების მოდელს. ქვეყნის სხეულზე ასეთი ჭიები უხვად დაცოცავენ და მთელ წვენს წოვენ. შემდეგ ამ ნაშოვნს ასევე ზედ იხვევენ და თავს შესანიშნავად გრძნობენ.

თუმცა, აბრეშუმის წარმოებაში პროცესის შეუქცევადობა მოითხოვს, რომ პეპლად ქცეული ჭია გაფრინდეს, აბრეშუმის პარკი კი დატოვოს.

ნეტავ, ჩვენი "ჭიები", სარკინიგზო ლიანდაგებზე ახალ "აბრეშუმის გზას" რომ დაგვიგებენ, პარკის დატოვებას არავინ სთხოვთ, ოდესმე მაინც თუ გაფრინდებიან და თავს დაგვანებებენ?

საპარლამენტო ბარტერი სეზ-ის გარშემო

პირველი გვერდიდან

თანამშრომლობის მიუხედავად, საჭირო ხმათა რაოდენობა მაინც არ გროვდება. დეფიციტური აღმოჩნდა დაახლოებით შვიდი ხმა. სასწორი ეკონომიკური ზონის სასარგებლოდ საბოლოოდ რომ გადაიხაროს, "ტრადიციონალისტების" დახმარებაც არის საჭირო. ჩვენთან საუბარში "ტრადიციონალისტმა" ალეკო შალამბერიძემ საამისოდ თავისი ფრაქციის მზადყოფნა დაადასტურა; თუმცა, თუ რით არის განპირობებული ასათიანის ფრაქციის დაინტერესება, აღარ დაუკონკრეტებია. როგორც დეპუტატი აცხადებს, **"თავისუფალი ეკონომიკური ზონის იდეა მისაღებია ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ოღონდ, ეს ეკონომიკური ზონა უნდა ვრცელდებოდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და არა ერთ კონკრეტულ რაიონზე. ეკონომიკური ზონები უნდა დაიყოს სამხარეო პრინციპით და არა – რაიონულით,"** - აცხადებს შალამბერიძე.

როგორც უკვე ვთქვით, ჩვენი პოლიტიკოსები ქვეყნის ინტერესებს ძალზე ხშირად უსადაგებენ საკუთარ პარტიულ ინტერესებს. ამ შემთხვევაში ძნელად მისახვედრია "ტრადიციონალისტების" პარტიული მოტივაცია, მაგრამ შესაძლოა, ასათიანის ფრაქცია იმედოვნებს, რომ ედუარდ შევარდნაძე საბოლოოდ მაინც ვეტოს დაადებს კანონპროექტს ეკონომიკური ზონის შესახებ და ეს პრეზიდენტს კიდევ ერთხელ ჩააგდებს უხერხულ სიტუაციაში.

"პრეზიდენტის მხრიდან სპეციალური ეკონომიკური ზონების შესახებ კანონზე ვეტოს დადება ჩვენი მიზანი ნამდვილად არ არის. შევარდნაძეს შეუძლია, თავად წარმოადგინოს კონკრეტული შენიშვნები პროექტზე მაშინ, როცა ამ საკითხის განხილვა პარლამენტში დაიწყება,"- აცხადებს საგადასახადო შემოსავლების ყოფილი მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი. როგორც "დემოკრატი" დეპუტატი ამბობს, თავად მან და მისმა თანაფრაქციელებმა - რომან დალაქიშვილმა და ზურაბ ცქიტიშვილმა - სეზის თაობაზე თავისი შენიშვნების პაკეტი უკვე მოამზადეს. ამასთან, საერთო ჯამში, "აღორძინების" მიერ მომზადებული კანონპროექტის ეს ვარიანტი მათთვის მისაღებია. **"ამ პროექტში, ძირითადად, ყველა ის შენიშვნაა გათვალისწინებული, რაც თავის დროზე ჩვენ ამ საკითხის გამო გვქონდა,"** - ასეთი განმარტება აქვს მაჭავარიანს კითხვაზე - თუ რატომ გახდა მისაღები ეკონომიკური ზონების იდეა ახლანდელი "დემოკრატებისათვის", როცა იგივე საკითხი მათთვის "მოქალაქეებად" ყოფნის პერიოდში მიუღებელი იყო. მიხეილ მაჭავარიანი ყურადღებას იმაზეც ამახვილებს, რომ ამა თუ იმ რაიონში ან მხარეში ეკონომიკური ზონის შემოღების თაობაზე გადაწყვეტილება, საბოლოოდ, ისევ პრეზიდენტმა უნდა მიიღოს, მასთან შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე.

როგორ ან რატომ უნდა წარმოადგინოს შენიშვნები შევარდნაძემ იმ საკითხზე, რომლის განხილვა საერთოდ არ სურს?

"პრეზიდენტი თბილისში აცხადებს, რომ მისთვის საქართველოში ეკონომიკური ზონების შემოღება მიუღებელია. აჭარაში ჩასვლისას კი იგი, რატომღაც, იგივეს არ ამტკიცებს," - არ აკმაყოფილებს სეზისა და თეზის საწინააღმდეგოდ რადიოინტერვიუებსა და ბრიფინგებზე ქვეყნის მეთაურის მიერ დაფიქსირებული პოზიცია მაჭავარიანს. იგი ედუარდ შევარდნაძისგან ოფიციალურად და ეკონომიკურად არგუმენტირებულ პასუხს ითხოვს. ამდენად, იმის მუხედავად, დაადებს თუ არა ვეტოს ედუარდ შევარდნაძე კანონს "სპეციალური ეკონომიკური ზონების" შესახებ, უკვე გასაგებია, რომ ეს საკითხი პრეზიდენტის თავის ტკივილის მიზეზი გახდება.

ამ საერთო სურათში ძალზე საინტერესოა "სოციალისტების" ფრაქციის პოზიცია. მათ, სახელისუფლებო ორიენტაციის გამო, თითქოს ისეთივე პოზიცია უნდა ჰქონდეთ, რაც ედუარდ შევარდნაძეს. **"ჯერ გადაწყვეტილება მიღებული არ გვაქვს. ამ საკითხზე კომპეტენტურ ადამიანებთან, ექსპერტებთან ვისაუბრებთ და მათ დასკვნას გავითვალისწინებთ,"**- აცხადებს ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი მინდელი. მინდელის განცხადება ამ შემთხვევაში მხოლოდ ცარიელ სიტყვებად იმიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ თავის დროზე (წინასაარჩევნო პერიოდში) "სოციალისტები" თავად იყვნენ თავისუფალი ეკონომიკური ზონების შემოღების მომხრენი.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები მხოლოდ ითხოვენ

პირველი გვერდიდან

ყოველივე ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პარლამენტის თავმჯდომარის გუშინდელი სტუმრები მხოლოდ "დესტრუქციულ ქმედებებზე იყვნენ გადასულნი". მათი მხრიდან დაისვა ისეთი საკითხებიც, რომელთა მოგვარებაც შეესაბამება როგორც ეროვნული უმცირესობების, ისე ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს. მაგალითად, არაქართული მოსახლეობის ზოგიერთ წარმომადგენელს საქართველოს ცალკეულ რეგიონებში არსებული საინფორმაციო ვაკუუმის აღმოფხვრა აუცილებლად მიაჩნია.

"ვიცით, რა ხდება ამერიკასა და თურქეთში, მაგრამ არაფერი ვიცით თბილისში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ნუთუ, გადაუჭრელი პრობლემა უნდა იყოს რეგიონების რადიოფიცირება ან თუნდაც ბიულეტენების გამოშვება, რომელშიც საპარლამენტო ცხოვრება იქნება გაშუქებული?" - სრულიად სამართლიანი პრეტენზიები გაისმოდა ცენტრალური ხელისუფლების მისამართით.

ეროვნული უმცირესობის საკითხი რომ ძალზე დელიკატურია და სულ ადვილია მასზე "აფეთქება", საქართველოს უახლესმა ისტორიამ ნათლად დაგვანახა. მწარე გაკვეთილს, ეტყობა, უკვალოდ არ ჩაუვლია: საქართველოს ხელისუფლება "ნაცმენებს" ულტიმატუმების ენაზე უკვე აღარ ელაპარაკება, მათთან დიალოგის დროს საკმაოდ დამთმობი და მომთმენია. თუმცა, როგორც ირკვევა, საჭიროების შემთხვევაში, "არა"-ს თქმაც შეუძლია.

"პირადად მე ორმაგი მოქალაქეობის წინააღმდეგი ვარ. შესაძლოა, მომავალში ამის დრო მოვიდეს, მაგრამ ახლა ამის დაშვება არ შეიძლება. ორმაგმა მოქალაქეობამ ამ ეტაპზე შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჩვენს სახელმწიფოს," - საკმაოდ დელიკატურად უთხრა ნინო ბურჯანაძემ უარი სტუმრებს მათ ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნაზე.

შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარესთან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ასევე მიუღებლად მიაჩნია ეროვნული ნიშნით კვოტირებასა და პრივილეგიებზე ლაპარაკიც კი, მიუხედავად იმისა, იგი ეროვნულ უმცირესობებს ეხება თუ უმრავლესობას. **"თქვენ ხართ საქართველოს საზოგადოების ისეთივე ღირსეული წევრები, როგორიც მე ან ქართული წარმოშობის ნებისმიერი სხვა მოქალაქე,"** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე და იქვე დასძენს, რომ კვოტებზე ლაპარაკი მხოლოდ ქალების უფლებების დაცვის საკითხშია დასაშვები.

"თუმცა, ასეთი მიდგომაც არასწორად მიმაჩნია. მე, მაგალითად, შეურაცხყოფილად ვიგრძნობდი თავს, თუ მეცოდინებოდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარედ მხოლოდ ქალობის გულისთვის ამირჩიეს. ამ ლოგიკის ბოლომდე მიყოლის შემთხვევაში, დავასკვნით, რომ ქალიც აგრეთვე ადამიანია," - ასეთი მსუბუქი იუმორით ჩააჩუმა პარლამენტის თავმჯდომარემ მეტი თანამდებობების მოსურნე არაქართველები.

სამაგიეროდ, პარლამენტის სპიკერი მთლიანად იზიარებს დიასპორათა წარმომადგენლების მოთხოვნას საინფორმაციო სივრცის უკეთ "ათვისების" თაობაზე. იგი შეახსენებს სტუმრებს, რომ რეგიონების რადიოფიცირებისა და საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის გადაცემების გავრცელების უზრუნველყოფისთვის, 2003 წლის ბიუჯეტში ორი მილიონი ლარი ჩაიდო. **"უახლოეს დღეებში პარლამენტში მოვიწვევ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრს და გავარკვევ, რა კეთდება ამ მიმართულებით,"** - მკვდარი წერტილიდან საქმის დაძვრას აპირებს ნინო ბურჯანაძე.

მას ასევე მისაღებად მიაჩნია გუშინ გამოთქმული მოსაზრებები პარლამენტის თავმჯდომარესთან მუდმივმოქმედი საბჭოს შექმნის შესახებ, რომელიც ეროვნული უმცირესობების პრობლემებზე იმუშავებს. სპიკერი აგრეთვე იზიარებს ე.წ. "ნაციონალური სახლის" დაფუძნების იდეას, რომლის მიზანია საქართველოში მცხოვრები არაქართული მოსახლეობის ხელმძღვანელთა კოორდინირება და რიგ პრობლემებზე ერთობლივი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლების მორიგი შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან მაისის ბოლოს გაიმართება.

რუსეთის ხელისუფლება საქართველოსთან დაპირისპირებას ერიდება

რუსეთის სახელმწიფო დუმის განცხადება "თავდაცვის სფეროში საქართველო-აშშ თანამშრომლობის შეთანხმების შესახებ", გუშინ უნდა განხილულიყო, მაგრამ სპიკერის, გენადი სელეზნიოვის, მცდელობით დებატები გაურკვეველი ვადით გადაიდო. განცხადების ტექსტი კი ასეთია:

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

"რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატებმა ღრმა შეშფოთებით მიიღეს საქართველოსა და აშშ შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობაზე დადებული შეთანხმება (შემდეგ – შეთანხმება) და განიხილავენ მას, როგორც აქტს, რომელიც ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს თანამშრომლობა-კეთილმეზობლობის სულისკვეთებას.

შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოში ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების შეუზღუდავ და უვიზო შესვლას. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეებისათვის, აშშ-ს შეიარაღებული ძალების პირველი მოთხოვნისამებრ, საქართველოს საზღვრის დაუბრკოლებელი გადაკვეთის უფლების მინიჭება, საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ტექნიკის, შეიარაღების, ტრანსპორტისა და ტვირთის თავისუფალი განლაგება და მათი თავისუფალი გადაადგილება. შეთანხმების თანახმად, ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები იღებენ განსაკუთრებულ უფლებამოსილებას და საქართველოს ტერიტორიაზე აშშ საელჩოს ადმინისტრაციული და ტექნიკური მუშაკების პრივილეგიებითა და იმუნიტეტით სარგებლობენ. ამრიგად, საქართველოს ხელმძღვანელობა, პრაქტიკულად, იხსნის ამერიკული სამხედრო კონტიგენტის მოქმედებაზე კონტროლის განხორციელების პასუხისმგებლობას და პირდაპირ გზას უხსნის საქართველოს ნატო-ში დაჩქარებულ შესვლას.

მსგავს პირობებში გამორიცხული არ არის აშშ-ს შეიარაღებული ძალებისა და საშუალებების დაუბრკოლებელი ზრდის შესაძლებლობა საქართველოში, აშშ-ს შეიარაღებული ძალებისა და საქართველოს ხელმძღვანელობის ინტერესებისამებრ მათი შეუზღუდავი გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე, ამასთანავე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

სახელმწიფო დუმის დეპუტატების აზრით, ეს შეთანხმება სერიოზულად არღვევს რეგიონში ძალთა ბალანსს და საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უსაფრთხოებას.

სახელმწიფო დუმის დეპუტატები შეშფოთებულნი არიან იმით, რომ რესპუბლიკა ერაყის წინააღმდეგ აშშ-ს და მისი მოკავშირეების სამხედრო აქციის პირობებში ასეთი შეთანხმების გაფორმება, ფაქტობრივად, ნიშნავს საქართველოს ჩართვას ანტიერაყულ კოალიციაში.

აშშ-სთვის რუსეთის სახელმწიფო საზღვრის სიახლოვეს ამერიკული სამხედრო კონტინგენტის, სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების დაუბრკოლებელ განლაგებაზე გაფორმებულ შეთანხმებას სახელმწიფო დუმა განიხილავს, როგორც რუსეთთან მიმართებაში განსაკუთრებულად არამეგობრულ და მტრულ ნაბიჯს, რაც პირველ რიგში მისი ეროვნული უშიშროების ინტერესებს ეხება.

სახელმწიფო დუმის დეპუტატები დარწმუნებულნი არიან, რომ შეთანხმება ეწინააღმდეგება რუსეთ-საქართველოს შორის მეგობრობაზე, კეთილმეზობლობაზე, თანამშრომლობასა და ურთიერთუსაფრთხოებაზე ხელმოსაწერად გამზადებულ ხელშეკრულებას და ეჭვის ქვეშ აყენებს რუსეთთან კეთილმეზობლობის შენარჩუნებაზე საქართველოს მისწრაფებების გულწრფელობას.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, მხედველობაში ვიღებთ რა რუსეთის ხელისუფლებისადმი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობის მრავალგზის მიმართვებს რუსეთის ფედერაციასთან განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარებაზე, სახელმწიფო დუმა შესაძლებლად მიიჩნევს, რეგიონში არსებული ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად, მიიღოს აუცილებელი ზომები და გადახედოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისადმი თავის პოზიციას."

რუსეთის პარლამენტის კედლებში გავრცელებული განცხადების პროექტს თან ერთვის ბატონების - ირაკლი მენაღარიშვილისა და რიჩარდ მაილსის ხელმოწერით "საქართველოსა და აშშ-ს ხელისუფლებას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმების სრული ტექსტი.

რუსეთის პარლამენტის დსთ საქმეთა კომიტეტის განცხადების ეს პროექტი, როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, პარლამენტის პლენარულ სხდომას დღეს უნდა განეხილა, მაგრამ სხდომამდე, დუმის საბჭოზე გამოსვლისას, პარლამენტის სპიკერმა გენადი სელეზნიოვმა, ვითომ პირველად გაიგო საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებული ხსენებული შეთანხმების შესახებ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან ამ ფაქტის დამადასტურებელი ოფიციალური შეტყობინება მოითხოვა.

როგორც "24 საათს" დსთ-ს საქმეთა კომიტეტში აცნობეს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან მოვიდა ოფიციალური შეტყობინება, სადაც დადასტურებულია, რომ მსგავსი შეთანხმების რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტმა მართლაც მოახდინა.

დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ რუსეთის პარლამენტის ხელმძღვანელობას ამ ეტაპზე ნამდვილად არ სურს საქართველოსთან კონფრონტაციის გაღვივება. ყველა წინაპირობა არსებობს იმისათვის, რომ რუსი დეპუტატების ერთი ჯგუფის მიერ მომზადებული განცხადების ტექსტის გამო, რუსეთის დუმა მხოლოდ მომავალი კვირის ოთხშაბათს თუ მოიცლის.

აფხაზეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხელისუფლებას ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკაში ადანაშაულებენ

პოლიტიკური პარტიების აფხაზეთის ორგანიზაციების და საზოგადოებრივი კავშირების შეკრებამ მიიღო ერთობლივი განცხადება, რომელშიც ნათქვამია: "ხელისუფლება ათი წლის განმავლობაში მიზანმიმართულად ახორციელებს ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რაც საბოლოო ჯამში აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორებას ემსახურება.

დადებულია საქართველოსთვის საზიანო ხელშეკრულებები: 1994 წლის 4 აპრილი, მოსკოვი, "ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ"; 1994 წლის 14 მაისი, მოსკოვი, "შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ" და სხვები, რომლებიც წარმოადგენენ ზემოხსენებული გეგმის პრაქტიკული განხორციელების მექანიზმებს."

პოლიტიკური პარტიების აფხაზეთის ორგანიზაციები და საზოგადოებრივი კავშირები პრობლემის მოგვარების აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევენ:

1. "საქართველოს პარლამენტში, 1992 წლის 11 ოქტომბერს მაჟორიტარული და პროპორციული წესით აფხაზეთიდან არჩეული 12 დეპუტატის ნაცვლად, დევნილებმა აფხაზეთისთვის განკუთვნილ მაჟორიტარულ ადგილებზე უნდა აირჩიონ ღირსეული, ხალხის ნდობით აღჭურვილი წარმომადგენლები.

2. დევნილობაში მყოფი აფხაზეთის სახელისუფლებო სტრუქტურების ოპტიმალური და გადაუდებელი რეორგანიზაცია, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში დამატებითი არჩევნების ჩატარების გზით."

არაბული რაკურსი

ამერიკელი მონღოლები


REUTERS

ფუნდამენტალისტებს სწამთ, რომ ისინი გაიმარჯვებენ.

დამპყრობთა არმია კიდევ ერთხელ უახლოვდება ბაღდადს. უკანასკნელად ეს 1258 წელს მოხდა, როდესაც მონღოლთა ურდომ, ჩინგიზ ხანის შვილიშვილის, ჰულაგუ ყაენის მეთაურობით დაამხო აბასიდთა სახალიფო, რომელიც ქვეყანას 500 წელზე მეტხანს მართავდა და თუ ისლამის ისტორია რაიმეს გვასწავლის, მაშინ, უნდა ველოდოთ, რომ ამერიკელების შეჭრა ბაღდადში სიძულვილის ახალი ტალღის აღმოცენებას გამოიწვევს – თუკი შეერთებულმა შტატებმა არ მონახა გზა ზომიერი ისლამისტური მოძღვრების გასამტკიცებლად.

სადამ ჰუსეინი, რომელიც 25 წელია, სოციალისტურ-ბაასისტურ მთავრობას ხელმძღვანელობს, რასაკვირველია, არ არის ხალიფა. ამერიკელებიც ამტკიცებენ, რომ ისინი ერაყის გამათავისუფლებლები და არა დამპყრობლები არიან. და მაინც, ერაყში აშშ-ს შეჭრა მუსლიმ ფუნდამენტალისტებს შორის ძლიერ რეზონანსს იწვევს, რადგანაც სადამის დამხობას, და უფრო ზოგადად, ამ ახალი მონღოლებისაგან არაბების დამცირებას – დამსახურებულ ღვთის რისხვად მიიჩნევენ. 13-ე საუკუნიდან მოყოლებული, მუსლიმი თეოლოგები ამტკიცებენ: ურჯულოებისაგან დამარცხებას მუსულმანები მაშინ განიცდიან, როდესაც ისინი ივიწყებენ ისლამს და პლურალიზმს და საერო მოძღვრებებს ანიჭებენ უპირატესობას. ამ მოსაზრების თანახმად, ბაღდადი 1258 წელს იმავე მიზეზით დაეცა, რომლითაც 1918 წელს ოსმალთა იმპერია დაემხო: ხალხის რელიგიური შეხედულებები მეტისმეტად ლიბერალური გახდა და მათ დაივიწყეს, რომ მსოფლიო მორწმუნეებად და ურჯულოებად იყოფა.

ამერიკის თავდასხმა სეკულარულ ერაყზე ამ მოსაზრების დადასტურებაა. სადამის დამხობა იქნება კვინტესენცია დამარცხებათა იმ სერიისა, რომელიც მუსულმანებმა ბოლო წლებში განიცადეს. პირველი იყო სპარსეთის ყურის ომი, შემდეგი - სერბთა მიერ ბოსნიელი და კოსოვოელი მუსლიმების ამოჟლეტა, ალჟირსა და ეგვიპტეში ისლამისტური ჯგუფების რეპრესია, რუსეთის მხეცური სამხედრო კამპანია ჩეჩენი სეპარატისტების წინააღმდეგ და ბოლოს, ავღანეთში ტალიბანის რეჟიმის დამხობა. ისლამისტების აზრით, ეს კატაკლიზმები იმის ნიშანია, რომ განწმენდის დრო მოვიდა, რათა მუსლიმები დასავლეთთან საბრძოლველად მზად იყვნენ.

ფუნდამენტალისტებს ბევრი მიზეზი აქვთ, სწამდეთ, რომ ისინი გაიმარჯვებენ. მონღოლების მიერ ბაღდადის დაპყრობის ისტორია 1258 წელს არ დასრულებულა. ორი წლის შემდეგ, პალესტინაში, ალ ჯალუტთან გამართულ ბრძოლაში ეგვიპტელმა მამლუქებმა დაამარცხეს მონღოლები. ერთ საუკუნეში მონღოლი დამპყრობლები თავად ეზიარნენ ისლამს, თურქეთსა და ინდოეთში ისლამმა ახალი აღმავლობა განიცადა. ისლამისტების აზრით, ეს იმის მანიშნებელია, რომ მაშინაც, როდესაც მუსლიმები მარცხდებიან, უზენაესი ამით მათი გამარჯვების წინაპირობას ქმნის.

ისტორიის გარდა, ფუნდამენტალისტები თავიანთი სიმართლის დამადასტურებელ საბუთებს წმინდა წიგნიდანაც იღებენ. ჰადიტში (მოჰამედის ნათქვამები, რომლებიც თავდაპირველად ზეპირად ვრცელდებოდა და მისი სიკვდილიდან ერთი საუკუნის შემდეგ ჩაიწერეს) ნათქვამია, რომ აპოკალიფსი მანამდე არ დადგება, "სანამ ევფრატი დამალულ ოქროს მთას არ გამოაჩენს და ხალხი მისთვის ბრძოლას არ დაიწყებს". "ოქროს მთები" თავისუფლად შეიძლება ნავთობის მეტაფორა იყოს, ევფრატი – ერაყისა, ხოლო ბრძოლა - თავისთავად ნათელია, რისიც.

ისევე, როგორც ზოგიერთმა ქრისტიანმა ფუნდამენტალისტმა ისრაელის სახელმწიფოს შექმნა აღიქვა, როგორც ბიბლიური წინასწარმეტყველების აღსრულება, მუსლიმმა ფუნდამენტალისტებმაც, შეიძლება, ამერიკის მიერ ერაყის ოკუპაცია სიკეთისა და ბოროტების უკანასკნელი ბრძოლის დასაწყისად აღიქვან.

ისტორიითა და წმინდა წიგნით შეიარაღებული ისლამისტებისათვის განცდილი დამცირება შეიძლება ახალი მხარდამჭერების მობილიზების საშუალებად იქცეს. ომში დამარცხების შემდეგ, მუსლიმები ხშირად მიმართავენ ასიმეტრიული ბრძოლის ტაქტიკას. პალესტინელების ლიდერმა, არაფატმა ახალგაზრდა პალესტინელების ყურადღება მხოლოდ მას შემდეგ მიიპყრო, რაც არაბებმა 1967 წელს ექვსდღიანი ომი წააგეს. ქაშმირის გასამხედროებული ისლამიც ფესვებს 1971 წელს, ინდოეთთან ომში პაკისტანის მიერ განცდილი დამარცხებიდან იღებს. დამარცხებაზე ტრადიციული რეაქცია მუსლიმებისათვის არის არა დანებება, ან კომპრომისი, არამედ შურისძიება. მათთვის ომი რამდენიმე თაობის მანძილზე გრძელდება. ჯიჰადი ინდოეთში ინგლისელთა ბატონობის წინააღმდეგ 1830-დან 1870 წლამდე გაგრძელდა. მისი გამოვლინებები მეოცე საუკუნეშიც გვხვდებოდა.

ისლამის ფუნდამენტალისტური ინტერპრეტაცია მუსლიმთა უმრავლესობისათვის უცხოა, განსაკუთრებით, ბოლო ხანებში. მაგრამ კონსერვატორ მუსულმანებს ისლამურ ქვეყნებში შეუძლიათ დიდი გავლენა იქონიონ პოლიტიკურ დღის წესრიგზე, ისევე როგორც ქრისტან და ებრაელ ფუნდამენტალისტებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ ამერიკის პოლიტიკაზე. მსოფლიოში 1 მილიარდი მუსლიმია. ფუნდამენტალისტებმა მათი 0,1 პროცენტის გადაბირებაც რომ მოახერხონ, ალ ქაიდას 1 მილიონი პოტენციური წევრი ეყოლება.

დასავლეთისადმი ეჭვი ჯერ კიდევ ბრიტანელების დროიდან იღებს სათავეს, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის დროს მოვიდნენ, როგორც არაბების მეგობრები და ბოლოს არაბული მიწების დანაწილება და კოლონიზაცია მოახდინეს. ახლა ძველი უნდობლობა ამერიკელებს შეუქმნის პრობლემას. ამერიკა არ უნდა იქცეს იმპერიად და ამერიკელები არ უნდა მოექცნენ არაბებს, როგორც ნაკლებად ცივილიზებულ ხალხს. სიამაყე და არაბული ნაციონალიზმი ის ფაქტორებია, რომელთა გათვალისწინებაც ამერიკას მოუწევს.

თუ პრეზიდენტი ბუში არ შეასრულებს თავის დაპირებას პალესტინასა და ერაყში დემოკრატიის დამყარების შესახებ და არ მოითხოვს რეფორმების გატარებას ვაშინგტონის მოკავშირე არაბული ავტორიტარული რეჟიმებისაგან, მაშინ უმას (ისლამური თემი) ექნება მიზეზი უნდობლობისა და სიძულვილისათვის. მუსლიმებიც ისევ ვერ მოახერხებენ ძველი ოცნების ასრულებას – "თანამედროვეობის შიშის" დაძლევას.

და მაშინ, ჩვენ კიდევ ბევრ ჯიჰადს ვიხილავთ.

ჰუსაინ ჰაკანი

პაკისტანელი ჟურნალისტი

"ფორინ პოლისი"

გადამწყვეტი ბრძოლის მოლოდინში

პირველი გვერდიდან

აშშ-ს სამხედრო ხელმძღვანელობამ გუშინ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც კოალიციის ძალებმა ერაყის დედაქალაქის საერთაშორისო აეროპორტთან სტრატეგიული პოზიციები დაიკავეს. როგორც ჩანს, ბაღდადისათვის ბრძოლა სადამ ჰუსეინის სახელობის აეროპორტიდან დაიწყება. აქედან დედაქალაქის ცენტრამდე კი, დაახლოებით, 20 კილომეტრილა რჩება. აეროპორტის აღება კოალიციის სარდლობამ აშშ-ს მე-3 ქვეით დივიზიას დააკისრა. პარალელურად იუწყებიან, რომ მოკავშირეთა მეორე კოლონა ბაღდადიდან უკვე ათ კილომეტრში იმყოფება.

REUTERS

გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ემზადებიან ერაყის არმიის დანაყოფებიც. ერაყის რესპუბლიკური გვარდიის ოთხი ელიტარული დივიზია სამხრეთისაკენ, მოწინააღმდეგის დასახვედრად მიემართება. გარდა ამისა, 2 აპრილს ქერბალასთან და კუტისთან მიღწეული წარმატებები კოალიციის ჯარებისათვის არც თუ უმტკივნეულო იყო. მოკავშირეთა სარდლობამ უკვე ოფიციალურად დაადასტურა ქერბალასთან "შავი ქორის" ტიპის ვერტმფრენის და F/A-18 თვითმფრინავის ჩამოგდების ფაქტი. ერაყელებმა "შავი ქორი" ავტომატური იარაღით, ხოლო თვითმფრინავი კი "მიწა-ჰაერის" ტიპის რაკეტით ჩამოაგდეს. ვერტმფრენში მყოფი 11-კაციანი ეკიპაჟიდან შვიდი დაიღუპა, ხოლო ოთხი - მძიმედ დაიჭრა. რაც შეეხება ჩამოგდებულ თვითმფრინავს, ის მოკავშირეებს, ჯერჯერობით, დაკარგულად მიაჩნიათ. მის კვალს ვერ მიაკვლიეს.

მსოფლიოს საზოგადოების ყველაზე დიდ ინტერესს კი თავად ერაყელთა საომარი სამზადისი იწვევს. ერაყის ხელისუფლების წარმომადგენლები მოწინააღმდეგეს ბაღდადის გარეუბნებში ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომის გამართვას ჰპირდებიან. ოფიციალური ბაღდადი აცხადებს, რომ, როგორც კი ეს დანაყოფები იძულებულნი გახდებიან უკან დაიხიონ, არმიის სარდლობა დაიწყებს იგივე ტაქტიკის გამოყენებას, რასაც სამხრეთის ქალაქებში მიმართავდნენ. კერძოდ, ერაყელი მებრძოლები ბაღდადის მჭიდროდ დასახლებულ გარეუბნებში გამაგრდებიან და ბაღდადისაკენ დაძრულ მოკავშირეთა ძალებს პერმანენტულ თავდასხმებს მოუწყობენ.

ამასთანავე, ერაყის ხელისუფლება არ გამორიცხავს, რომ მოკავშირეები ბაღდადში შესვლას შეძლებენ და ქალაქის ცენტრში შეღწევისას, გამარჯვების თაობაზეც გააკეთებენ განცხადებას. **"მტერი ბაღდადში უნდა შემოვიდეს და სწორედ მაშინ ჩვენი დედაქალაქი მათ სასაფლაოდ იქცევა,"** - ჯერ კიდევ გასულ კვირას განაცხადა ერაყის თავდაცვის მინისტრმა სულთან ჰაშიმ ახმადმა. რამდენიმე ხნის წინ, დაახლოებით იგივეს შეჰპირდა ჟურნალისტებს ერაყის ვიცე-პრემიერი ტარიკ აზიზი: **"დარჩით ბაღდადში და ვნახოთ, რა მოხდება."**

ამ კვირაში კი ერაყის სარდლობის სამხედრო მიზნების შესახებ ვიცე-პრეზიდენტმა ტაჰა იასინ რამადანმაც გააკეთა განცხადება: **"ჩვენი სტრატეგია ხანგრძლივ ომს ემყარება და, როგორც მგონია, ჩვენ აქამდე წარმატებით შევძელით მტრის სტრატეგიული გეგმების ჩაშლა. ომის გახანგრძლივების თითოეული დღე ერაყის ინტერესებში შედის."**

უნდა ითქვას, რომ კოალიციის მიერ ალყაშემორტყმული ქალაქებიდან – ქერბალადან და კუტიდან, ბაღდადისკენ მიმავალ გზებზე ერაყელებს არავითარი გამაგრებები არ ჰქონდათ აღმართული. ანგლო-ამერიკული დანაყოფები დედაქალაქს უპრობლემოდ, უმნიშვნელო წინააღმდეგობის გადალახვით მიუახლოვდნენ. ამის თაობაზე გუშინდელი "ვაშინგტონ პოსტი" იუწყება, თუმცა, იმავე სტატიაში მოყვანილია ვიცე-პრემიერის ტარიკ აზიზის სიტყვები. **"უდაბნოში ბრძოლას გაცილებით სჯობს მათი შეტყუება დიდ და პატარა ქალაქებსა და დასახლებულ რაიონებში, სადაც ავიაცია არც თუ ისე ეფექტურია,"** - განუცხადა ერაყის ვიცე-პრემიერმა ლიბანის ტელევიზიის კორესპონდენტს.

ბაღდადის ბრძოლის წინ საკმაოდ საინტერესოა იმის გახსენება, თუ მეოცე საუკუნეში ერაყელების წინააღმდეგ ბრძოლები რა შედეგებით დასრულდა. ამის თაობაზე "ვაშინგტონ პოსტის" იმავე სტატიაშია საუბარი. **"პრაქტიკულად, ყველა პრესკონფერენციაზე აშშ-ს დამარცხების წინასწარმეტყველებისას, ერაყელი ჩინოვნიკები მიუთითებენ ბრიტანეთის ჯარების გამოცდილებაზე ერაყში პირველი მსოფლიო ომის დროს და მას შემდეგაც. 1916 წელს, ბუზებისგან და კოღოებისგან გაწამებული, დაავადებული და დემორალიზებული 13 ათასი ბრიტანელი ჯარისკაცი თურქეთის არმიას ჩაბარდა. 1920 წელს ერაყში საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების დროს, ასობით ბრიტანელი ჯარისკაცი დაიღუპა და ეს მოვლენა ერაყული ნაციონალიზმის აღორძინების სიმბოლოდ იქცა,"** - იუწყება "ვაშინგტონ პოსტი."

უკანასკნელი ბრძოლის დაწყებამდე, ორივე მხარის პროპაგანდა საგრძნობლად გააქტიურდა. მოკავშირეებმა მთელ მსოფლიოს აუწყეს, რომ ქერბალასა და კუტის ბრძოლებში ერაყის რესპუბლიკური გვარდიის ორი ელიტარული დივიზია – "მედინა" და "ბაღდადი" თითქმის მთლიანად განადგურდნენ. ამის საპირისპიროდ, ერაყის ინფორმაციის მინისტრმა მოჰამედ ალ-საჰაფმა აღნიშნული ინფორმაცია კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ ბაღდადის ცნობილმა დივიზიამ გააფთრებულ ბრძოლებში მხოლოდ 17 ჯარისკაცი დაკარგა, ხოლო დანარჩენები ბრწყინვალე ფორმაში იმყოფებიან და მზად არიან, აშშ-ს არმიას **"ბრძოლის ხელოვნების გაკვეთილები"** ჩაუტარონ.

მიუხედავად იმისა, რომ ერაყის ზოგიერთი ოფიციალური პირი, ვიცე-პრეზიდენტ რამადანის ჩათვლით, აცხადებს, რომ მათ ომის გაჭიანურება და გახანგრძლივება აქვთ დაგეგმილი, საბოლოო შედეგის შესახებ პროგნოზს არ აკეთებენ. რამადანის თქმით, მოკავშირეთა წინააღმდეგ კარგი ბრძოლა უკვე შეიძლება გამარჯვებად ჩაითვალოს. **"ეს არის ბრძოლა პატივისა და ღირსებისათვის,"** - აცხადებს რამადანი. შეძლებენ თუ არა ერაყელები მოკავშირეებისათვის "ომის ხელოვნების გაკვეთილების" ჩვენებას და მოწინააღმდეგის "ღირსეულ" დახვედრას, ამას სულ მალე, ბაღდადისათვის გამართულ უკანასკნელ ბრძოლაში ვნახავთ. თუმცა, არც ის არის გამორიცხული რომ ეს ბრძოლა უკანასკნელი სულაც არ გამოდგეს. ვნახოთ, წინ ჯერჯერობით ბაღდადია.



"პაციფისტი" პუტინი

რუსეთის პრეზიდენტის საბედისწერო შეცდომა

ერაყთან დაკავშირებით წარმოქმნილ დაპირისპირებაში, პუტინი ფრანგულ-გერმანულ ანტისაომარ ბანაკს შეუერთდა. ჯორჯ ბუშთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად გაწეული ძალისხმევა მან ჟაკ შირაკისა და გერჰარდ შრიოდერის კომპანიაში ყოფნის სიამოვნებაზე გაცვალა. პუტინის ამ ნაბიჯის ასახსნელად, მოსკოვში სამ არგუმენტს გვთავაზობენ: ეკონომიკურს, საარჩევნოს და გეოპოლიტიკურს.

ნავთობი, როგორც უმთავრესი მიზეზი

თითქმის მეტაფიზიკაშია გადასული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ნაბიჯის უკან ნავთობი დგას. შესაბამისად, პუტინის ანტისაომარი განწყობა აშშ-ს მხრიდან ერაყში რუსეთის სანავთობო ინტერესების უგულებელყოფით აიხსნება. სტრატეგიული კუთხით, ეს არგუმენტი ასევე მოიცავს იმ ფაქტს, რომ აშშ-ს მიზანს ერაყის ნავთობსაბადოების გაკონტროლება, ოპეკის დაშლა და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ნავთობზე დაბალი ფასების შენარჩუნება წარმოადგენს, რაც, რასაკვირველია, რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება. მაგრამ, არის კი სპარსეთის ყურეში მეორე ომის მიზეზი მხოლოდ ნავთობი? ომის ხარჯები, რომელიც ამჯერად არ დაიფარება გულუხვი მოკავშირეების შემოწირულობებით, იმდენად დიდია, რომ ნავთობიდან არანაირ ჰიპოთეტურ მოგებას არ შეუძლია მისი კომპენსაცია.

პუტინის გადაწყვეტილებას კარგად ვერ ხსნის ვერც რუსეთის ნავთობგიგანტების ფაქტორი. საკითხავია, ჰქონდათ თუ არა დიდ რუსულ კომპანიებს იმის იმედი, რომ ომისშემდგომ ერაყში უდიდეს ნავთობგარიგებებს დადებდნენ?

გარდა ამისა, საეჭვოა, რომ ნავთობკომპანიებს პუტინზე ამხელა გავლენა ჰქონდეთ. გავიხსენოთ, როგორი აშკარა გაღიზიანებით შეხვდა პუტინი "იუკოსის" პრეზიდენტის მიხეილ ხოდორკოვსკის მოთხოვნას, ხელისუფლებაში კორუფციის ალაგმვის შესახებ. გარდა ამისა, ერაყში ნავთობსაბადოების ათვისება, რეალურად, რუსეთიდან კაპიტალის გადინებას ნიშნავს, რაც ხელს პუტინის მთავარი მიზნის – ეკონომიკური ზრდის მიღწევას არანაირად არ უწყობს. ამდენად, მსოფლიო ბაზარზე რუსული ნავთობის ინტერესების გათვალისწინებით, უფრო მომგებიანი იქნებოდა გამარჯვებული კოალიციის მხარეზე ყოფნა, ვიდრე მოვლენების გვერდიდან ყურება.

ვინ ზრუნავს ხალხის აზრზე?

საზოგადოებრივი აზრი სპარსეთის ყურის მეორე ომში რუსეთის პოზიციის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა. რუსული საზოგადოების აზრით (რომელიც, არასოდეს ყოფილა პაციფისტური), ომი უსამართლოა და ამერიკის სიხარბით არის გამოწვეული. პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებიც ანტისაომარ

ვლადიმირ პუტინი.

პლატფორმაზე არიან გაერთიანებულნი, რაც ანტი-ამერიკულ განწყობებს ეფუძნება. ამ განწყობას რამდენიმე საფუძველი აქვს: დაწყებული ცივი ომისდროინდელი კლიშეებიდან - დამთავრებული საქართველოზე აშშ-ს სადაზვერვო თვითმფრინავის გადაფრენითა და ცენტრალურ აზიაში ამერიკული ჯარების განლაგებით. რუსეთში არჩევნებამდე ნახევარი წელი დარჩა, და ამიტომ, პუტინი იძულებულია საზოგადოებრივ აზრს ანგარიში გაუწიოს.

თუმცა, ეს მოსაზრება სერიოზულ კრიტიკას ვერ უძლებს. ხალხის წინააღმდეგობა ომისადმი მხოლოდ ზედაპირულია და მის წინააღმდეგ წასვლა პუტინს იოლად შეეძლო. ხალხი ამას გაცილებით იოლად შეეგუებოდა, ვიდრე თუნდაც ამერიკელების მიერ შუა აზიაში ჯარების განთავსებაზე თანხმობას. რაც შეეხება არჩევნებს, პუტინს იმდენად ძლიერი კონტროლი აქვს მედიაზე, რომ ზომიერად პროამერიკული კურსის გამო, მას პრობლემები არ შეექმნებოდა.

ასე რომ პუტინს, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, თავისუფლად შეეძლო განეცხადებინა, რომ უშიშროების საბჭოზე კენჭისყრისას თავს შეიკავებდა და ვეტოთი არ დამუქრებოდა ამერიკას.

რა არის ცუდი ჰეგემონიაში?

გეოპოლიტიკას რუსეთის პოლიტიკურ აზროვნებაში ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. იმ მოსაზრებას, რომ რუსეთი უნდა დაუპირისპირდეს აშშ-ს სტრატეგიას, რომელიც ჰეგემონური მსოფლიო წესრიგის დამყარებას ცდილობს, უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე ამავე მოსაზრების ვიწრო ინტერპრეტაციას, რომ რუსეთმა აშშ-ს შეჭრა ევრაზიის "გულში" (პირველად ავღანეთის, ხოლო ახლა - ერაყის გზით) უნდა შეაჩეროს.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთისთვის დიდი ტერიტორია შეიძლება წამგებიანიც იყოს, რადგან მასზე მუდმივად თვალი უჭირავთ უფრო დინამიურ მეზობლებს. საკითხავია, რუსეთისათვის რითია ერთპოლუსიანი მსოფლიო მრავალპოლუსიანზე უარესი, მით უმეტეს, როცა თვითონ იგი საკმაოდ სუსტია იმისათვის, რომ თავად იყოს ერთ-ერთი პოლუსი? რა არის იმაში ცუდი, თუ ამერიკა მოაწესრიგებს რეგიონულ კონფლიქტებს, აღკვეთს მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებას და დაამხობს დიქტატორულ რეჟიმებს? როცა საფრანგეთი უპირისპირდება ერთპოლუსიან მსოფლიოს, ეს სავსებით გასაგებია, მაგრამ რუსეთი კარგად უნდა დაფიქრდეს, სანამ პარიზის არგუმენტებს გაიმეორებს.

პუტინის პატარა სიხარული

თუ არც ნავთობია მიზეზი, არც საზოგადოებრივი აზრი და არც გეოპოლიტიკა, მაშინ რაღაა?

ამ კითხვაზე პასუხისათვის უნდა გავიხსენოთ, რა სწრაფად აიტაცა ყოფილმა საშუალო რანგის მზვერავმა დევიზი "სახელმწიფო, ეს მე ვარ". ამით ის არ გამხდარა უფრო დიდი სახელმწიფო მოღვაწე, მაგრამ საგრძნობლად შემცირდა მისი უნარი, მოისმინოს მრჩევლებისა და ექსპერტების აზრი. საგარეო პოლიტიკა მისთვის პირადული საქმეა, სადაც პირადი ფაქტორი ეკონომიკურ თუ გეოპოლიტიკურ გათვლებზე უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

პუტინს, ალბათ, შეეძლო ყოფილიყო "გაჭირვებაში ბუშის საუკეთესო მეგობარი", მაგრამ ეს ადგილი უკვე დაკავებული ჰქონდა ტონი ბლერს. მეორე საუკეთესო მეგობრის როლისათვის ბერლუსკონისთან ან აზნართან კონკურენცია კი პუტინმა თავისი ღირსების შესაფერისად არ ჩათვალა. განსხვავებით ბლერისაგან, რომელიც ტრანსატლანტიკური ალიანსის გადარჩენას ცდილობს, პუტინისათვის საგარეო პოლიტიკა პირველ რიგში პრესტიჟის საქმეა. ბუშის ცნობილი განცხადება პუტინისათვის თვალებში ჩახედვის შესახებ, რუსეთის პრეზიდენტისათვის, პირველ რიგში, საკუთარი ავტორიტეტის გაზრდას, და არა ამერიკასთან დიდი მეგობრობის დასაწყისს ნიშნავდა.

ახლანდელი კრიზისის დროს, განდიდების წყურვილი პუტინისაგან ამერიკიდან დისტანცირებასა და ანტისაომარ კოალიციასთან მიერთებას მოითხოვდა. თანაც, ევროპელებმა პუტინის მხარდაჭერის სანაცვლოდ, ჩეჩნეთის პრობლემა დაივიწყეს.

თუ რუსეთის სტრატეგიის პირველ შედეგებს გადავხედავთ, რაიმე დადებითს ძნელად თუ ვიპოვით. რუსეთმა ხელიდან გაუშვა შანსი, ევროპულ-ამერიკული დაპირისპირებით რაიმე მიეღო. ნაცვლად იმისა, რომ მხარეებისათვის კომპრომისული ვარიანტი შეეთავაზებინა, პუტინი ბოლომდე გაჰყვა ფრანგებს.

პუტინმა არ გამოიყენა ბუშის სატელეფონო ზარიც, რათა მათი მეგობრობა გადაერჩინა, ამის ნაცვლად მან ომი საზეიმოდ გამოაცხადა "დიდ პოლიტიკურ შეცდომად". მაშინ, როდესაც ჩინეთმა ხმამაღალი განცხადებებისაგან თავი შეიკავა, პუტინი პირდაპირ გადაეშვა დიპლომატიური მორევის შუაგულში, რათა ამით მსოფლიოსათვის თავისი მნიშვნელობა ეჩვენებინა. ამიტომ, შირაკის კომენტარი "აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე, რომლებმაც ხელიდან გაუშვეს ჩუმად ყოფნის შანსი", ალბათ, ყველაზე მეტად რუსეთზეა ზედგამოჭრილი.

პაველ ბაევი

(იბეჭდება შემოკლებით)

რა ხდება ბაღდადთან

ანალიტიკოსთა შეფასებები

მოკავშირეთა ქვედანაყოფებმა გუშინ, პრაქტიკულად, წინააღმდეგობის გარეშე წაიწიეს წინ და ახლა ბაღდადიდან 10 კილომეტრზე არიან განლაგებულნი. მათი პირველი მიზანი ბაღდადის აეროპორტი იქნება. ქვემოთ გთავაზობთ ექსპერტების პასუხებს სამ დასმულ კითხვაზე: რამდენად მოულოდნელი იყო ასე სწრაფი წინსვლა ბაღდადისაკენ? ხომ არ უგებენ ერაყელები მოკავშირეებს მახეს და დაიწყო თუ არა ბაღდადზე საბოლოო იერიში.

ჟან-ლუი დუფური
სამხედრო კონსულტანტი, საფრანგეთი

"ეს იერიში მართლაც ბადებს რამდენიმე კითხვას. რა მოუვიდათ რესპუბლიკური გვარდიის დანაყოფებს? ისინი განადგურებულია თუ მხოლოდ ქალაქისაკენ დაიხიეს? იმის თქმა, რა ზარალი მიაყენა მათ საჰაერო დაბომბვებმა, მე არ შემიძლია"

"ბაღდადის აეროპორტის აღება მართლაც უმნიშვნელოვანესია. ეს მოკავშირეებს ფრონტზე მყოფი დანაყოფების მომარაგებას ძალზე გაუადვილებთ."

"უეჭველია, რომ ომი ახალ ფაზაში შევიდა. ამერიკელებს ბაღდადის იერიში რამდენიმე გზით შეუძლიათ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ასატანი იქნება მათთვის შესაძლო დანაკარგები".

კლაუს რეინჰარდტი
კოსოვოს სამშვიდობო ძალების ყოფილი სარდალი, გერმანია

"არა მგონია, რომ ეს მახეა და არც ის მგონია, რომ ეს შეტევა მოულოდნელი იყო. ამერიკელები ძალზე სისტემურად მიიწევენ წინ. მათ პრობლემები ჰქონდათ მომარაგებასთან დაკავშირებით, მაგრამ ისინი უკვე მოგვარებულია".

"როგორც კი რესპუბლიკური გვარდიის მსხვილი ქვედანაყოფები გადაადგილებას იწყებენ, ისინი მაშინვე მოკავშირეთა ავიაციის სამიზნე ხდებიან. ცაში ამერიკელებს სრული უპირატესობა აქვთ. სადამისათვის იოლი არ იქნება ჩრდილოეთით დისლოცირებული დივიზიების სამხრეთით გადასროლა."

"ის ძალები, რომლებიც ახლა მიიწევენ წინ, ქვეითთა მესამე დივიზია და საზღვაო ქვეითები, არა მგონია ბაღდადის ასაღებად საკმარისი იყოს, მაგრამ ამერიკელებს აქვთ საშუალება, დამატებითი ძალები გადაისროლონ."

"ვფიქრობ, ამერიკელები შეეცდებიან, ავიაციისა და არტილერიის გამოყენებით, გაანადგურონ რესპუბლიკური გვარდია, რომ უშუალოდ ქალაქში მათ რაც შეიძლება ნაკლები წინააღმდეგობა შეხვდეთ."

იგორ კოროტჩენკო
"ნეზავისიმოე ვოენნოე ობოზრენიეს" მიმომხილველი, რუსეთი

"ეს არ შეიძლება, მახე იყოს. თანამგზავრების მეშვეობით ამერიკელები მუდმივ მონიტორინგს ახორციელებენ. სადამს არ შეუძლია, თავისი ჯარები ფარულად გადააადგილოს."

"ეს არ არის საბოლოო შეტევა, ჯერ კიდევ შეზღუდული ბრძოლები მიდის."

"ამერიკელებს საკმარისი სადაზვერვო მონაცემები აქვთ, რათა სწორი გადაწყვეტილებები მიიღონ. ამერიკელების სრული საჰაერო უპირატესობის პირობებში, ერაყის არმიას მხოლოდ ტაქტიკური უპირატესობის მიღწევა შეუძლია, მაგრამ ომში სტრატეგიულ გარდატეხას ვერ შეიტანს."

მაიკ მაკგინტი
სამხედრო ანალიტიკოსი, სამეფო სამხედრო ინსტიტუტი, დიდი ბრიტანეთი

"მე მგონი, მოკავშირეებმა ძალიან კარგად იციან, რასაც აკეთებენ. ვფიქრობ, ისინი გაჭიანურებული ბრძოლებისათვის ემზადებიან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ გაანადგურეს რესპუბლიკური გვარდიის დივიზიები, სანამ ისინი ბაღდადში დაბრუნებას შეძლებდნენ".

"რესპუბლიკურმა გვარდიამ წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო, რადგან ერთკვირიანი დაბომბვებისაგან იგი უკვე ძალადაშრეტილი იყო".

"სადამს ყოველთვის სურდა, რომ ჩვენ ქალაქებში შევეტყუებინეთ და ბრძოლა იქ გაემართა, ჩვენ კი ყოველთვის ამის თავიდან არიდება გვინდოდა".

"მე ვერ ვიტყოდი, რომ ეს მახეა. ჩვენ ვიცით, რა გველის წინ."

"როიტერი"

ამერიკამ, შესაძლოა, ავღანეთი დაკარგოს

ერაყში წარმოებული ომის პარალელურად, ექსპერტები შიშობენ, რომ ავღანეთში შეიძლება უკონტროლო მოვლენები განვითარდეს.

უსაფრთხოების მდგომარეობის გაუარესების, თალიბების რეანიმაციის, საველე მეთაურების მიერ ძალაუფლების დათმობაზე უარის თქმის, მეზობელი სახელმწიფოების ჩარევისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ერაყზე კონცენტრირების ფონზე, ავღანეთში უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში მიღწეული პროგრესი ეჭვის ქვეშ დადგა.

"ავღანეთში წონასწორობა ირღვევა", - ამბობს რაფაელ რობილარდი, ავღანეთში დახმარების საკოორდინაციო ჯგუფის წევრი.

ექსპერტები შეშფოთებულები არიან ავღანეთში "უსაფრთხოების ვაკუუმით", რომელიც ცენტრალური მთავრობის ქვეყნის ტერიტორიაზე არასათანადო კონტროლით არის გამოწვეული. ცენტრალური მთავრობის სისუსტეს საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიციაც აძლიერებს, რომელსაც ქაბულის გარეთ მშვიდობისმყოფელთა განთავსება არ სურს.

არსებული ვაკუუმი ეკონომიკური და ჰუმანიტარული დახმარების განაწილებას ხელს უშლის, დახმარების დიდი ნაწილი სამხრეთ რეგიონებში ხვდება, რაც ავღანეთის ეთნიკური უმრავლესობის - პუშტუნების უკმაყოფილებას იწვევს.

ვაკუუმში მოექცნენ თალიბებიც, რომლებიც აშშ-ს მხარდაჭერით ოპოზიციამ ხელისუფლებას ჩამოაშორა. მართალია, ახლა ისინი წამყვან პოლიტიკურ ძალას აღარ წარმოადგენენ, მაგრამ საზოგადოებაში გარკვეული გავლენა კვლავ აქვთ.

ავღანური წყაროების ცნობით, გასულ კვირას თალიბებმა წითელი ჯვრის წევრი მოკლეს, რაც ჰუმანიტარული ორგანიზაციის თანამშრომლის პირველი მკვლელობა იყო უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში. მისმა მკვლელობამ უცხოელები კიდევ უფრო დააფრთხო.

"არა მგონია, რომ თალიბებმა რამეს მიაღწიონ, - აღნიშნა ერთმა დიპლომატმა, - მაგრამ მათ ვითარების გართულება ნამდვილად შეუძლიათ".

ამერიკელთა ათასობით ჯარისკაცი ამჟამად პუშტუნებით დასახლებულ რაიონებში ჩხრეკას აწარმოებს. თუმცა, ჩხრეკის დროს გამოყენებულმა მეთოდებმა, შესაძლოა, ვითარება კიდევ უფრო გაართულოს.

"თუ ჩხრეკა ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და ნორმების გაუთვალისწინებლად ჩატარდება, ამან შეიძლება დაპირისპირება გამოიწვიოს", - ამბობს ვიკ პარეხი, ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

იმის მიუხედავად, რომ ქაბულში საერთაშორისო სამშვიდობო ძალები არიან განლაგებულნი, პრობლემები იქაც ბევრია. თავდაცვის მინისტრმა მოჰამად კასიმ ფაჰიმმა და მისმა მოკავშირეებმა ხელისუფლებაში დიდი გავლენა მოიპოვეს.

დიპლომატებისა და ანალიტიკოსების აზრით, თალიბების რეჟიმის დაცემიდან ერთი წლის შემდეგ, კასიმი თავისი ძალაუფლების გაყოფას არავისთვის არ აპირებს და მისი პოზიცია უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების განიარაღებასა და არმიის ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად აფერხებს.

ექსპერტების თქმით, თალიბების წინააღმდეგ ომში ამერიკელებმა კასიმსა და ჩრდილოეთის ალიანსს დაუჭირეს მხარი, მაგრამ ახლა, ავღანეთში სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოსაყალიბებლად ვაშინგტონს უფრო დახვეწილი პოლიტიკის გატარება ესაჭიროება.

2001 წლის დეკემბერში ბონში მიღწეული სამშვიდობო შეთანხმებით, ამ წლის ოქტომბერში უნდა მიიღონ ქვეყნის კონსტიტუცია, ხოლო 2004 წლის ივნისში არჩევნები უნდა ჩატარდეს. თუმცა, კონსტიტუციის მიღების პროცედურები უკვე დარღვეულია. მნიშვნელოვანი საქმეები კი ავღანეთში კვლავ თოფის მეშვეობით წყდება.

"ბევრმა იცის, რომ არჩევნების შემდეგ, ძველებური ძალაუფლება აღარ ექნება. თუ ხალხი არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო დარჩება, ეს შესაძლოა, კონსტიტუციის უარყოფისა და შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების საფუძველი გახდეს", - აღნიშნა პარეხმა.

"გამარჯვების გამოცხადება ძალზე ადრეა, - ამბობს ო`ბრაიენი, ავღანეთში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელი, - ავღანეთს მუდმივი საერთაშორისო ზრუნვა ხუთი-ათი წლის განმავლობაში კიდევ სჭირდება".

"როიტერი"

გერმანია ერაყის რეკონსტრუქციაში აქტიური როლის შესრულებას გეგმავს

გუშინ გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა განაცხადა, რომ ომის შემდეგ ერაყის ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელი უნდა დარჩეს, ხოლო ქვეყნის ნავთობი და სხვა ბუნებრივი რესურსები ერაყელმა ხალხმა უნდა გააკონტროლოს.

შრიოდერის თქმით, გაერო-მ ომისშემდგომი ერაყის ჩამოყალიბებაში ცენტრალური როლი უნდა შეასრულოს.

პარლამენტში გაკეთებულ მოხსენებაში შრიოდერმა აღნიშნა, რომ იგი ამერიკის ომს ერაყში კვლავ ეწინააღმდეგება, მაგრამ იმედოვნებს, რომ ომი მალე დასრულდება და ერაყელ ხალხს დიქტატურის გარეშე თავისუფლად შეეძლება ცხოვრება.

კანცლერ შრიოდერის განცხადება ბრიუსელში დაგეგმილი საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე გაკეთდა,

გერჰარდ შრიოდერი.

სადაც ევროპელები, სახელმწიფო მდივან კოლინ პაულეთან ერთად, ერაყის მომავალს განიხილავენ.

შრიოდერის თქმით, "რეკონსტრუქცია გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე შენობების შეკეთება, ნავთობის საბადოები და ინფრასტრუქტურა. საზოგადოების რეალური რეკონსტრუქცია გაერო-ს მიერ უნდა იყოს ორგანიზებული".

ამავდროულად ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სტრო შეხვდა თავის გერმანელ კოლეგას - იოშკა ფიშერს. პაუელთან შეხვედრამდე ბერლინში მყოფმა სტრომ განაცხადა, რომ გერმანია და დიდი ბრიტანეთი "აზრთა სხვადასხვაობის დაძლევას" შეძლებენ.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ერაყის აღსადგენად გერმანიის მიერ გაერო-ს დაფინანსება თანამშრომლობის კარგი დასაწყისია.

ფინანსთა სამინისტრო „მრეწველებთან“ თათბირობს

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში კიდევ ერთხელ შედგა ახალი საგადასახადო კოდექსისა და არსებულ კოდექსში შესატან ცვლილებათა პაკეტის განხილვა. ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი არ გამორიცხავს, რომ მომავალ სასესიო კვირას კოდექსის ეს ორი ვარიანტი შეჯერებული სახით წარდგეს პარლამენტართა წინაშე.

სოფო კვინტრაძე

"მრეწველთა" ფრაქციის ინიციატივით პარლამენტში შეტანილი ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო. პარალელურად, საკანონმდებლო ორგანოში შესულია ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტი "საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ." საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი მიიჩნევს, რომ უმჯობესი იქნება, ამ ორი კანონპროექტის შეჯერება მოხდეს. ფინანსთა სამინისტრომ მთავრობის პოზიცია "მრეწველთა" კოდექსთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ დააფიქსირა. როგორც მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი აცხადებს, ისინი იზიარებენ ახალი საგადასახადო კოდექსის მთელ რიგ პრინციპებს, თუმცა, რამდენიმე დებულება მათთვის კატეგორიულად მიუღებელია. კერძოდ, ლევან ჩრდილელის კრიტიკა შეეხო ახალი კოდექსის იმ თავებს, სადაც საუბარია გადასახადების განაკვეთების შემცირებაზე. მინისტრის მოადგილეს მიაჩნია, რომ ეს ფისკალური ეფექტის შემცირებას გამოიწვევს. ამას გარდა, ფინანსთა სამინისტროს არ მოსწონს დღგ-ს აღრიცხვიანობის ახალი სისტემის შემოღება, რომლის მიხედვითაც ანგარიშფაქტურები უქმდება. ჩრდილელის განცხადებით, ახალ სისტემაზე გადასვლას დღგ-ს გადამხდელთა ახალი მონაცემთა ბაზის შემუშავება დასჭირდება, რაც ორ-სამ წელიწადს მაინც გასტანს, მანამდე კი სრული ქაოსია მოსალოდნელი. მესამე, რასაც ფინანსთა სამინისტრო ახალ კოდექსში არ ეთანხმება, ურჩი გადამხდელების მიმართ იძულებითი ღონისძიებების გაუქმების საკითხი გახლავთ. **"გადამხდელისა და გადასახადის ამკრეფის თანაბარუფლებიანობა კარგია, მაგრამ ჩვენ უნდა გაგვაჩნდეს ბერკეტები, რითაც ურჩ გადამხდელებს გადასახადის გადახდას ვაიძულებთ,"** – აცხადებს ჩრდილელი.

ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ ცვლილებათა პაკეტში უქმდება რამდენიმე გადასახადი, მათ შორის - საკურორტო, სასტუმროს, რეკლამის, ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენების, საწვავ-საპოხი მასალების რეალიზაციის გადასახადები. მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის დამატებითი ღირებულების გადასახადი. თუ აქამდე დღგ-ს გადამხდელებად ითვლებოდნენ მეწარმეები, რომელთა ბრუნვა 24 ათას ლარს აღემატებოდა, ცვლილების მიხედვით, ეს ზღვარი 100 ათას ლარამდე იზრდება. იმ გადამხდელთათვის, რომელთა ბრუნვა 100 ათას ლარს არ აღემატება, შემოღებული იქნება მცირე ბიზნესის გადასახადი, რაც მათი ბრუნვის შვიდ პროცენტს შეადგენს. შვიდპროცენტიანი დაბეგვრის რეჟიმში მომუშავე გადამხდელები აღარ გადაიხდიან სოციალურ გადასახადს, ეკონომიკური საქმიანობის გადასახადს, საავტომობილო გზებით სარგებლობის გადასახადს, საშემოსავლო გადასახადს, მოგების გადასახადს, დღგ-ს. ლევან ჩრდილელის განცხადებით, აღნიშნული სისტემა მცირე მეწარმეებისათვის ბუღალტრულ აღრიცხვას მნიშვნელოვნად გააადვილებს და კორუფციასაც შეამცირებს. ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, კიდევ ერთი ცვლილებაა კანონპროექტში. ეს შეეხება ფიზიკურ პირთათვის ქონების გადასახადის დაწესებას. 100 კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართის მფლობელები ამ გადასახადით დაიბეგრებიან. ლევან ჩრდილელი აცხადებს, რომ ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები "მრეწველებთან" და შესაძლოა, კოდექსის ორი ვარიანტის შეჯერება მოხდეს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ფრაქცია "აღორძინების" წევრმა ანზორ გოგიტიძემ წარმოადგინა კანონპროექტი "სპეციალური ეკონომიკური ზონების შესახებ", რომელსაც ერთადერთი ოპონენტი გამოუჩნდა ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის მოადგილის გელა ჩარკვიანის სახით. ჩარკვიანს მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე საქართველოში სეზის შემოღების აუცილებლობა არ დგას. კომიტეტმა მოისმინა აგრეთვე, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის ამირან გამყრელიძის მოხსენება შრომის კოდექსში მინიმალურ ხელფასთან დაკავშირებულ ცვლილებაზე. პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი მინიმალური ხელფასის ეტაპობრივ გაზრდას ითვალისწინებს. 2003 წლის 1 ივლისისათვის დაგეგმილია მინიმალური ხელფასის 35 ლარამდე გაზრდა. პრეზიდენტის კანონპროექტს პარლამენტი, სავარაუდოდ, მომავალ კვირას განიხილავს.

ენერგოსექტორის ვალები - კორუფციის კიდევ ერთი წყარო

პირველი გვერდიდან

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ჩატარებული ტენდერის საშუალებით, ჩამოყალიბდა გაურკვეველი დანიშნულების ორგანიზაცია – "ნეოგენერაცია", რომელიც აღნიშნულ თანხებში "აფათურებს ხელს". ქონების მართვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ხელშეკრულება "ნეოგენერაციასთან" არასწორად არის გაფორმებული და საკითხის სასამართლო წესით გადაწყვეტას ითხოვს. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის, დემურ გიორხელიძის განცხადებით, **"კომიტეტმა ჯერჯერობით ვერ მიაკვლია ინფორმაციას "ნეოგენერაციის" საქმიანობის შესახებ. ერთი კი ნათელია - მიმდინარეობს ენერგოსექტორში დაგროვილი ვალების 30-40 პროცენტში გაყიდვა, კერძო პირები ჰაერიდან იჯიბავენ მილიონებს და, რაც დრო გადის, უფრო მეტი ქაოსი იქმნება. მთავარი კი ისაა, რომ საბოლოო ჯამში, აღნიშნული თანხა ისევ სახელმწიფო ბიუჯეტიდან იქნება გადასახდელი."** მისივე თქმით, კომიტეტი აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისაგან მოითხოვს, ერთი კვირის ვადაში მიღებულ იქნას ზომები და გადაწყდეს, საჭიროა თუ არა "საქენერგო 2000"-ის არსებობა. აღსანიშნავია, რომ "საქენერგო 2000"-ის ლიკვიდაციის შემთხვევაში, მისი ფუნქციები სხვა ორგანიზაციებს უნდა გადაუნაწილდეს.

"საქენერგო 2000", რომელსაც საპარლამენტო კომიტეტმა სხდომა მიუძღვნა, კარგა ხანია, ფიქტიურად ფუნქციონირებს. მისი ხელმძღვანელი სამსახურში არ ცხადდება, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ორგანიზაციისათვის განკუთვნილ შენობაშიც კი არ უშვებენ. გიორხელიძე აცხადებს, რომ აღნიშნული ორგანიზაციის პარალიზება ენერგოსექტორში არსებული ვალების გაყიდვის მიზნით მოხდა, **"შედეგად კი ის არეულობა მივიღეთ, რასაც "ნეოგენერაცია" წარმოადგენს."** ვინ და რა რანგის ადამიანები დგანან "ნეოგენერაციის" უკან, ამის გარკვევას დემურ გიორხელიძე უახლოეს მომავალში ვარაუდობს.

რაც შეეხება სხდომის დღის წესრიგში მეორე საკითხად შეტანილ კანონპროექტს "სპეციალური ეკონომიკური ზონების შესახებ", კომიტეტის წევრების განცხადებით, უპრიანი იქნება, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მისი განხილვა პრეზიდენტის ინიციატივით მოხდეს.

დემურ გიორხელიძე "ნეოგენერეციის" კვალს ეძებს.

"იტერას" პრობლემები შეექმნა?

გუშინ დილიდან "იტერამ" სამხრეთ კავკასიის მიმართულებით გაზის მოწოდება შეამცირა. ამის შედეგად, თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მცხოვრებ მომხმარებლებს ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდათ.

მაია ურუშაძე

ბუნებრივი აირის მოცულობის შემცირების გამო განახევრდა გაზის მიწოდება "თბილსრესის" მე-3 ენერგობლოკისთვისაც, რომელიც 120 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებს. მიწოდება შეუმცირდათ "საქგაზის" შვილობილ კომპანიებს, სააქციო საზოგადოება "აზოტს" და სხვა სამრეწველო ობიექტებს. მე-3 ენერგობლოკის მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების შემცირებამ კიდევ უფრო გაამწვავა დედაქალაქში არსებული ელექტროენერგიის დეფიციტი: თბილისის ყველა უბანს დენი მცოცავი გრაფიკით, სამ-სამი საათის განმავლობაში ეძლეოდა.

გუშინ დილიდან, "თბილგაზი", სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო და თავად "იტერას" წარმომადგენლობა საქართველოში გაზის შეწყვეტის თაობაზე ურთიერთგამომრიცხავ ვერსიებს ავრცელებდნენ. მაგალითად, დილას "იტერას" ოფიციალურმა წარმომადგენელმა თამაზ პატარიძემ განაცხადა, რომ გაზის რაოდენობა იმ ლიმიტების მიხედვით შეიზღუდა, რაც თავის დროზე ქართულმა მხარემ წარუდგინა რუსულ კომპანიას. "თბილგაზში" კი ირწმუნებოდნენ, რომ აპრილის განაცხადები "იტერაში" იმავე მოცულობის გაზზე გააგზავნეს, როგორც წინა თვეებში. "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ გაზის შემცირების ნამდვილ მიზეზად "იტერასა" და "გაზპრომს" შორის გაზის ტრანსპორტირებაში შექმნილ პრობლემა დაასახელა.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ გაზის ნაკადის შემცირების მიზეზებზე გუშინ კომენტარი საერთოდ ვერ გააკეთა. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ დემურ გიორხელიძემ კი გაზის შემცირება პოლიტიკური მოტივებით ახსნა და არ გამორიცხა, რომ გაზის მოწოდების შემცირებით რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური ბერკეტი აამოქმედა.

გუშინ საღამოს თამაზ პატარიძემ თავისივე ინფორმაცია უარყო და განაცხადა, რომ მთელი ეს არეულობა უზბეკეთის ტერიტორიაზე გაზის ძლიერი გაჟონვის გამო მოხდა. **"გაჟონვის შესახებ არც "იტერამ" იცოდა, არც "გაზპრომმა" – "უზბეკტრანსიდან" მხოლოდ საღამოს მოვიდა ინფორმაცია ამის თაობაზე,"** -. მისი ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ უზბეკეთში დაზიანებული გაზსაქაჩი სადგურების რემონტს რამდენიმე დღე დასჭირდება, დღეს დილიდან თბილისი საკმაო რაოდენობის გაზს მიიღებს.

მონიტორინგი

მთავრობა საბაჟოს თავკაცებს გამოცვლის და მეტს არაფერს

გიორგი გახელაძე

სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის შედეგების საკითხთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს პრეზიდენტთან დახურული თათბირი გაიმართა. მას ეკონომიკური ბლოკის მინისტრები და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. როგორც კანცელარიაში გახდა ცნობილი, მიუხედავად პირველი კვარტალის ბიუჯეტის შესრულებისა, რის თაობაზეც განცხადება ფინანსთა სამინისტრომ დიდი თავმოწონებით გააკეთა, შესაძლოა საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას თანამდებობების დატოვება მოუწიოს.

ეს მოხდება მთავრობის მომავალი კვირის სხდომაზე, როდესაც ანგარიშით ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულებაზე სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე წარსდგება. იგი აპირებს დაასახელოს სხვა მაღალჩინოსანთა გვარებიც, რომელთა მიზეზითაც ბიუჯეტში თანხები არ შევიდა. თუმცა, გუშინ თათბირზე რომელიმე უწყების ან ხელმძღვანელის მიმართ პირდაპირი გაფრთხილება არ ყოფილა.

პრეზიდენტმა შევარდნაძემ, თათბირამდე ერთი საათით ადრე, მიიღო ინფორმაცია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სსფ) ბიუჯეტის შესრულების ფორმალური მაჩვენებლებით პრობლემა არ შეექმნება და 2 მილიარდიანი საგარეო ვალის გადახდის დაწყების საკითხი აპრილში მის საერთაშორისო "იმიჯს" არ დაემუქრება. სავარაუდოდ, სსფ, პარიზის კლუბის შეხვედრაზე, საქართველოს ვალების რესტრუქტურიზაციაზე მაინც უშუამდგომლებს. მაგრამ, საეჭვოა, პრეზიდენტმა და მისმა მთავრობამ აღიარონ, რომ სსფ-ის ლოიალობა დროებითია და ამის მიზეზი საკუთარი ძირითადი დონორების (ძირითადად აშშ) პოლიტიკური ნებაა მოცემულ მომენტში. მეტიც, მთელ ამ დამსახურებას ისინი თავის სასარგებლოდ "დააპრაკრუტკებენ", მარტის ბოლოს ფიქტიურად შესრულებული ბიუჯეტივით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 3 აპრილისთვის

მლნ. ლარებში

დასახელება	წლიური პროგნოზი	კვარტლის პროგნოზი	შესრულება	% წლიური პროგნოზიდან	% კვარტლის პროგნოზიდან
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	1127.4	248.11	230.21	20%	93%
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	833.7	181.04	166.69	20%	92%
საგადასახადო შემოსავლები	659.9	151.98	135.68	21%	89%
არასაგადასახადო შემოსავლები	78.4	21.36	23.21	30%	109%
გრანტები	95.4	7.7	7.8	8%	101%
სოციალური ფონდი	244.2	53.84	53.89	22%	100%
საგზაო ფონდი	49.5	12.23	8.93	18%	73%
[illegible]	239.8	75.16	59.36	25%	79%
[illegible]	8.5	2	1.96	23%	98%
[illegible]	22	13.5	8.43	38%	62%
ეროვნული ბანკის მოგება	40	27.24	19.51	49%	72%
[illegible]	41.5	4.43	3.47	8%	78%
[illegible]	127.8	28	25.99	20%	93%

დასახელება	წლიური პროგნოზი	კვარტლის პროგნოზი	შესრულება	% წლიური პროგნოზიდან	% კვარტლის პროგნოზიდან
საგადასახადო დეპარტამენტის	511.7	125.74	125.91	25%	100%
საბაჟო დეპარტამენტის	389.1	87.07	67.13	17%	77%

ბიუჯეტის შესრულების დინამიკა

2003 წლის 24-31 მარტის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

№	დასახელება	თანხა (ათას ლარებში)
1	წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა	3,388.0
2	საგარეო ვალის მომსახურება	5,491.6
3	საბიუჯეტო ორგანიზაციების თებერვლის თვის შრომის ანაზღაურება	4,633.2
	შინაგან საქმეთა სამინისტრო	2,945.0
	თავდაცვის სამინისტრო	1,688.2
4	საბიუჯეტო ორგანიზაციების მარტის თვის შრომის ანაზღაურება	3,265.5
	საქართველოს პარლამენტი	725.0
	თავდაცვის სამინისტრო (წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა)	1,664.5
	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	519.0
	სახელმწიფო კანცელარია	265.0
	უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრი	60.0
	ცენტრალური საარჩევნო კომისია	32.0
5	ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს	5,396.0
6	საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსება	3,568.7
7	ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო	1,414
	ლტოლვილთა მარტის თვის შემწეობა	678.8
	ლტოლვილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება	735.2
8	საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული წყლის ღირებულების ანაზღაურება	370.4
9	საბიუჯეტო ორგანიზაციების კავშირგაბმულობის ხარჯები	278.9
10	საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება	1,395.2
11	სხვა საქონელი და მომსახურება	1,919.1
	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	134.0
	თავდაცვის სამინისტრო	690.0
	შინაგან საქმეთა სამინისტრო	836.2
	საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი	20.0
	სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური	24.5
	საქართველოს პარლამენტი	114.0
	იუსტიციის სამინისტრო	25.0
	[illegible]	5.5
	[illegible]	15.0
	[illegible]	7.3
	[illegible]	0.3
	უშიშროების სამინისტრო	40.0
	[illegible]	7.3
12	საბიუჯეტო ორგანიზაციების სამედიცინო ხარჯები	92.0
	შინაგან საქმეთა სამინისტრო	40.0
	საქართველოს პარლამენტი	30.0
	უშიშროების საბჭო	10.5
	სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური	5.3
	[illegible]	2.3
	[illegible]	2.0
	კულტურის სამინისტრო	1.9
13	კულტურის სამინისტროს პროგრამები	21.0
14	აგრარული პროგრამები	42.5
15	[illegible]	470.0
16	სუბსიდიები	3,938.0
	[illegible]	190.0
	სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო	3700.0
	სახელმწიფო [illegible] სამსახური	48.0
17	[illegible]	5.3

სახარჯო პოლიტიკის პრიორიტეტიც ბიუჯეტის შესრულებაა

სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის პროგნოზების შესრულების მაჩვენებლები მოცემულია N1 ცხრილში.

დასაწყისში უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმა კვლავ კორექტირებულია. ამჯერად, ის გაიზარდა 4 მილიონ 650 ათასი ლარით და განისაზღვრა 248.11 მილიონი ლარის ოდენობით. ცვლილებები კვლავ არასაგადასახადო შემოსავლებს შეეხო. მათი კვარტლის პროგნოზი შემცირებული 17.7 მილიონი ლარიდან გაიზარდა 21.36 მილიონ ლარამდე.

გეგმის ცვლილება ხდება არასაგადასახადო შემოსავლების ხარჯზე, რადგან საბიუჯეტო სისტემების მოქმედი კანონით დადგენილია, რომ ცენტრალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების პირველი კვარტლის გეგმა არ შეიძლება იყოს წლიური გეგმის 23%-ზე ნაკლები. მთავრობა ბატონ ვიტალი ხაზარაძის შარშან დაგებულ მახეში გაება.

ახლა თვით გეგმის ცვლილების, განსაკუთრებით, გეგმის ზრდის მიზეზებზე. მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებელი 90%-ზე ნაკლები არ იყო და მთავრობა არ დადგა ბიუჯეტის შესწორების საკანონმდებლო ვალდებულების წინაშე, მოხდა გეგმების კორექტირება.

რამდენიმე სიტყვით ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლების შესახებ:

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პირველი კვარტლის გეგმა, ნაცვლად 248.11 მილიონი ლარისა, შესრულებულია 230.16 მილიონი ლარით ანუ 93%-ით.

ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების პირველი კვარტლის გეგმა, ნაცვლად 181.04 მილიონი ლარისა, შესრულებულია 166.69 მილიონი ლარით ანუ 92%-ით.

არასაგადასახადო შემოსავლების გეგმის შესრულება და თვის ბოლო დღის შემოსავლების დიდი რაოდენობა განაპირობა ეროვნული ბანკის მოგების ტრანსფერმა.

N1 გრაფიკზე წარმოდგენილია სახელმწიფო და ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა თვის განმავლობაში.

100%-ით არის შესრულებული სოციალური ფონდის პირველი კვარტლის შემოსავლების გეგმა. ამ საკითხზე მოგვიანებით დეტალურად გვექნება საუბარი, როცა შემოსავლებთან ერთად სოციალური ფონდის ხარჯებსაც განვიხილავთ.

63%-ით არის შესრულებული საგზაო ფონდის პირველი კვარტლის შემოსავლების გეგმა.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების პირველი კვარტლის გეგმა, ნაცვლად 212.81 მილიონი ლარისა, შესრულებულია 193.04 მილიონი ლარით ანუ 91%-ით.

აღსანიშნავია, ისიც, რომ პოსტ ფაქტუმ შეიცვალა საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების პირველი კვარტლის გეგმები. შესაბამისად, საგადასახადო დეპარტამენტის გეგმა გაიზარდა 2.79 მილიონი ლარით და საბაჟო დეპარტამენტის გეგმა შემცირდა იგივე თანხით.

24-31 მარტს ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები წარმოდგენილია N2 ცხრილში.

საკვირველია, რომ დაიფარა წინა პერიოდის დავალიანება სამი მილიონ 388 ათასი ლარის ოდენობით. ეს მაშინ, როდესაც მიმდინარე დაცული ხარჯების გაწევაც კი პრობლემაა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხარჯის ძირითადი მიზანი ისევ ბიუჯეტის შესრულება იყო.

გაწეულ იქნა ხარჯები საგარეო ვალების მომსახურებაზე, დასრულდა თებერვლის თვის შრომის ანაზღაურების დაფინანსება და დაიწყო მარტის ხელფასების გაცემა, გაიცა ტრანსფერი რეგიონებისათვის და დაიწყო ლტოლვილთა შემწეობის დაფინანსება.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ლტოლვილთა შემწეობის დაფინანსება დაიწყო ჩვეულებრივზე გვიან და ისიც არ დაფინანსებულა ბოლომდე. ცენტრალური ბიუჯეტის თებერვლის ვალდებულებები სოციალური ფონდის მიმართ ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსრულებელია.

საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსება – სამი მილიონ 569 ათასი ლარის ოდენობით, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის კიდევ ერთი წყაროა. საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსებას ჩვენ კიდევ მივუბრუნდებით, როცა მივიღებთ საბოლოო მონაცემებს საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მდგომარეობის შესახებ.

ლტოლვილთა ელექტროენერგიის ხარჯებიც (735 ათასი ლარი) ბიუჯეტის შემოსავლების წყაროა.

სავარაუდოდ, საბიუჯეტო ორგანიზაციების ელექტროენერგიის, წყლის და კავშირგაბმულობის ხარჯებიც და ხარჯები სხვა საქონელსა და მომსახურებაზე (ჯამში 3 მილიონ 964 ათასი ლარი) შემოსავლების კვარტლის პროგნოზების შესრულებას მოხმარდა.

როგორც ტელევიზიიდან შევიტყვეთ, იმავე მიზნებს მოხმარდა თელასისათვის გაცემული ენერგოსექტორის სუბსიდია 2 მილიონ 700 ათასი ლარის ოდენობით. საინტერესოა, რისთვის დაიხარჯა სუბსიდიის დარჩენილი ერთი მილიონი ლარი?

ჯამში, მხოლოდ 24-31 მარტის პერიოდში, ბიუჯეტის შემოსავლების მაჩვენებელების შესრულებას 14 მილიონ 350 ათასი ლარი მოხმარდა.

დასკვნა, რომელიც უნდა გავაკეთოთ: სახარჯო პოლიტიკის პრიორიტეტია ბიუჯეტის შესრულება.

ახლა სოციალური ფონდის ხარჯების შესახებ.

28 მარტისათვის დეკემბრის საპენსიო ვალდებულებების შესრულებას ჯერ კიდევ აკლდა ოთხი მილიონ 988 ათასი ლარი, იანვრის საპენსიო ვალდებულებების შესრულებას კი - 8 მილიონ 640 ათასი ლარი.

თებერვლის საპენსიო ვალდებულებები დაფინანსდა ხუთი მილიონ 493 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მარტის საპენსიო ვალდებულებების დაფინანსება დაწყებული არ იყო.

დადებით მოვლენათა შორის, უნდა აღინიშნოს გარდაცვლილ პენსიონერთა 2002 წლის ივლისის დავალიანების დაფარვა 502 ათასი ლარის ოდენობით.

ჯანდაცვის პროგრამების პირველი კვარტლის ხარჯები დაფინანსებულია 47%-ით, სოციალური ადაპტაციის პროგრამები დაფინანსებულია 20%-ით, დასაქმების პროგრამები კი - 26%-ით.

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

ამბოხების მონაწილე გვარდიელები პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ

ათი დღის წინ მომხდარ სამხედრო ამბოხში მონაწილე ვეტერანი გვარდიელებისთვის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ, საოლქო სასამართლოში ორდღიანი საკასაციო განხილვის შემდეგ - ძალაში დარჩა.

ამბოხებულ ვეტერან მეომართა სასამართლო პროცესი.

სტრატეგიული ობიექტისა და იარაღის უკანონო დაუფლებაში ბრალდებული თხუთმეტი ვეტერანი გვარდიელი საოლქო სასამართლოსგან მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებასა და გათავისუფლებას ელოდა. სასამართლო სხდომის დაწყებამდე პატიმართა ადვოკატები აცხადებდნენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფებს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ პატიმრობა არაკანონიერად მიუსაჯა. მათი თქმით, ის, რაც ამბოხების მოტივად სახელდება, რეალური არ არის. **"ისიც კი არ არის დადგენილი, რომელ მებრძოლს რა იარაღი ეჭირა ხელში; ამდენად, იარაღის დაუფლების ბრალდება წინააღმდეგობებს ქმნის, სასამართლომ დაკავებულები დარბაზიდანვე უნდა გაათავისუფლოს"**, - აცხადებდნენ გვარდიელთა დამცველები. თავის მხრივ, პოზიციას არ თმობდა პროკურატურაც. **"მათთვის წაყენებული ბრალდება ფაქტებს ემყარება"** – ამბობდნენ პროკურორები.

იქიდან გამომდინარე, რომ ამბოხების მეორე დღესვე საქართველოს პრეზიდენტმა მომხდარს სამხედრო გადატრიალების შეფასება მისცა და ამბოხებული გვარდიელების მკაცრად დასჯა მოითხოვა, რეალურად არავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, თუ ვის მხარეს დაიკავებდა სასამართლო.

სასამართლომაც თხუთმეტივე დაკავებული გვარდიელი: მამუკა ცისკარიშვილი, ვლადიმერ გალდავა, დავით კოშკაძე, დავით მარტიაშვილი, ჯუმბერ იაკობიძე, გიორგი ქაჯარია, ავთანდილ გიორგაძე, ოთარ ქულდანიანი, გივი წიკლაური, ნიკოლოზ ლაზარაშვილი, თენგიზ და თემურ როსტომიანები, ზაზა სარაჯიშვილი, გიორგი აბულაძე და რომან დოდაშვილი პატიმრობაში დატოვა. ამ გადაწყვეტილებას განსასჯელებისა და მათი ახლო ნათესავების მხრიდან აღშფოთება მოჰყვა. მათ სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილება "ვეტერანების წინააღმდეგ ხელისუფლების შეთქმულებად" შეაფასეს.

საოლქო სასამართლო, საქმის დიდი მოცულობის გამო, ვეტერანი გვარდიელების სარჩელის განხილვას ორ დღეს მოუნდა. გუშინდლამდე ვეტერანი გვარდიელები ირწმუნებოდნენ, რომ მათ მიერ მოწყობილი შეიარაღებული აქცია წინასწარ არ იყო დაგეგმილი, ყოველივე ექსპრომტად და მხოლოდ სოციალურ ნიადაგზე მოხდა, გუშინ მათ პოლიტიკური განცხადებები გააკეთეს და სამხედრო ამბოხის პროვოცირებაში ხელისუფლება დაადანაშაულეს. საოლქოს მიერ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვებით უკმაყოფილო პატიმართა ახლობლები კი ამბოხებით დაინტერესებულ კონკრეტულ პოლიტიკოსებსაც ასახელებდნენ, მათ შორის - საქართველოს პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრს, შს მინისტრსა და პარლამენტარ გია ყარყარაშვილს.

სამხედრო ნაწილიდან გაქცეულს მძიმე დანაშაულის ბრალდებით აკავებენ

რამდენიმე დღის წინ, დმანისელმა სამართალდამცველებმა ადამიანის გატაცებასა და გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი ივანე ადუაშვილი დააკავეს. მძიმე ბრალდებებით დაკავებული ადუაშვილის საქმე გამოსაძიებლად ვაზიანის სამხედრო პროკურატურას გადაეგზავნა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ დაკავებული, სამხედრო ნაწილიდან ერთი წლის წინ გაქცეული დეზერტირი აღმოჩნდა. დანაშაული მან გაქცევიდან ერთ თვეში ჩაიდინა. სამხედრო მოსამსახურის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულები და დეზერტირობის ბრალდება გაერთიანდა და ივანე ადუაშვილის საქმეს, ერთიანად, ქვემო ქართლის პროკურატურა გამოიძიებს.

ჩვენი ინფორმაციით, ვაზიანის სამხედრო პროკურატურა, 2003 წლის იანვრიდან დღემდე, კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადიდან, ლილოს სასაზღვრო რაზმიდან, ფონიჭალის სამხედრო ნაწილიდან და ვაზიანის სამხედრო ბაზიდან გაქცეულ 56 ჯარისკაცს ეძებს. ორმოცდათექვსმეტივე ჯარისკაცმა სამხედრო სამსახური ბოლო სამი თვის განმავლობაში მიატოვა. თითოეულ მათგანს, დეზერტირობისთვის, 7-წლიანი პატიმრობა ემუქრება.

ჩვენივე ინფორმაციით, ბოლო ორ კვირაში, სამართალდამცველებმა რვა ძებნილი დეზერტირი დააკავეს. გაქცევის მოტივები და მიზეზები გასაიდუმლოებულია. "დაკავებულები არ საუბრობენ სამხედრო ნაწილში შექმნილი პრობლემების შესახებ. გაქცევის მიზეზად, ყველა მათგანი, პირად პრობლემებს ასახელებს", - ამტკიცებს ვაზიანის სამხედრო პროკურორი მამუკა ცაავა.

თვითმკვლელობა თუ უბედური შემთხვევა

გუშინ, დაახლოებით დილის 9 საათზე, 20 წლის ანა ნიშნიანიძე მეტროსადგურ "ვაგზლის მოედანზე" მრავალი ადამიანის თვალწინ ბორბლებში ჩაუვარდა მოახლოებულ მატარებელს.

თეა ხოფერია

თბილისის რეგიონული ტრანსპორტის პროკურორის ელგუჯა საბაურის განცხადებითა და სამართალდამცავების ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, გოგონამ თავი მოიკლა.

"სადგურში მომუშავე ორი თვითმხილველის - მეტროპოლიტენის თანამშრომლების თქმით, გოგონა საკმაოდ აღელვებული ჩანდა, ნერვიული ნაბიჯით დადიოდა აქეთ-იქით და როდესაც მატარებელი მიუახლოვდა, ლიანდაგებზე ჩახტა. რამ აიძულა 20 წლის გოგონას ეს ნაბიჯი გადაედგა, ჯერჯერობით, გაურკვეველია. პროკურატურა ამ საქმესთან დაკავშირებით მოკვლევას აწარმოებს", - აცხადებს ელგუჯა საბაური. სამართალდამცველთაგან განსხვავებით, ანა ნიშნიანიძის ახლო მეგობარი ლუბა იმნაძე გამორიცხავს თვითმკვლელობის ვერსიას.

"ეს სრული სიცრუეა, ანა თავს არ მოიკლავდა. მას ამისათვის არანაირი მიზეზი არ ჰქონდა. ალბათ, ბაქანზე ბევრი ხალხი იყო, ვიღაცამ ხელი ჰკრა და შემთხვევით ჩავარდა ლიანდაგებზე", - აცხადებს ლუბა იმნაძე.

მეტიც, ანას თანაკურსელთა თქმით, დაღუპვამდე ერთი დღით ადრე მათ სახალისო გეგმები დაუწყვიათ და ანაც მხიარულებაში მთლიანად იყო ჩართული. თვითმკვლელობის მსგავსი განზრახვის ქონა, ან რაიმეს გამო ნერვული დაძაბულობა მისთვის მეგობრებს არ შეუმჩნევიათ.

ანა ნიშნიანიძე წარმოშობით ვანის რაიონის სოფელ შუამთიდან გახლდათ. თბილისში ის ნათესავებთან, ჩუღურეთის რაიონში ცხოვრობდა და პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი იყო.

მთავარი სამხედრო პროკურორი სავარძელს არ თმობს

გენერალური პროკურორის მოადგილეს გია ჯიქიასა და საქართველოს ომბუდსმენს ნანა დევდარიანს შორის დაწყებული დავა სამართლებრივ ჩარჩოს გასცდა. სახალხო ომბუდსმენის მიერ, თვეების წინ, გია ჯიქიას თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით დაწყებული სასამართლო "ომი", სამხედრო პროკურორის სავარძლისთვის ბრძოლაში გადაიზარდა.

ინგა ალავიძე

მას შემდეგ, რაც გია ჯიქიას სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი დაუპირისპირდა, კულუარებში დაიწყო საუბარი იმის შესახებ, რომ მთავარი სამხედრო პროკურორის თანამდებობისთვის თბილისის რეგიონული სამხედრო პროკურორი კობა კობიაშვილი იბრძვის. ამ თემაზე ღიად საუბარი დაიწყო გვარდიელთა ამბოხებად მონათლული ინციდენტის შემდეგ. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ შემთხვევის ადგილზე გასულმა თბილისის სამხედრო პროკურორმა მთავარს მომხდარის შესახებ შეტყობინება არ მიაწოდა.

კობა კობიაშვილს, რომელსაც თითქმის 10 წელიწადია თბილისის სამხედრო პროკურორის პოსტი უჭირავს, მეგობრული ურთიერთობა გია ჯიქიასთან ნამდვილად არ ჰქონია. ორი სამხედრო პროკურორის – მთავარისა და თბილისის რეგიონულის ურთიერთობა განსაკუთრებით ბოლო პერიოდში დაიძაბა. თუმცა მათ კოლეგიალური ურთიერთობა, ფაქტობრივად, არ ჰქონიათ, რადგანაც, როგორც ამბობენ, ჯიქია კობიაშვილში მისი სავარძლის "მტერს" ხედავდა. საქმე ისაა, რომ გია ჯიქიას თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში კობა კობიაშვილის მთავარ სამხედრო პროკურორად დანიშვნის საკითხი (მისი თანამდებობრივი სტატუსიდან გამომდინარე) დღის წესრიგში აუცილებლად დადგება. მით უმეტეს, რომ კობა კობიაშვილი პროკურატურაში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს.

სამხედრო პროკურატურის თანამდებობის პირებს შორის არსებული კონფლიქტის შესახებ გავრცელებულ ხმებს საფუძველი მთავარი სამხედრო პროკურორის განცხადებამ გაუმყარა. კობა კობიაშვილის სამსახურებრივი გულგრილობისა და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების შესახებ, მთავარმა სამხედრო პროკურორმა საუბარი გუშინ, პრეზიდენტის მიერ მისი გათავისუფლების თაობაზე ბრძანების გაცემის შემდეგ დაიწყო. მართალია, გია ჯიქია კატეგორიულად უარყოფს კობა კობიაშვილთან პირადი დაპირისპირების თაობაზე გავრცელებულ ხმებს, მაგრამ მთავარი სამხედრო პროკურორის სამუშაო გრაფიკში უკვე ჩასმულია არადამაკმაყოფილებელი მუშაობისთვის თბილისის რეგიონული პროკურორის დასჯის საკითხი. **"რა პირადი დაპირისპირება უნდა მქონდეს კობა კობიაშვილთან? ეს სისულელეა, ტყუილუბრალოდ დააკავშირეს ეს ყველაფერი ერთმანეთთან. თბილისის რეგიონული პროკურატურის მუშაობა 10 იანვარს შემოწმდა. ეს იყო ჩვეულებრივი სამუშაო რევიზია, რომელსაც სისტემატურად ვაწარმოებთ ხოლმე. თანაც მხოლოდ თბილისის სამხედრო პროკურატურა არ შემოწმებულა, შემოწმდა მთავარი სამხედრო პროკურატურის სისტემაში არსებული ყველა სტრუქტურის მუშაობის 6 თვის შედეგები. თბილისის სამხედრო პროკურატურას ძალიან სერიოზული დარღვევები აღმოაჩნდა. კომისია ამჟამად სწავლობს მასალებს, გაკეთდება დასკვნა და მას მთავარი სამხედრო პროკურატურის კოლეგიის სხდომაზე განვიხილავთ,"** – "24 საათთან" საუბრისას განაცხადა გია ჯიქიამ. მისი ინფორმაციით, თბილისის სამხედრო პროკურატურას (ანუ კობა კობიაშვილს) ძალიან სერიოზული სამართლებრივი ხარვეზები კომისიამ დეზერტირების საქმეში აღმოუჩინა. **"გარდა დეზერტირობის 250 საქმეში არსებული დარღვევებისა, თბილისის სამხედრო პროკურატურის მიერ გამოძიებულ 2 საქმეზე უზენაესმა სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა, ხოლო 3 საქმე ხელახალ ძიებაში დაბრუნდა. ამ საქმეთა საბრალდებო დასკვნას კობა კობიაშვილი აწერს ხელს. კოლეგიის სხდომაზე დასკვნა გაკეთდება; შემდეგ გენერალურ პროკურორს მივმართავ წარდგინებით და თუ კობიაშვილი დამნაშავე აღმოჩნდება, გენერალურ პროკურორს მის თანამდებობიდან გადაყენებას მოვთხოვ და ის გადაწყვეტს კობა კობიაშვილის საკითხს. გენერალურმა პროკურორმა შეფასება იმ ფაქტსაც უნდა მისცეს, ამბოხების ღამეს ინფორმაცია რომ არ მომაწოდეს. სხვათა შორის, გენერალური პროკურორი იმ ღამეს შემთხვევის ადგილზე იყო და არ უნდა დაინტერესებულიყო, თუ რატომ არ ვიყავი იქ?"** – აცხადებს გია ჯიქია.

თბილისის სამხედრო პროკურორს მთავარი სამხედრო პროკურორის ბრალდებებზე საუბარი არ სურს. კობა კობიაშვილმა კომენტარის გაკეთებაზე კატეგორიული უარი განგვიცხადა.

"გაიტანეთ გრელანდია," - გია ჯიქიას თანამდებობიდან გათავისუფლებას ასეთი კატეგორიულობით მოითხოვს საქართველოს სახალხო დამცველი და მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში წაგებულ ბრძოლას ახლა საოლქო სასამართლოში აგრძელებს.

"არ გადავდგები, სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადებას ნებით არ დავწერ. ჩემი გადაყენების სამართლებრივი საფუძველი კი არ არსებობს, ვერავინ გამათავისუფლებს. თანაც, პენსიაზე გასვლას ახლა არ ვაპირებ, 12 წლის შემდეგ კი ვნახოთ. არ გადავდგები, რადგან საქმეს ვაკეთებ. ზოგიერთები უნდა მიხვდნენ, რომ სამხედრო პროკურატურის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა დაუშვებელია," – ამბობს სახალხო დამცველის მიერ იარაღის კონტრაბანდაში, დოკუმენტების გაყალბებაში, კორუფციასა და არაპროფესიონალიზმში დადანაშაულებული გია ჯიქია.

არადა, საქართველოს პრეზიდენტმა ომბუდსმენის რეკომენდაციები მიიღო და მთავარ სამხედრო პროკურორს "განაჩენი" უკვე გამოუტანა – ნუგზარ გაბრიჩიძეს გია ჯიქიას თანამდებობიდან გადაყენება შესთავაზა.

ავტომობილების გამტაცებლებს 15-წლიანი პატიმრობა ელით

იუსტიციის სამინისტრო მორიგ საკანონმდებლო ცვლილებას ამზადებს. პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართალშემოქმედებითი დეპარტამენტი ახალი კანონპროექტის შექმნაზე მუშაობს. დეპარტამენტის უფროსის გიორგი გოგიბერიძის განცხადებით, საუბარია სისხლის სამართლის კოდექსში ავტომობილებისა და გადაადგილების სხვა მექანიკური საშუალებების დაუფლების შესახებ არსებული მუხლის ახალ რედაქციაზე; დღეისთვის საქართველოში ერთ-ერთ გავრცელებულ დანაშაულზე - ავტომობილების გატაცებაზე - სასჯელი გამკაცრდება.

ამჟამად სისხლის სამართლის კოდექსი ამ დანაშაულზე 4-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

იუსტიციის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართალშემოქმედებითი დეპარტამენტი კოდექსში შესატანი ცვლილების საბოლოო ვარიანტის შექმნამდე სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ საკანონმდებლო ნორმებს ეცნობა. გიორგი გოგიბერიძის თქმით, მანქანების გამტაცებელთა წინააღმდეგ სასჯელის გამკაცრების პრიორიტეტულ ვარიანტად ჯგუფმა უკრაინული მეთოდი მიიჩნია. ამ ვარიანტის მიხედვით, მანქანის გამტაცებლები 15 წლამდე პატიმრობით დაისჯებიან.

იუსტიციის სამინისტრომ უკვე გაუგზავნა სარეკომენდაციო წინადადებები შსს-ს, გენერალურ პროკურატურას, ექსპერტებს. წარმოდგენილი წინადადებების შეჯერების შემდეგ საკანონმდებლო ცვლილების პროექტი პრეზიდენტის კანცელარიას წარედგინება, თუ იქ დადებით შეფასებას მისცემენ, პარლამენტში შევა.

ლონდონში ტონი ბლერის მრჩეველი გაძარცვეს

ორშაბათს, ღამით, ლონდონის პოლიციის განყოფილებაში შევიდა შეტყობინება ლონდონის ჩრდილოეთით, მილჰილში მომხდარი ძარცვის შესახებ. პოლიციაში მიღებული ინფორმაციის თანახმად, შუახნის მამაკაცსა და მის მეუღლეს საკუთარ სახლთან თავს დაესხა სამი ბოროტმოქმედი. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ იქ რაიმე სახის იარაღის კვალი ვერ აღმოაჩინა. სამაგიეროდ, მსხვერპლთ – ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის მრჩეველს ახლო აღმოსავლეთის საკითხებში, ლორდ ლევისა და მის მეუღლეს - ფიზიკური ძალადობის კვალი დარჩათ. მილიონერსა და მის მეუღლეს თავდამსხმელებმა ხელბორკილები დაადეს; ინგლისის პრემიერ-მინისტრის 58 წლის მრჩეველს თავში ჯერჯერობით დაუდგენელი საგანი ჩაარტყეს და მერე სახლში შეცვივდნენ. ბოროტმოქმედებმა სახლიდან სეიფი, ნაღდი ფული და საგვარეულო ძვირფასეულობა წაიღეს. ლორდი ლევი არც ისე დიდი ხნის წინ მსხვილ ხმისჩამწერ კომპანიას ხელმძღვანელობდა. ის ტონი ბლერის დიდი ხნის მეგობარი და ჩოგბურთის თამაშისას მისი უცვლელი პარტნიორია.

უცხოეთში განათლებამიღებული იურისტები ერთიანდებიან

თამარ კაციტაძე

იყო დრო, როცა ილია ჭავჭავაძე საქართველოში ერთი-ორ განათლებულ იურისტს და ეკონომისტს ნატრობდა. დღეს კი დასავლეთში განათლებამიღებული იურისტები კითხვას სვამენ - სჭირდება თუ არა ისინი ხელისუფლებას?

გიორგი ხუბუა, ლადო ჭანტურია, მერაბ ტურავა.

გერმანიაში, ესპანეთში, ინგლისში და ამერიკის შეერთებულ შტატებში განათლებამიღებული ახალგაზრდა თაობა, რომლის ინტელექტუალური პოტენციალიც, მათივე თქმით, ფაქტობრივად, გამოუყენებელია, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლადო ჭანტურიას და პროფესორ გიორგი ხუბუას ინიციატივით გუშინ უზენაეს სასამართლოს შენობაში შეიკრიბნენ.

"ბევრი განათლებული იურისტი დაბრუნდა ქვეყანაში, მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი სახელმწიფო სამსახურში არ არის, რადგან, ჩვენდა საუბედუროდ, სახელმწიფო სამსახური პრესტიჟულად არ ითვლება. არადა, ეს პოტენციალი აშკარად სჭირდება დღევანდელ სახელმწიფოს და იგი ქვეყანას უნდა ემსახურებოდეს," – განაცხადა შეხვედრაზე ლადო ჭანტურიამ.

შეხვედრაზე წინა თაობის იურისტებიც იყვნენ მიწვეულნი. ის იურისტები, რომლებმაც ახალგაზრდების მსგავსად უცხოეთში მიიღეს განათლება. მიუხედავად იმისა, რომ მათი დიდი ნაწილი, უზენაესი სასამართლოს პარალელურად, უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა, ისინიც თვლიან, რომ მათი ინტელექტუალური პოტენციალი გამოუყენებელია. დღევანდელ ხელისუფლებას არ სჭირდება პროფესიონალური აზროვნება, - ასკვნიან ისინი. არადა, მათი აზრით, როდესაც დღევანდელ საქართველოში არსებობს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პრეტენზია, ანუ პრეტენზია დასავლური ორიენტაციისა, ხელისუფლება ვალდებულია და დაინტერესებულიც უნდა იყოს იმ ხალხით, ვინც დასავლური ფასეულობების მქონე ქვეყნებში მიიღეს განათლება და სამეცნიერო ხარისხებიც მიენიჭათ.

სიმბოლურად "არარეგისტრირებულ კავშირში" გაერთიანების იდეით შეკრებილი იურისტები, რამდენიმესაათიანი მსჯელობის შემდეგ კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ იმაში, რომ საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტვა და ცალ-ცალკე პირადი საქმის კეთება წამგებიანია ისევ და ისევ საქართველოსთვის.

"ჩვენ უნდა გავერთიანდეთ და ანალიზი გავაკეთოთ ყველა იმ პრობლემაზე, რომელიც დღეს სახელმწიფოში არსებობს. ჩვენ ვალდებულები ვართ, ამა თუ იმ საკითხზე ვიმსჯელოთ და ალტერნატიული მოსაზრება შევთავაზოთ საზოგადოებას, რათა ხალხს არჩევანის საშუალება ჰქონდეს. ჩვენ უნდა გავცდეთ წმინდა თეორიული განათლების ფარგლებს და დასავლური გამოცდილება ქართულ რეალობას მივუსადაგოთ. ჩვენ უნდა ვისწავლოთ დასავლური შრომისმოყვარეობა," – ამბობდნენ თანამედროვე "თერგდალეულები" და დასახული მიზნის მისაღწევად სამომავლო სამოქმედო გეგმებს სახავდნენ.

ერთი სიტყვით, გუშინდელ შეხვედრაზე წინა და ახლი თაობის იურისტებს შორის სრული თანხმობა სუფევდა, რაც საბოლოოდ, ოფიციალურად დარეგისტრირების გადაწყვეტილებით დასრულდა.

"ჩვენი ვიწვევთ ყველა იურისტს, ვისაც სურს გაგვიერთიანდეს და ერთად ვიმსჯელოთ, როგორც ქართულ იურისპრუდენციაში არსებულ პრობლემებზე, ასევე ქვეყნის სამომავლო სამართლებრივ მშენებლობაზე," – აღნიშნა გუშინდელი შეხვედრის დასასრულს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.

მოკლედ

ზუგდიდი. ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა გალის რაიონის სოფელ აჩიგვარაში, რუსი სამშვიდობოების საგუშაგოდან 8 კილომეტრში დაცხრილეს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის დირექტორის ლევან მებონიას მანქანა. მებონია ფეხში მსუბუქად დაიჭრა. სხვა მგზავრები არ დაშავებულან. მებონიას დირექტორობის ორი წლის განმავლობაში ეს მასზე უკვე მეორე თავდასხმაა. შარშან, გაზაფხულზე, ცეცხლი მის საცხოვრებელ სახლს გაუხსნეს. თუმცა თავად მებონია ახალ ინციდენტს ავტომანქანის გატაცების მცდელობას უკავშირებს. ამჟამად ენგურჰესის დირექტორი თბილისში იმყოფება. მომხდართან დაკავშირებით იგი კომენტარისგან თავს იკავებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გიორგი სანაიას მკვლელობისთვის განსასჯელმა გრიგოლ ხურცილავამ დღეს სასამართლოს ჩვენება უნდა მისცეს. სასამართლო პროცესზე უკვე დასრულდა ყველა მტკიცებულების გამოქვეყნება. ხურცილავას ჩვენების შემდეგ სასამართლო გამოძიება დამთავრებულად გამოცხადდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ფოთის სისხლის სამართლის სამძებროსა და საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის განყოფილებების თანამშრომლებმა დააკავეს აქციზური მარკის გარეშე საქონლის რეალიზაციისათვის ძებნილი, 35 წლის ზვიად გოგია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ჭუბურხინჯი. ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოქმედმა ოთხმხრივმა საგამოძიებო კომისიამ დასკვნის სახით წარმოადგინა ექსპერტიზის შედეგები, რომელთა თანახმადაც, 31 მარტს, გალის რაიონის სოფელ ლეკუხონაში, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის „კავკასიონის“ აფეთქება მოხდა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმით. გავრცელებული ინფორმაციით, მსგავს დივერსიულ აქტებში რუსი მშვიდობისმყოფელებიც მონაწილეობენ ხოლმე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ჭუბურხინჯი. ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ მოითხოვა, შარშან, 25 დეკემბერს, სეპარატისტთა მიერ გალის რაიონში მოწყობილი ეგზეკუციის დროს ტყვედ აყვანილი ამ რაიონის სოფელ ნაბაკევის მკვიდრის, 28 წლის ბადრი ახალაიას ცხედრის უპირობოდ გადმოცემა. ეგზეკუციის დროს დაპატიმრებულ 36 ქართველში ბადრი ახალაია არ იყო. სეპარატისტებმა იგი ცალკე წაიყვანეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, იგი სასტიკად აწამეს და მოკლეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონის პირველი სამმართველოს მე-4 განყოფილებაში განსაკუთრებით დიდი ოდენობის გადასახადებისათვის თავის არიდების ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე შპს "ავტოტავრის" ხელმძღვანელობის მიმართ. "ავტოტავრმა" ბიუჯეტში 495 ათასი ლარის გადახდას აარიდა თავი. საერთო ჯამში, სანქცია-საურავების ჩათვლით, "ავტოტავრს" ბიუჯეტის სასარგებლოდ 1 475 300 ლარი დაერიცხა. **პრაიმ-ნიუსი**

პარიზული საღამო რეზო გაბრიაძესთან

პირველი გვერდიდან

ჰოდა ერთ დილას, მჭმუნვარე მკითხველებით გარშემორტყმული ვიჯექი მეტროში და ჩემი მზერა ერთმა ქალბატონმა მიიპყრო. მას გაზეთი "Le Monde" ჰქონდა გაშლილი, კითხულობდა და იღიმებოდა, მშვიდად, ლამაზად... ამდენ მგზავრს შორის, ამერიკელების გადაადგილების სქემებს, ბატალური სცენების ფოტოებს და ეკონომისტების ღრუბლიან პროგნოზებს შეწუხებული რომ ეცნობოდნენ, ამ ქალის უდარდელმა ღიმილმა საშინელი ცნობისმოყვარეობა აღმიძრა, თანდათანობით მივუახლოვდი, რომ გამეგო, რას კითხულობდა... ფრთხილად გავაპარე თვალი და სტატიის სათაური წავიკითხე - "რეზო გაბრიაძე - ანგელოზი საქართველოდან". ევროპის ბუნდოვანი მომავლით შეწუხებული ფრანგები ამ საოცარი ადამიანის ხელოვნებას ასხამდნენ ხოტბას, რომელიც მათ თითქოს მათსავე ულრუბლო ბავშვობაში აბრუნებდა, აბრუნებდა სიცოცხლის ძირებთან და მარადიული სიყვარულის ამბავს უამბობდა, იმ სიყვარულისა, სიკვდილს რომ ერევა.

უკვე ხუთი თვეა, რაც რეზო გაბრიაძის თეატრი გასტროლებზეა საფრანგეთში - 22-მა ქალაქმა ნახა "ჩვენი გაზაფხულის შემოდგომა", ლიონის, სტრასბურგის, ტოულონის, მარსელის, პარპიგნამის და სხვათა მაყურებელი უკრავდა ტაშს ამ სპექტაკლს. პარალელურად თეატრს სხვა ქვეყნებშიც ჰქონდა გასვლები - იყვნენ შვეიცარიაში, ინგლისში - ბარბიკანის თეატრში, სადაც შექსპირის სამეფო თეატრი გამოდის, და ბელგიის სამეფო თეატრში, სადაც როდესღაც როსინი ხმიანებდა.

განსხვავებული კულტურისა და ტრადიციის მაყურებელი მუდამ აღფრთოვანებული ტოვებდა დარბაზს, სპექტაკლის ყველა ბილეთი სამი თვით ადრე უკვე გაყიდული იყო.

კიდევ კარგი, ნაცნობობა საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედი ბილეთია, თორემ ვერაფრით მოვხვდებოდი ჟერარ ფილიპის თეატრში, სადაც ამჟამად პარიზის მაყურებელი მასპინძლობს თბილისის თეატრს.

რევაზ გაბრიაძე პარიზში, ტროკადეროს მოედანზე.

საღამოს კაფეში - პარიზული ტრადიცია.

სპექტაკლის შემდეგ ხალხი დიდხანს არ იშლებოდა, ფოიეში საუბრობდნენ აღფრთოვანებულები, გახარებულები, დარდდავიწყებულები. ერთი შეხედვით, საღამოს ტანსაცმელში გამოწყობილ პარიზელებს რა უნდა ჰქონოდათ საერთო სპექტაკლის პერსონაჟ ბებია დომნასთან, ქუთაისის ელდეპოში რომ მუშაობდა... თურმე, ცრემლი და სიხარული ყოფილა მათი საერთო. და კიდევ - გაუმხელელი იმედი, რომ სიკვდილის მერეც ძვირფასი ადამიანები ერთად არიან სამოთხეში და რომ იქ სიცოცხლე და სიყვარული კვლავ გრძელდება.

გვიანი საღამო იყო. მე და ბატონი რეზო, პარიზული ტრადიციისამებრ, კაფეში ვისხედით...

"ფრანგი მაყურებელი განსაკუთრებულ სითბოს იწვევს ჩემში, - თქვა ბატონმა რეზომ, - **უაღრესად დახვეწილია, უაღრესად მომთხოვნი და მკაცრი. მას სურს, რომ მიწვდეს არსს, ამიტომ ზედმეტობას ვერ იტანს. უმცირესმა ნიუანსმა შეიძლება, საბედისწერო როლი ითამაშოს სპექტაკლის წარმატებაში. ოდნავი ზედმეტობა და მაყურებელს დაკარგავ. თანაც ფრანგი მაყურებელი ყოველთვის ავანგარდშია. მაგრამ ყველაზე დიდი განცდები ლონდონის მაყურებელთან შეხვედრამდე მქონდა და ჩემი შიში უსაფუძვლო არ იყო - ეს იყო პირველი შეხვედრა, ბარბიკანში, უდიდესი რეპუტაციის თეატრში. ჩემთვის ეს დიდი ფსიქოლოგიური სტრესი იყო, თანაც ასაკს თუ გავითვალისწინებთ..."**

ეს შეხვედრა ინგლისელ მაყურებელთან ტრიუმფით დამთავრდა.

ინგლისურმა Time's-მა თავის რევიუში უმაღლესი შეფასება მისცა სპექტაკლს.

"ერთი რამ კი არის საოცარი, - დაფიქრებით აგრძელებს ბატონი რეზო, - **როდესაც სპექტაკლში ჩიტი ბორია ამბობს, "რას ამბობ, ქუთაისში ტყუილს ვინ იტყვისო", გინდა ინგლისელი იყოს, გინდა ფრანგი და გინდა ამერიკელი, ყველა იცინის, თითქოს იცნობდნენ ქუთაისს და იცოდნენ, რომ იქ ხალხი არ იტყუება!"**

პარიზში რეზო გაბრიაძის თეატრს თავდაპირველად თეატრი De la ville მასპინძლობდა, იქ 21 წარმოდგენა გაიმართა, ჟერარ ფილიპის თეატრში კიდევ 24 სპექტაკლი დარჩა თეატრს შინ დაბრუნებამდე. ამ გასტროლების მანძილზე რეზო გაბრიაძეს ნიუ-იორკის თეატრის მენეჯერები დაუკავშირდნენ, იტალიიდანაც საინტერესო შეთავაზებებით მოაკითხეს.

"წინასწარ არ მიყვარს თქმა, თუ რაზე ვმუშაობ, - იღიმება ბატონი რეზო, - **ჯერ ერთი იმიტომ, რომ ცრუმორწმუნე ვარ. მეორეც, მუშაობის პროცესში ძნელია ილაპარაკო ნაწარმოებზე. როდესაც დაიდგმება ან დაიწერება რამე, მერე საკუთარ ნამუშევარზე მე მიჭირს რთული ქვეწყობილი წინადადებებით ლაპარაკი. თუ მას კიდევ ლაპარაკის ყავარჯნები სჭირდება, ის ცუდად ყოფილა გაკეთებული და ჯობია ახალი დავიწყო. ხშირად ერთდროულად ვმუშაობ რამდენიმე ნაწარმოებზე, მინიმალური კომფორტი მაკმაყოფილებს, თუმცა არც ფუფუნებაზე ვიტყოდი უარს. საერთოდ, ლეგენდა ტანჯულ და გალოთებულ მხატვარზე სისულელედ მიმაჩნია - მხატვარს უნდა ჰქონდეს ბევრი საღებავი და პიანისტს სასურველია როიალი stanway ედგეს სახლში.**

ამ როიალზე გამახსენდა, თბილისში, მძიმე წლების დროს, მახსოვს, ყოველდღე ვხედავდი ერთ ჟიგულს, ნელი სვლით რომ დადიოდა ქუჩებში მუდამ თავისივე გამონაბოლქვში გახვეული. უკანასკნელ კილომეტრებს ითვლიდა, ეტყობა, ძრავი აშკარა ტახიკარდიით იყო დაავადებული. ამ ჟიგულს სახურავზე ჰქონდა დამაგრებული ქვით გასწორებული მავთული და მავთულის ბოლოს ხის პატარა ფილა ირწეოდა. ამ ფილაზე ეწერა, "ვაწყობ პიანინოს". ამ მანქანას ვხედავდი დილას, შუადღეს და საღამოს. ისეთი სითბოთი და იმედით მავსებდა ეს მანქანა, ისეთ ოპტიმიზმს მაძლევდა...

ახლა 67 წლისა ვარ და იმიტომ ვიწყებ ყოველ დღეს მუშაობით, რომ მჯერა მომავლის, მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რომ ქართული ღვინო იქნება საუკეთესო და ამაში საფრანგეთი, ღვინის ქვეყანა დაგვეხმარება; რომ ქართული პური იქნება უნიკალური, და ამაში ამერიკა მოგვეშველება და მარილს როგორმე ჩვენ თვითონ ვიშოვით".

ბატონ რეზოს ვუყურებდი და ვფიქრობდი, რომ ნიჭი, ალბათ, მარადიული ახალგაზრდობის საწინდარია.

როდესაც ადამიანი შემოქმედია და ქმნის, მას დრო ვერ შეეხება.

ბატონი რეზო ამბობდა, რომ ბედნიერია თავისი თეატრის კოლექტივის ერთგულებითა და თანამშრომლობით, რომ ყოველ საღამოს, სპექტაკლის მსვლელობისას, როდესაც ესმის შესანიშნავი ქართველი მსახიობების - რამაზ ჩხიკვაძის, რუსუდან ბოლქვაძის, რუსლან მიქაბერიძის, კახა მაისურაძის ფონოგრამები, უნდა მათ მადლობა უთხრას, ისევე, როგორც ყველა ადამიანს, ვინც თეატრის დაარსების დღიდან, 1981 წლიდან, დახმარება აღმოუჩინა თეატრს - ხალხს, მთავრობას, კოლეგებს, ხელოსნებს, თანამშრომლებს - ყველას...

ვიდრე ერთმანეთს დავშორდებოდით, ვკითხე, როდესაც წერთ ან პერსონაჟს ქმნით, პიროვნული გამოცდილებიდან თუ საზრდოობთ მეთქი?

"ჩემს პიესებში მოქმედება ხდება კახეთშიც, იმერეთშიც, იაროსლავშიც, პარიზშიც - თქვენ ქალაქშიც და შიშველ ქალაქშიც - ქინძაძაში, რომელთანაც ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ბავშვობის მოგონებები მაკავშირებდეს. საერთოდ, პასუხი ამ კითხვაზე პლატონს ან არისტოტელეს თუ ექნება და მათი გაგება კი, განვლილი გზისა და ასაკის მიუხედავად, დღესაც მიჭირს".

მშვიდობით, გენერალო

უკანასკნელი გზა.

გენერალ-მაიორ თენგიზ ეპიტაშვილის ცხოვრება და სამხედრო მოღვაწეობა ბრძოლისა და გამარჯვებების ეპოპეა იყო. მოგონებები, რომელიც ავღანეთს უკავშირდება, თავგადასავლებით არის სავსე.

ბატონი თენგიზი მთელი ცხოვრების მანძილზე მესაზღვრე იყო და სამხედრო კარიერაც იქვე დაასრულა, საქართველოს სასაზღვრო ჯარების შტაბის უფროსის თანამდებობაზე.

იგი დაჯილდოებულია ორი წითელი ვარსკვლავის, ერთი წითელი დროშის, "ავღანეთის" ორდენებითა და 19 მედლით. არის ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის კავალერი. გენერალი გუშინ დაკრძალეს. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

გამოდით კაბინეტებიდან, ბატონებო!

მაკა ჭაიანი

აქსანა კოლდარი – პატარა გოგონა, რომელიც ამ ორი თვის წინათ თბილისის მერიის ვიცე-პრემიერმა, გიორგი კარბელაშვილმა "მარკო პოლოსთან" გაყინული იპოვა, გუშინ ბებიამ შინ, ლოტკინის გორაზე წაიყვანა. ვიდრე შვილიშვილს იაშვილის სახელობის ბავშვთა მეორე საავადმყოფოდან გაატანდნენ, 47 წლის აზა კოლდარს ხელი მოაწერინეს დოკუმენტზე, რომელშიც აქსანას ჯანმრთელობის დღევანდელი მდგომარეობაა გადმოცემული. გიორგი კარბელაშვილის განმარტებით, ეს იმისთვის გაკეთდა, რომ ხვალ პატარა ისეთივე მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს, როგორშიც ამ 60 დღის წინათ იყო.

მაშინ იგი ცოცხალი არავის ეგონა. ჭუჭყიანი ძველმანებით შემოსილ, დიდი ხნის დაუბანელ ბავშვს ტუბერკულოზიც აღმოაჩნდა; დაბანეს, თავი გადახოტრეს და ქალაზე თითის სიმსხო ნაჭრილობევები უპოვეს. მერე, როცა ალაპარაკდა და მომვლელებს დაუმეგობრდა, აქსანას უთქვამს, - თუ ვუძალიანდები, ბებია თავში მირტყამს და მეტროში სამათხოვროდ ისე მაგდებსო. ძალიან ნიჭიერიაო, - ამბობს მისი "დედობილი" ნათელა ჯაყონია, მშობლიურად - ბოშურად ხომ ლაპარაკობს, რუსულიც იცის, ქართულიც და, ჩვენი სმენით, აქ მეგრულიც ისწავლაო.

"კარბელა" ანას ემშვიდობება.

იგი ჯერ მხოლოდ 4 წლისაა, მაგრამ "სტაჟიანი" მათხოვარია. საქმეში ჩახედულებს თუ დავუჯერებთ - ყველაზე "შემოსავლიანი" ბავშვი დედაქალაქში. ასაკის გარდა, სხვებისგან მათხოვრობის მანერა გამოარჩევდა. მეტროს ვაგონის ერთი კარიდან მეორემდე ნაღვლიანი სახით დადიოდა, მოვიდოდა, თავს მუხლებზე დაგადებდა და ისე გიწვდიდა ხელს, თითქოს, მოწყალებასთან ერთად, მოფერებასაც გთხოვდა. საოცრად მოსიყვარულე ბავშვიაო, - ერთმანეთს ეთანხმებიან საავადმყოფოში; ამასწინათ, ნათელა ჯაყონიას სიძესთან მისულა და უთქვამს, შეიძლება, მამა დაგიძახოო?

მამა არ ჰყავს. ბებიამისმა განაცხადა, - მეზობელმა მოკლაო, მისი თანმხლები ბოშა ქალი კი ირწმუნებოდა, - გულით გარდაიცვალაო. არსებობს მესამე ვერსიაც, იგი ოფიციალური პირებისგან მოდის: კაცი მოკლა მამამისმა, ბოშების ბარონმა, რომელმაც, ამის გამო, სასჯელი სულ ახლახან მოიხადა. რაც შეეხება დედას, იგი სახლიდან გაიქცა, - 15 წლისა იყოო, თავს იქნევს აზა კოლდარის თანმხლები ბოშა ქალი. საავადმყოფოში ჰყვებიან, რომ ბოშები ორჯერ შეეცადნენ, მოეპარათ გოგონა, დიდი ჩანთებით მიადგნენ სტაციონარს, მაგრამ ვერაფერი მოახერხეს.

ქალაქი გოგონას ისევ მათ უბრუნებს. რამდენად უნდა ეს თვითონ აქსანას, რომელიც თავს ახლა ანა კარბელას უწოდებს, ძნელი სათქმელია. განსაკუთრებული სიხარული მის თვალებში გუშინ ვერავინ ამოიკითხა. იგი ისეთივე ნაღვლიანი იყო, როგორიც მაშინ - საკუთარ წარსულზე რომ ეკითხებოდნენ ხოლმე. ამიტომაც თქვა გიორგი კარბელაშვილმა, - დროა, ამ ბავშვებს მიმხედავი გამოუჩნდეს, თუ საჭიროა, კანონიც უნდა შეიცვალოს, ჩინოვნიკები კი კაბინეტებიდან გამოვიდნენ, რომ ქვეყნის უმრწმესი მოქალაქეების ექსპლუატაციას წერტილი დაესვასო.

„ქართველ პარლამენტარებს ბიზნესის არაფერი გაეგებათ"

მეწარმეთა გაერთიანება "ბიზნეს-კონფედერაცია" მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონში ცვლილებების შეტანას აპროტესტებს. 1 სექტემბრამდე ქართულ ენაზე პროდუქციის ნიშანდება სამომხმარებლო ბაზარზე დეფიციტს, კონტრაბანდული საქონლის გაზრდასა და კორუფციის მასშტაბების კიდევ უფრო გაფართოებას გამოიწვევსო, - განაცხადეს გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" შეკრებილმა ბიზნესმენებმა.

ეთერ მამულაშვილი

მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მწარმოებლები და იმპორტიორები ვალდებულნი არიან, 1 სექტემბრამდე მომხმარებელს პროდუქციის შესახებ ქართულ ენაზე მიაწოდონ სრული, აუცილებელი და უტყუარი ინფორმაცია. "ბიზნეს-კონფედერაცია", რომელიც საქართველოში მოღვაწე ორი ათასზე მეტ კომპანიას აერთიანებს, ამ ვადის 2004 წლის 1 იანვრამდე გადატანას და კანონში შესატანი ცვლილებების გადახედვას მოითხოვს.

საქართველოში მოღვაწე ადგილობრივი თუ უცხოელი ბიზნესმენები გუშინ აღშფოთებას ვერ მალავდნენ. მათი აზრით, ეს კანონი მაკონტროლებელი ორგანოებისთვის ფულის გამოძალვისა და ქართულ წარმოებაზე ზეწოლისათვის საუკეთესო საშუალებაა. ბიზნესმენები ირწმუნებიან, რომ ის დიდი ზიანის მომტანი იქნება მომხმარებლისთვისაც და მწარმოებელთათვისაც.

საქართველოში ფრინველის ხორცის იმპორტიორი, ფადი ასლი ფიქრობს, რომ კანონში ასეთი სახით ცვლილებების შეტანა, თანაც ასეთ მოკლე დროში, ქართული ეკონომიკისთვის სერიოზული დარტყმა იქნება. "ეს, დაახლოებით, იმას ჰგავს, ფეხმძიმე ქალს უბრძანო, გინდა თუ არა, ბავშვი სამ თვეში დაბადეო. ეს კანონი კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ საქართველოში კანონებს ყოველგვარი განსჯისა და ფიქრის გარეშე ღებულობენ. ქართველ პარლამენტარებს, როგორც ჩანს, საერთოდ არაფერი გაეგებათ ბიზნესის", - გვითხრა ფადი ასლიმ.

ქართველი მეწარმეები აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ერთად ერთობლივი კომისიის შექმნის ინიციატივით გამოდიან. ხსენებულ კომისიას არსებული კანონის დახვეწა უნდა დაევალოს.

"03"-ის ახალი დამცველები

"დემოკრატიის განვითარების ცენტრი" სასწრაფო დახმარების სამსახურის, "03"-ის სადარაჯოზე დგება და საკრებულოს ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ შემუშავებულ პროექტს ("03"-ის უფასო გამოძახების შესახებ) საფუძვლიანად აკრიტიკებს. აღნიშნული პროექტი "ლეიბორისტებისა" და "ნაციონალისტების" შესაბამისი პროგრამებით საზრდოობს, თუმცა ლეიბორისტების წინადადებებიდან მასში, თითქმის, აღარაფერი დარჩა. ისინი ითხოვდნენ, რომ სასწრაფო მთლიანად უფასო ყოფილიყო, მაგრამ საბოლოოდ "ნაციონალისტების" ვარიანტი გავიდა – სამი უფასო გამოძახება.

სწორედ ამ ვარიანტს აკრიტიკებენ ცენტრის წარმომადგენლები - ივანე ცერცვაძე და გიორგი ლაცაბიძე. მათი განცხადებით, სამი უფასო გამოძახების პროექტი შედგენილია სათანადო გათვლების გარეშე და ემსახურება მხოლოდ ავტორთა პოპულისტურ მიზნებს, ვინაიდან 2,5 მილიონი ლარი მილიონნახევრიანი ქალაქისათვის, რომელშიც ყველას ეძლევა სასწრაფოს სამჯერ გამოძახების უფლება და, სადაც 200 ათასზე მეტი პენსიონერი, 10 ათასობით უფულო ავადმყოფი და სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები სოციალურად დაუცველი ადამიანია, სასაცილო თანხად გამოიყურება.

ცენტრის წარმომადგენლებს ამასთან დაკავშირებით თავისი პროექტიც ჰქონიათ, რომელსაც სადაზღვევო პრინციპებზე აგებენ. მათ სურთ, რომ კერძო დამქირავებელი ვალდებული იყოს, დააზღვიოს საკუთარ წარმოებაში დაკავებული პირი. საბიუჯეტო სექტორში მომუშავეებისთვის კი არსებობდეს ნებაყოფლობითი დაზღვევის მექანიზმი, რაც დაზღვევის მსურველთა პატარ-პატარა ჯგუფებად გაერთიანებას და სადაზღვევო თანხის გადახდას ითვალისწინებს.

ნებაყოფლობით დაზღვევაზე შეიძლება არაფერი ითქვას, მაგრამ, რაც შეეხება მეწარმეთა ვალდებულებების გაზრდას, ეს ფანტასტიკას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალობას.

დამქირავებლები გადასახადების შემცირებისთვის იბრძვიან და ძნელი დასაჯერებელია, რომ პარლამენტმა შეძლოს მათი წინააღმდეგობის დაძლევა.

"24 საათი"

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

ვეტერანები არც კრიმინალები არიან და არც პოლიტიკოსები

კარგი იყო აფხაზეთი მოგვეგო - გამარჯვებულებს არ ასამართლებენ და დღეს ბევრი ნამდვილი მეომარი არ იჯდებოდა ციხეში... წაგებული გვარდიის გადარჩენილი მებრძოლების უმრავლესობა იმ დროს მისტირის, როდესაც საჭირონი იყვნენ ქვეყნისთვის. სხვათა შორის, მაშინ ისინი არა მხოლოდ ხალხს, ხელისუფლებასაც სჭირდებოდა. დღეს სურათი შეიცვალა და აღმოჩნდა, რომ მათ არა მხოლოდ ომი წააგეს...

ყველაფერი კი 2002 წლის 31 ოქტომბერს დაიწყო, როდესაც გვარდიის ვეტერანები პრეზიდენტს შეხვდნენ. იმ შეხვედრას სახელმწიფო მინისტრიც ესწრებოდა, სწორედ მას დაევალა იმ საკოორდინაციო საბჭოს კონტროლი, რომელიც მეომართა სოციალურ მდგომარეობას შეისწავლიდა და მათ დასახმარებლად თანხებს მოიძიებდა... ეს არ მოხდა. ვეტერანები პროტესტის გამოსახატავად კანცელარიასთან მივიდნენ... შედეგად -

დღეს სახელმწიფო მათ დამნაშავედ გამოცხადებას ცდილობს.

პატიმრობაში მყოფი ერთ-ერთი ვეტერანის, დავით მარტიაშვილის ადვოკატი დავით ხაჟალია ამბობს, რომ ყველა ადამიანში, როგორი დამნაშავეც უნდა იყოს, ყოველთვის არის რაღაც, რის გამოც უნდა დაიცვა... დავით ხაჟალიას თქმით, ეს მით უფრო ეხება დღევანდელ დასაცავს, რომელსაც წაყენებული ბრალდებებიდან არც ერთი არ განუზრახავს...

მაია ჭალაგანიძე

- ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში სახალხო დამცველის აპარატიდან თხოვნა შემოვიდა და რადგანაც ჩვენ სოციალურად დაუცველ ფენას ვეხმარებით, ლევან მარტიაშვილის დაცვა დამევალა. ლევანი უპირობოდ გაათავისუფლეს.

საქმეში კიდევ 15 ბრალდებულია. ყველას ერთნაირი, შაბლონური ბრალი წაუყენეს - სტრატეგიული დანიშნულების ობიექტის ხელში ჩაგდება და ბლოკირება. აგრეთვე, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების დატაცება.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა სონღულაშვილის გადაწყვეტილებით, ლევან მარტიაშვილი უპირობოდ გათავისუფლდა.

- მისი ძმა, დავით მარტიაშვილი სასამართლო დარბაზში დარჩა. რა განსხვავებაა მარტიაშვილებისადმი წაყენებულ ბრალდებებში?

- ლევანი ამ ნაწილში შემდეგ მივიდა. დანარჩენი გვარდიელები უკვე შესულები იყვნენ. ის ცდილობდა, დაერწმუნებინა ვეტერანები, რომ ამგვარი ფორმით პროტესტის გამოხატვა არ ღირდა და ამით ისინი ხელისუფლების ყურადღებას მაინც ვერ დაიმსახურებდნენ. ამასობაში, სამგორში მდებარე ნაწილს კომანდოს ბატალიონმა შემოარტყა ალყა და ისიც იქ დარჩა, ველარ გამოვიდა... შემდეგ ის მოსალაპარაკებლად მისული გია ყარყარაშვილის მანქანით გამოვიდა ტერიტორიიდან და სახლისკენ მიმავალ გზაზე დააკავეს. მიიყვანეს პოლიციაში. იქ ის ერთ ხანს მარტო იჯდა კაბინეტში, არსად გაქცევას არ აპირებდა. ის არ იყო დამნაშავე, მაგრამ პროკურატურამ ბრალდებების შეთითხვნა მაინც მოახერხა.

დათოს ანალოგიური ბრალდებები აქვს წარდგენილი. ოღონდ, პროკურატურა ვარაუდობს, რომ რამდენიმე პირთან ერთად ის ამ აქციის ორგანიზატორია. ორივე ძმისა და დანარჩენი ბრალდებულების წინააღმდეგ, აბსოლუტურად ერთნაირი მტკიცებულებებია წარდგენილი. ბრალდების მხრიდან ბრალის ინდივიდუალიზაცია არ მომხდარა. არ არის კონკრეტული მტკიცებულებები. ნაწილიდან იარაღი ყარყარაშვილის მანქანით გამოიტანეს და პოლიციაში მიიტანეს. მაგრამ არ არის დადგენილი, ამ ხალხს ეჭირა ეს იარაღი თუ არა, ან კონკრეტულად ვისგან ამოიღეს.

ამ აქციას მხოლოდ და მხოლოდ სოციალური ფონი ჰქონდა. ვეტერანი გვარდიელები კასპის ბატალიონის მეთაურის გასვენებიდან მოდიოდნენ და დათრგუნულებმა იმით, რომ მეგობარი გაჭირვების გამო გარდაეცვალათ, გადაწყვიტეს პროტესტი ამ ფორმით გამოეხატათ. არ იყო საუბარი ამბოხებაზე, არც იარაღი აუღიათ ხელში და არც ტანკები აუმუშავებიათ.

- მაგრამ, საუბარია იმაზე, რომ ისინი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტზე შევიდნენ...

- ეს ნაწილი ოფიციალურად კოდაშია გადატანილი. უფრო სწორად, გადატანის პროცესშია ტერიტორიაზე რამდენიმე ჯარისკაცი და გაუმართავი ტექნიკა არის დარჩენილი. ამ სამხედრო ნაწილის ტერიტორია, ნაწილობრივ, დროებით სარგებლობაში საქმიანობისთვის გადაეცა ვეტერანთა კავშირს. ეს პირები ტერიტორიაზე, როცა უნდოდათ მაშინ შედიოდნენ და გადიოდნენ. ამ ჯერზეც ჩვეულებრივად შევიდნენ, დასხდნენ შტაბში და თქვეს, მოდით, ხელისუფლების მიმართ ჩვენი დამოკიდებულება დავაფიქსიროთ - ამ საზოგადოების წევრები ვართ და ყურადღება მოგვაქციონო. იარაღი არც ჰქონდათ და მის გამოყენებას არც აპირებდნენ. ტანკები კი ვიღაც ორმა კაცმა აამუშავა და არავინ იცის, ისინი ვინ იყვნენ.

- თავდაცვის მინისტრმა ტანკების შესახებ საჯაროდ, ღია ეთერში თქვა, რომ ტექნიკა უვარგისია და საბრძოლოდ არ გამოიყენება.

- ერთ-ერთი ბრალდებული ამბობს კიდეც, რომ ეზოში იდგა, როცა ტანკები აამუშავეს. ეგონა, ეს ადამიანები მათთან ერთად იყვნენ. თუმცა, შტაბში ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. არ არის გამორიცხული, რომ ეს ტანკები ვიღაცამ პროვოკაციის მიზნით აამუშავა.

- ვინ იყო ის, ვინც ყველაფერი გაითვალა. იცოდა, რომ საპროტესტოდ სხდებოდნენ ნაწილში, ოპერატიულად გააგზავნა ორი ადამიანი ტანკების ასამუშავებლად და ბუნტის იმიტაცია შექმნა... ასე სწრაფად ვინ მოიფიქრა, რომ ეს მოვლენა პროვოკაციისთვის გამოეყენებინა?

- ლოგიკურად ვიფიქროთ - თავდაცვის მინისტრიცა და შსს მინისტრიც აცხადებენ, რომ მათ იცოდნენ, რა მზადდებოდა, იცოდნენ კონკრეტული დღე - რატომ არ აღკვეთეს?! ეს კითხვა ხომ ლოგიკური იქნება? ამიტომაც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროვოცირებას ადგილი ჰქონდა.

- თავიდან გვარდიელები აცხადებდნენ, რომ მხოლოდ სოციალური პროტესტის მიზნით შევიდნენ ნაწილში და მოთხოვნებიც ამ ხასიათისა ჰქონდათ. რამდენიმე დღის შემდეგ ისინი პირდაპირ ადანაშაულებენ სახელმწიფო, თავდაცვის და შსს მინისტრებს იმაში, რომ ეს პროვოკაცია მათი მოწყობილია...

დავით ხაჭალია

რა მოხდა, სოციალური მოთხოვნა პოლიტიკურად რატომ გადაიქცა?

- მათ თავადაც გააანალიზეს ვითარება და ამ პირთა განცხადებები.

- რისთვის სჭირდებოდა ხელისუფლებას ამ ჯარისკაცების გამოყენება?

- სულ თავიდანვე, ხელისუფლებამ ამ ქმედებას პოლიტიკური სარჩული დაუდო. ორშაბათის ბრიფინგზე პრეზიდენტი მათ კრიმინალებს უწოდებს. ამით მოვლენას პოლიტიკური სარჩული მოსცილდა. მხოლოდ ერთი რამის გამო - პოლიტიკურად მონათვლის შემთხვევაში, საერთაშორისო იორგანიზაციები ყურადღებას მიაქცევდნენ და ხმაურს ატეხდნენ. კრიმინალური სარჩულის დადებისას საერთაშორისო ორგანიზაციები მათ პოლიტიკურ პატიმრებს ვეღარ უწოდებდნენ.

- ხელისუფლებას გამოუვიდა თუ ჩაეშალა გათვლილი გეგმები?

- როგორც ჩანს, ამ ეტაპზე გამოუვიდა... გვარდიელები თავის პოზიციას დააფიქსირებდნენ და ამით ინციდენტი ამოიწურებოდა. ვეტერანებმა, შეიძლება, იფიქრეს, რომ ამას ხელისუფლების მხრიდან რეაგირება მოჰყვებოდა, მაგრამ ის ვერ გათვალეს, რომ რეაგირება ამ რაკურსით მოხდებოდა და ხელისუფლება მათ ციხეში გაუშვებდა... ეგონათ, მათთან მივიდოდნენ, დაელაპარაკებოდნენ და გაუგებდნენ.

- პოლიტიკური განცხადებები, შეიძლება, მათსავე საზიანოდ შემოტრიალდეს. არც ამას უშვებდნენ გვარდიელები?

- როგორ?! ხელისუფლებას დასჯის სხვა რომელიმე ფორმის გამოყენების უფლება არ გააჩნია. ამ ეტაპზე, ამაზე მეტად ვერ დასჯიან... ხელისუფლება კი არ უნდა გაბრაზდეს, უნდა დაფიქრდეს და შექმნილი სიტუაციიდან ოპტიმალური გამოსავალი იპოვოს.

- ბრალმდებელი პროკურატურაა, სახელმწიფო - სუბიექტი, ვისაც ბრალდებულები დახმარებას სთხოვდნენ. იურისპრუდენციის ისტორიამ თუ იცის ისეთი შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო სოციალურად გაჭირვებული და დაუცველი საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ გამოდის პროცესზე?

- არა მგონია, ასეთი რამ სხვა ქვეყნების პრაქტიკაშიც იყოს. აშშ-ში ვიეტნამის ომის ვეტერანებს ომობანას თამაშს უწყობენ, სპეციალური საომარი მოქმედებების იმიტაციას უკეთებენ, რომ ეს ადამიანები პიროვნებებად დარჩნენ. გარდა ამისა, მათ უზარმაზარი სოციალური დაცვის ფონდიც გააჩნიათ... სახელმწიფო ყოველთვის ზრუნავს ომის ვეტერანებზე იმის მიუხედავად, წააგეს თუ მოიგეს მათ ბრძოლა სამშობლოსთვის. ჩვენი ვეტერანების ბედი სახელმწიფოს პოზიციაზე, მათდამი მიდგომაზეც არის დამოკიდებული.

- ეს ადამიანები ამ სახელმწიფოში არსებული სისტემის მსხვერპლნი არიან. ბევრი ნაომარი ადამიანი მოხვდა ციხეში. რისი იმედი გაქვთ? გჯერათ, რომ სახელმწიფო მოინდომებს მათი უდანაშაულობის დანახვას?

- უნდა დაიჯეროს და დაინახოს. სიმართლე გითხრათ, ნაკლებად მჯერა, მაგრამ იმედი მაინც არის.

ბრალდების მხარე ვალდებულია არა ზოგადი, არამედ კონკრეტული ბრალი წაუყენოს თითოეულ ბრალდებულს. ეს არ გაკეთდა. ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ კუთვნილ 48 საათში მეტი მტკიცებულებების მოპოვება ვერ მოასწრო. ისინი შემდეგ ეტაპზე შეეცდებიან ამ მტკიცებულებების მოპოვებას. ბრალდებულთა დაკითხვებითა და დაპირისპირებებით რასაც მოიპოვებენ, ამთავითვე ნათელია. შეიძლება გაყალბებით, ცრუ მოწმეებით რაიმე მტკიცებულებები წარმოადგინონ. სამწუხაროდ, ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში ეს ხშირად ხდება და გასაკვირი არ იქნება. ჩვენ სწორედ ამას ვემსახურებით, რომ ეს არ მოხდეს.

- მაგრამ, თუკი 48 საათი არ ეყო, ალბათ, სხვა, ალტერნატიული ვარიანტიც ექნებოდა ბრალდებას, უფრო საფუძვლიანად რომ ჩაეტარებინა მუშაობა და მწირი მტკიცებულებებით არ გაესტუმრებინა ვეტერანები სასჯელაღსრულების ადგილებში...

- რა თქმა უნდა, ასეთი ვარიანტი არის და სასამართლოზე განვუცხადე კიდეც პროკურატურას, რომ შეეძლოთ ეცნოთ პიროვნება ეჭვმიტანილად, დაეკითხათ, მოეპოვებინათ მტკიცებულებები. შემდეგ, 30 დღის განმავლობაში წარედგინათ ბრალი და შეეფარდებინათ აღმკვეთი ღონისძიება. მათ კოდექსის ამ ნორმის გამოყენებაზე უარი თქვეს.

ეს პიროვნებები არ დაემალებოდნენ გამოძიებას. მათ თავად მოინდომეს, სახელმწიფოსთვის დაენახვებინათ, რომ ისინიც არსებობდნენ ამ ქვეყანაზე. დამალვის შემთხვევაში, საზოგადოების თვალში აუცილებლად დამნაშავეებად დარჩებოდნენ და ამას ბრალდების მხარე და ხელისუფლებაც კარგად გამოიყენებდა. ეს კი ვეტერანების ინტერესებში ნამდვილად არ შედის. ისინი კრიმინალები არ არიან.

- თავად როგორ არიან განწყობილნი?

- უკიდურესად ცუდად. მათ აქამდე კიდევ სჯეროდათ, რომ ხელისუფლება მცირე ყურადღებას მაინც მიაქცევდა. ახლა ეს იმედი გადაეწურათ. გუშინ პროცესზე გაჩნდა რეალური საფუძველი იმისა, რომ ხუთი კაცი მაინც გათავისუფლებულიყო. არც ეს მოხდა.

- ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი ხართ, ორგანიზაციისა, რომელიც აქტიურად მუშაობს ადამიანის უფლებების დაცვასა და სასამართლო რეფორმაზე. რეფორმის სიკეთე, პრაქტიკულად, იგრძნობა?

- სასამართლოში რეფორმა, გარკვეულწილად არის. არსებობენ მოსამართლეები, ვინც ობიექტურ და არა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს. მაგალითად შემიძლია მოვიყვანო ლევან მარტიაშვილის გათავისუფლების გადაწყვეტილება. თუმცა, ამას მოსამართლეთა დიდ ნაწილზე ვერ ვიტყვით. ისინი ზემდგომი ორგანოების მარწუხებში არიან მოქცეულნი.

- საქართველოს კანონმდებლობას თუ გადავხედავთ, რეფორმირებულ კანონებში რამდენად აისახება ქართველი ერის ზნეობა და წესჩვეულებები?

- დემოკრატიულ სამართალწარმოებაში ყოველი ცვლილება დროის მოთხოვნაა. კანონი რომელიმე კონკრეტული პიროვნების იდეებს კი არა - საზოგადოებაზე უნდა იყოს მორგებული. ახალი კანონმდებლობა უცბად არ უნდა შედიოდეს ძალაში. ის გარკვეული წლების განმავლობაში პრობაციას უნდა გადიოდეს. ევროპის ქვეყნებში ასეთი პრაქტიკა იყო - ახალი კანონმდებლობა 2-5 წლის განმავლობაში არ შედიოდა ძალაში, მაგრამ ურიგდებოდათ სამართალწარმოების ორგანოებს და ცალკე ნორმატიული აქტი ავალებდათ მათ გადაწყვეტილებების ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანას. ამ წლების განმავლობაში ყველა ნიუანსი იხვეწებოდა. ყველაფერი გათვალისწინებული იყო და კანონი, პრაქტიკულად, მუშაობდა. ჩვენი კანონები არ არის ცუდი, მაგრამ დახვეწა ესაჭიროება.

კანონში შეიძლება ზნეობრივი მომენტები არ იყოს გათვალისწინებული, მაგრამ სასამართლო პრაქტიკამ ეს უნდა დაამკვიდროს. მქონდა შემთხვევა, როდესაც პიროვნებამ გასვენებაზე შესანდობარი დალია და ბრალდებამ სიმთვრალის კატეგორიად გამოიყენა. სასამართლომ ეს არ მიიღო და მიუთითა, რომ ქართული ადათ-წესებით, მიცვალებულის შესანდობარის დალევა დასაშვებია და არ შეიძლება, ეს გარემოება ნასვამობად ჩავთვალოთ.

- ჩვენი ბრალდებულების შემთხვევაში როგორღა იყო?

- ვსვამ კითხვას - ვინ იცის, რომ ესენი მთვრალები იყვნენ? შეიძლება ნასვამები იყვნენ, მაგრამ, რა დოზით? ქართული ადათ-წესებით, მეგობრის გასვენებაზე ერთი-ორი ჭიქის დალევა დასაშვებია...

- საით მიჰყავს საქმე ბრალდებას?

- საბოლოო ბრალის წაყენებამდე, რომელიც ასე ჟღერს - სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტის ხელში ჩაგდება და იარაღის მიტაცება. თუმცა, რამდენად არის ეს ნახევრად დაცლილი ობიექტი სტრატეგიული - საკითხავია...

- ვის და რატომ უნდა უნდოდეს ამ ადამიანების ციხეში ჩასმა. რატომ არიან ეს ადამიანები იმდენად საშიშნი, რომ იზოლირებულნი იყვნენ?

- აბსოლუტურად არ არიან საშიშნი. ისინი აფიქსირებენ, რომ თითოეული ადამიანი, ვინც საქართველოში ცხოვრობს - მრწამსის, საქმიანობის მიუხედავად - ამ საზოგადოების ნაწილია და ხელისუფლების მხრიდან ყურადღება სჭირდება.

რაც შეეხება ინტერესებს. მეც მაინტერესებს - რატომ ეშინია ხელისუფლებას ამ ხალხის, თუ ხელისუფლება მართალია მათ წინაშე?! ამ კითხვაზე პასუხი მისაღებია.

- როგორ გგონიათ, ვეტერანი გვარდიელები კიდევ წავლენ საბრძოლველად, სამშობლოს თუ დასჭირდა?

- მათ პროცესზე ხმამაღლა თქვეს - ჩვენ ყოველთვის ვიდექით, ვდგავართ და დავდგებით კიდეც სამშობლოს გვერდით, როცა მას დასჭირდებაო.

ეს ხალხი არც კრიმინალები და არც პოლიტიკოსები არიან. ისინი სახელმწიფოსგან ელემენტარულ ყურადღებას ითხოვდნენ და სწორედ ეს სახელმწიფო გახდა მათი ბრალმდებელი.

ლარნახევარი თბილისში ვაგნერის ასაჟღერებლად

ვახტანგ მაჭავარიანისა და მისი ორკესტრის ახალი ინიციატივა რამდენიმე დღით გადავადდა. თბილისში და პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველად (როგორც ამას თავად ბ-ნ ვახტანგ მაჭავარიანი ამბობს), ვაგნერის „ტრისტანი და იზოლდა“ 6-ის ნაცვლად 13 ივნისს აჟღერდება. ასეთი მნიშვნელოვანი იდეის განსახორციელებლად სპონსორებთან ერთად, ორკესტრს საქართველოს მოსახლეობის იმედიც აქვს. დღეიდან საქართველოს ტელეკომის დახმარებით იმუშავებს ცხელი ხაზი საგანგებოდ განკუთვნილ ნომერზე (რომელიც ამ დღეებში დაზუსტდება), სადაც თითო შემომავალი ზარით (რომლის ღირებულებაც ლარნახევარია) თითოეული მოქალაქე სურვილისამებრ შეეწევა ორგანიზატორებს.

კონცერტის გადავადება უცხოელ შემსრულებელთა შორის ცვლილებებმა გამოიწვია. როგორც აქამდე იყო ცნობილი, ტრისტანის პარტია გიოსტა ვაინბერგს უნდა შეესრულებინა. ვიდრე თბილისში კონცერტის გამართვა-ჩაშლის საკითხი გადაწყდებოდა, ამასობაში მომღერალი თურმე სხვა შეთავაზებას დათანხმდა; კონცერტში ასევე ვერ მიიღებს მონაწილეობას დებორა პოდასკი. ასე რომ „ტრისტანი და იზოლდა“ განსხვავებული შემადგენლობით შესრულდება. ვახტანგ მაჭავარიანის თქმით, პარტიები უკვე დამტკიცებულია, საკონცერტოდ კი თბილისში ბრიტანელი, ამერიკელი და ავსტრიელი მუსიკოსები ჩამოვლენ. თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე იმღერებენ: დევიდ რენდალი (ტრისტანი), ბრიგიტ ვოლფატი (იზოლდა), ნატაშა პეტრინსკი და მონტე იაფე. ვახტანგ მაჭავარიანის თქმით, თბილისში ვაგნერის საუკეთესო შემსრულებლები შეიკრიბებიან.

„იმის მიუხედავად, რომ ამ კონცერტის ირგვლივ შექმნილი პრობლემების შესახებ საკმაოდ ბევრი ითქვა მას-მედიით, ქართველ ქველმოქმედებს ჯიბეზე ხელი ჯერ არ გაუკრავთ... მითუმეტეს, რომ საქმე უკეთესობისკენ მიდის“, - ამ შემთხვევაში ვახტანგ მაჭავარიანი იმ შეღავათებს გულისხმობს, რომელიც რამდენიმე ორგანიზაციისგან მიიღო კონცერტის საორგანიზაციო კომიტეტმა. გერმანიის საელჩომ ორკესტრს სამი თვის ვადით სანოტო მასალა უფასოდ გადასცა. მისივე თქმით, სხვა შემთხვევაში ეს ორკესტრს, დაახლოებით, ოთხი ათასი ევრო დაუჯდებოდა. გერმანიის საელჩომ საკუთარ თავზე აიღო ასევე გერმანიიდან ჩამოსასვლელი მუსიკოსების ჩამოყვანაც. TBC ბანკი კვლავაც სთავაზობს თავის მომსახურებას და აქვეყნებს ანგარიშის ნომერს: 35700732. ვახტანგ მაჭავარიანი არ აკონკრეტებს, მაგრამ ადასტურებს, რომ ერთ-ერთი სერიოზული უცხოური კომპანია საქართველოში, თანახმაა სოლიდური თანხა გაიღოს კონცერტის მხარდასაჭერად. "ასე რომ ჩვენ ნელ-ნელა ვუახლოვდებით მიზანს", - კმაყოფილია ცნობილი დირიჟორი, მხოლოდ დაგეგმილი კონცერტის გამო, რადგანაც ორკესტრი კვლავ გადაულახავი სიძნელეების წინაშეა და თუკი ასე გაგრძელდება, იგი ვერ მიაღწევს გაისამდე, როდესაც ორკესტრი რამდენიმე მნიშვნელოვან ღონისძიებაზეა მიწვეული საზღვარგარეთ.

ბერიკები და ბოშები სარდაფსაც შეესივნენ - აბა, რა?!

თამარ სუხიშვილი

მე დიდი სიამოვნებით ვუსმენ ხოლმე, როცა ანა ყვება თავისი დიდი ბებიის ამბავს, ან როცა მართალ და თან დაუჯერებელ ისტორიებს გვიამბობს; ყვება დაბალ ხმაზე, გულიანად, დიდი სითბოთი და იუმორით. მისი მონაყოლი ამბები მოთხრობებს გვანან. რა თქმა უნდა, ყველა კარგი მთხრობელი კარგი მწერალი ვერაა, მაგრამ ანა ისე ლაღად და თავისუფლად წერს, თითქოს გვერდით მჯდომს ესაუბრებაო, და მისი მოთხრობებიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

ზაალ სამადაშვილი და ანა კორძაია-სამადაშვილი

ანა კორძაია-სამადაშვილს სასაცილოდ არ ყოფნის, მწერალს რომ ეძახიან, თუ დაძახებაზეა საქმე, ჟურნალისტი დამიძახეთო.

გუშინწინ ანა კლუბ "სარდაფში", ჟურნალისტების ენაზე რომ ვთქვათ, მასალაზე მივიდა. გუშინ კი როლები შეიცვალა. ანა თავად აღმოჩნდა მიკროფონთან, "სარდაფის" სტუმრებს შორის მისი რესპონდენტებიც ერივნენ. მწერალმა ზაალ სამადაშვილმა ანა კორძაია-სამადაშვილის მოთხრობების კრებული "ბერიკაობა" წარუდგინა მკითხველს.

წიგნში 13 პატარა მოთხრობაა შესული: "ჩემი მეგობარი მარიშა", "ბერიკაობა", "ბარბაროსთა მოლოდინში" და სხვები. ზოგიერთ მათგანს უკვე იცნობს ქართველი მკითხველი. ეს მოთხრობები "24 საათის" ლიტერატურულ დამატებაშიც იბეჭდებოდა, ჟურნალ "არილში" და "XX საუკუნეშიც" გამოქვეყნდა, ოღონდ, სოფო კირვალიძის ფსევდონიმით.

"საქმე საქმეზე რომ მიდგება, ძალიან ძნელია ფსევდონიმის მოძებნა, - მეუბნება ანა, - სახელი და გვარი სრულიად შემთხვევით ავირჩიე, ერთ ძველ ფოტოს გადავაწყდი, კაფე "აპოლოში" ვარ გადაღებული ძველ ნაცნობებთან ერთად. ერთს სოფო ჰქვია, მეორე კირვალიძეა გვარად (იმ სურათის გადაღების მერე არც ერთი არ მინახავს, ერთი ალთას წავიდა, მეორე – ბალთას). და უცებ გამიელვა, ფსევდონიმად სოფო კირვალიძე ხომ არ ავიღო-მეთქი."

ფსევდონიმის არჩევა ახირება სულაც არ ყოფილა. როცა შენი სახელითა და გვარით წერ, ნაცნობები აუცილებლად გეტყვიან შეხვედრისას, რა შესანიშნავი რამე დაგიწერიაო. როცა ფსევდონიმი გაქვს (თანაც გაუხმაურებელი ფსევდონიმი), მეტ სიმართლეს გაიგებ. მარტივი ლოგიკაა... ვინმე სოფო კირვალიძეზე საუბარს პირველად სარდაფში შევესწარი, პოეტი ბესიკ ხარანაული ახალგაზრდა მწერლებზე საუბრობდა და მაშინ ახსენა, სოფო კირვალიძის ნაწერები ძალიან მომწონსო. მერე ბაკურ სულაკაური ეძებდა თურმე ვინმე სოფოს, მისი მოთხრობების წიგნად გამოცემა რომ შეეთავაზებინა. ბოლოს და ბოლოს ყველამ გაიგო სოფოს ნამდვილი ვინაობა, მაგრამ როცა წიგნის გამოცემა გადაწყდა, ანამ სოფოს აღარ აწყენინა, გულწრფელად თქვა – შემეცოდა სოფოო, და სოფიო კირვალიძის დებიუტიც შედგა.

ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დებიუტი – ასე შეაფასა ზაალ სამადაშვილმა "ბერიკაობა", - თუმცა იქვე დასძინა, - ავტორს დებიუტანტს ნამდვილად ვერ დავარქმევო. წერით ანა დიდი ხანია წერს, უბრალოდ, ბოლო დრომდე არაფერი გამოუქვეყნებია, ხშირად კომპიუტერის იმ ღილაკს აჭერდა ხელს – Delete რომ აწერია, და ნაგვის ყუთში გადაუძახებდა ხოლმე. ერთხელაც სრულიად შემთხვევით მისი მოთხრობა მალხაზ ხარბედიამ წაიკითხა და მაშინვე თავის ლიტერატურულ დამატებაში გააქანა...

კლუბ "სარდაფში" "ბერიკაობასთან" ერთად ლიტერატურული ხუთშაბათობების მასპინძლის, ზაალ სამადაშვილის ახალი კრებულის - "ბოშების" პრეზენტაციაც მოეწყო. თუმცა, წინასწარვე სთხოვა აუდიტორიას, მოდით, დღეს ჩემს წიგნზე ნუ ვილაპარაკებთო: "მე მოგიყვებით, როგორ აღმოვაჩინე ანა, ჩვენ ერთად ვმუშაობთ გაზეთ "24 საათში", ზაფხულში ანას წერილი წავიკითხე ჯიპებით მოგზაურობის შესახებ, და მინდა გითხრათ, რომ წერილით მოვიხიბლე - მშვენიერი აღწერა, ზუსტი აქცენტები. ცოტა ხანში სოფო კირვალიძის მოთხრობებსაც გავეცანი. ამ მოთხრობებმა ცოტა არ იყოს გამაღიზიანა კიდეც. მაინც ძველმოდური კაცი ვარ. მაგრამ იმას, რასაც ხედვა და ოსტატობა ჰქვია, რასაც ჰქვია კარგი თხრობა, ნაკლს ვერ მოუძებნი. მხოლოდ მოგვიანებით გავიგე, რომ თურმე ანა და სოფო ერთი და იგივე ავტორია..."

გუშინდელ პრეზენტაციას მარტო იმას თუ დავუწუნებთ, რომ ამინდმა არ გაამართლა, სხვა ყველაფერი კარგად იყო. და ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ყველაფერი კარგად იქნება. აბა, რა?!"

P. S. დღეს ზაალ სამადაშვილსა და ანა კორძაია-სამადაშვილს წიგნის მაღაზია "პარნასში" შეხვდებით (4-დან 7 საათამდე).

ფოთი ფესტივალის სამზადისში

25-28 აგვისტოს ფოთში სამი ზღვის (შავი, ბალტიისა და ხმელთაშუა) ოცამდე ქვეყნის მეგობრობის ფესტივალი-ბაზრობა "კეთილი დელფინი" დაიგეგმა. ახალი იდეის შესახებ გუშინ კულტურის სამინისტროს ტრადიციულ ბრიფინგზე ღონისძიების ორგანიზატორებმა ისაუბრეს. როგორც იდეის ერთ-ერთმა ავტორმა, რეჟისორმა დავით ქულიძემ გვითხრა, ფესტივალის პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც კულტურული ღონისძიებები, ასევე სამეწარმეო ექსპოზიციები, სადაც წარმოდგენილი იქნება საყოფაცხოვრებო და კვების პროდუქტები. ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს ქართულ და ცნობილ უცხოურ კომპანიებთან. თუმცა, მონაწილეობის სურვილი უკვე რამდენიმე მათგანმა გამოთქვა. ექსპოზიცია ფოთში 23-დან 30 აგვისტომდე გაიმართება, საამისოდ ქალაქის ცენტრში შენდება ექსპო-ცენტრი. ორგანიზატორები ფოთში 800-მდე სტუმრის მიწვევას ვარაუდობენ.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა გუშინ კინოს სახლში პირველი საინფორმაციო სარეკლამო რგოლის პრეზენტაცია გამართა. კლიპის რეჟისორი თავად ერთ-ერთი ორგანიზატორი დავით ქულიძეა, ფესტივალის ჰიმნი (რომლის ნაწყვეტიც სარეკლამო რგოლშია გამოყენებული) კი კომპოზიტორი ზურაბ ჩინჩალაძეა, რომელიც პარალელურად ფესტივალის მუსიკალური პროდუსერი და რედაქტორია. ზურაბ ჩინჩალაძე კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილთან (ჟიურის ხელმძღვანელი), მერაბ დონაძესთან (დიდი საკონცერტო დარბაზის დირექტორი) და დანარჩენ ორგანიზატორებთან ერთად შეარჩევს ფესტივალში მონაწილე შემსრულებლებსა და ჯგუფებს. ფესტივალის მუსიკალური ნაწილი სამნაწილიანი იქნება: გახსნა, კონკურსი და დახურვა. ამ ეტაპზე ორგანიზატორები არ აკონკრეტებენ ჟიურის შემადგენლობას და, როგორც ამბობენ, ამ თემას ისინი სიურპრიზად ინახავენ. რაც შეეხება კონკურსანტებს, თითო ქვეყნიდან წარმოდგენილი უნდა იყოს სამი შემსრულებელი და ერთი ჯგუფი. კონკურსანტების გარდა, ნავარაუდევია სტუმრის სტატუსით სხვადასხვა მუსიკოსების მოწვევა. "საქმე გვაქვს ძალიან სერიოზულ ხალხთან, რომლებიც 500 ათასიდან 800 ათას დოლარამდე იღებენ ჰონორარებს; ისინი ჩვენს გამო ოთხ დღეს დაკარგავენ. ერთ-ერთი მათგანია პარიზელი ქალბატონი, რომელიც საქართველოს ძალიან კარგად იცნობს. მოლაპარაკებები გვაქვს რაიმონდ პაულსთან", - დავით ქულიძე ჯერჯერობით ძვირადღირებული ვარსკვლავების ვინაობას არ გვიმხელს.

ეს იქნება ფესტივალი-ბაზრობა, სადაც მოწვეულები იქნებიან მეწარმეები, შოუ-ბიზნესის საქმოსნები. ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ ქართველი მუსიკოსებისთვის, შესაძლოა, სარფიანი გარიგებებიც სწორედ ფოთში დაიბადოს..

ოპერის დასი თბილისში დარუნდა

ორი დღის წინათ ისრაელიდან თბილისში დაბრუნდა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასი. დასთან ერთად ქალაქ რიშონ ლეციონში გამართულ მეოთხე საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში საქართველოდან ბათუმის თითების თეატრის მსახიობებიც მონაწილეობდნენ. ოპერის დასმა 29 მარტს ფესტივალი ვიქტორ დოლიძის "ქეთო და კოტეთი" გახსნა და სპექტაკლი მეორე დღესაც გაიმეორა. მესამე დღეს კი თბილისის საოპერო თეატრის სოლისტების, ორკესტრისა და საბალეტო დასის მონაწილეობით გალა-კონცერტი გაიმართა. გასტროლებში საქართველოდან სულ 150 კაცი მონაწილეობდა. დელეგაცია თბილისში კმაყოფილი დაბრუნდა, ხოლო თეატრის დირექტორის, ზურაბ ლომიძის თქმით, ეს მათთვის ძალიან წარმატებული გასტროლები იყო.

24 საათი

მუსიკალური შეხვედრები კლარნეტის სოლოთი

ფრანსუა ლელოს სახელობის კონკურსი დიდებულ კონცერტს გვპირდება

მადი სერებრიაკოვა

ფრანსუა ლელოს სახელობის ჩასაბერ საკრავთა კონკურსი თბილისში უკვე ტრადიციული გახდა. წელს იგი მესამედ, ამჟამად კლარნეტის სპეციალობით, გაიმართა (მანამდე ჩატარდა კონკურსები საყვირისა და ჰობოის სპეციალობით). კონკურსი თბილისის კონსერვატორიის, საფრანგეთის და გერმანიის საელჩოების, გოეთეს ინსტიტუტისა და დიუმას ცენტრის მიერ ერთობლივად ორგანიზებული "მუსიკალური შეხვედრების" ღონისძიებათა ფარგლებში ტარდებოდა და გუშინ დასრულდა; თავად ლელო და მის მიერ მოწვეული მუსიკოსები დღეს კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტს გამართავენ.

ფრანსუა ლელო

ფრანსუა ლელო ევროპაში ერთ-ერთი გამოჩენილი ჰობოისტია; მიუნჰენის რადიოს სიმფონიური ორკესტრის, "მულოვა-ანსამბლისა" და "პარიზი-ბასტილიის ანსამბლის" სოლისტი რამოდენიმე ალბომის ავტორია. მისი საკონცერტო გამოცდილება სპივაკოვის, ცუკერმანის, ოისტრახის, ჩანგის, ფედოსეევის, ზავალიშისა და სხვა დიდი მუსიკოსების სახელებს უკავშირდება. მიუნჰენის, ტულონის, პრაღის კონკურსების უმაღლესი ჯილდოების მფლობელმა შემოქმედმა თბილისში მისი სახელობის კონკურსი რამოდენიმე წლის წინ დააარსა. საქართველოში იგი პირველად გერმანიაში მოღვაწე ქართველი მუსიკოსის, გიორგი ქობულაშვილის წყალობით მოხვდა. ეს უკანასკნელი ამჟამად ქალაქ ინგოლშტატში მოღვაწე საქართველოს დამსახურებული კამერული ორკესტრის სოლისტია. ამ ორკესტრთან ლელოს შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებდა. გიორგი ქობულაშვილთან ერთად იგი საქაველმოქმედო კონცერტებს მართავდა ობოლ ბავშვთა დასახმარებლად. ლელოს ჩვენ ქვეყანაში კონკურსის დაფუძნება იმიტომ განუზრახავს, რომ, მისი აზრით, სასულე საკრავების სკოლა ჩვენში ერთგვარ კრიზისს განიცდის: **"აქ ძალიან ჩაკეტილი სკოლაა,** - აღნიშნა ლელომ ჩვენთან საუბარში, - **არსებობს რაღაც ნაპრალი, კლასიკური რეპერტუარის შემდეგ, თითქმის, აღარაფერი ისწავლება."** ახალი ტექნიკისა და რეპერტუარის დასანერგად, ლელუსა და გიორგი ქობულაშვილის ინიციატივით, უკვე არაერთი აქცია მოეწყო. ჩვენს მუსიკოსებს ისინი ძვირადღირებული ინსტრუმენტებითაც ხშირად ამარაგებენ. წელსაც, კონკურსის გარდა, ლელო და მის მიერ მოწვეული ჟიურის წევრები კონცერტსა და მასტერ-კლასებსაც ჩაატარებენ.

"მუსიკალურ შეხვედრებად" წოდებული აქციის გუშინდელმა დღემ ფრანსუა ლელოს სახელობის მესამე კონკურსის გამარჯვებულები უკვე გამოავლინა - 14 წლის ირაკლი ჯიბუხაიასა და კონსერვატორიის სტუდენტ ლევან ცხადაძეს მთავარი პრიზები, MARIGAUX, BUFFET Crampton-ის ფირმის ინსტრუმენტები, გადაეცათ. დანარჩენი მონაწილენი კი სამახსოვრო პრიზებით დაჯილდოვდნენ. მოსმენაზე კონკურსგარეშე მონაწილეებიც გამოვიდნენ.

მუსიკალური შეხვედრების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად, ალბათ, მაინც დღევანდელი კონცერტი ითვლება. თავად ლელო ჰუმელის კონცერტს შეასრულებს. ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს უდირიჟორებს კონკურსის ჟიურის წევრი, ავსტრიელი კორნელია ფონ კერსენბროკი. კერსენბროკიც პირველად არ არის საქართველოში. იგი უკვე მეორე თბილისური კონკურსის ჟიურის წევრია. ევროპაში იგი ბადენ-ბადენის ფილარმონიის, ფრაიბურგის უმაღლესი მუსიკალური სკოლის, ჰალეს აკადემიურ, სოფიის საფესტივალო ორკესტრებს დირიჟორობს. კერსენბროკი საქართველოს კამერულ ორკესტრს გერმანიაშიც დირიჟორობდა. დღეს იგი დვორჟაკის მე-7 სიმფონიას უხელმძღვანელებს.

კონცერტის ღირსშესანიშნავი სტუმარია, ასევე, ჟიურის წევრად ჩამოსული პოლ მეიერი, რომელიც დღეს ევროპის ერთ-ერთ წამყვან კლარნეტისტად ითვლება. ნიუ-იორკის ორკესტრის სოლისტობის დროს იგი ლეგენდარულ კლარნეტისტს, ბენი გუდმენს შეხვდა. ამ უკანასკნელმა დიდი როლი ითამაშა მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. დღეს იგი ევროპის, ამერიკის, ავსტრალიის წამყვან ორკესტრებთან და გამოჩენილ დირიჟორებთან (კენტ ნაგანო, ულფ შირმერი, ესა-პეკა სალონენი, ჰენრიკ შიფი და დავიდ ცინმანი) მუშაობს. მისი რეპერტუარი 100-მდე კონცერტს მოიცავს, მათ შორის ზოგიერთი თანამედროვე კომპოზიტორის მიერ სპეციალურად მისთვის დაწერილ ნაწარმოებებს (პენდერეცკის და ბერიოს კონცერტები). მისი პარტნიორები იყვნენ, ასევე, პამელა ფრანკი, იო-იო მა, ბარბარა ჰენდრიქსი, მსტისლავ როსტროპოვიჩი, გორდონ კრემერი, ისააკ შტერნი და სხვები.

მეიერი თბილისში მოცარტის კონცერტს შეასრულებს და დირიჟორის ამპლუაშიც წარდგება - "ობერონის" უვერტიურასა და ჰუმელის კონცერტს ჰობოისა და ორკესტრისათვის (სოლო პარტიას ლელუ ასრულებს) უდირიჟორებს.

ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრის წევრები ჩვენთან საუბრისას მეიერის ფენომენურ შესრულებას ერთხმად აღიარებდნენ: **"ჩვენ თუ ავყევით, ბრწყინვალე იქნება,"** – აღნიშნა ჩვენი ორკესტრის კლარნეტისტმა.

დღეს, მართლაც, საინტერესო კონცერტი გველოდება. ქართველი ჩასაბერ საკრავთა შემსრულებლები კი ფრანსუა ლელოსგან კიდევ ერთ საჩუქარს მიიღებენ - ხვალ და ზეგ კონსერვატორიაში მათთვის მასტერკლასებს ჩაატარებენ ლელო და მისი სტუმრები.

კალენდარი

4 აპრილი



ყველანი მის წიგნებზე გავიზარდეთ, სათავგადასავლო რომანებზე "თეთრი ბელადი", "უთავო მხედარი", "ოცეოლა, სემინოლების ბელადი". მათი ავტორი, თომას მაინ რიდი ამ დღეს, 1818 წელს დაიბადა.

ღარიბი ირლანდიელების ოჯახიდან გამოსული ახალგაზრდა 1840 წელს ამერიკაში გაემგზავრა. თავგადასავლების მაძიებელმა დასავლეთის აუთვისებელი მიწებიკენ აიღო გეზი, ნადირობდა, ინდიელებთან ვაჭრობდა. ერთი ხანი მასწავლებლად და რეპორტიორადაც იმუშავა – "სპირიტ ოფ თაიმის" კორესპონდენტის როლში 1846-1848 წლების მექსიკის ომში მიიღო მონაწილეობა, თუმცა იმხანად ამ ომის დამპყრობლური ხასიათზე არ დაფიქრებულა. სწორედ ამ ომში დაიჭრა, და ეს ჭრილობა შემდგომ მთელი ცხოვრების განმავლობაში აწუხებდა.

კაპიტანი მაინ რიდი ევროპაში დაბრუნდა - ჯერ ბავარიაში, შემდგომ კი უნგრეთში რევოლუციურ მოძრაობაში უნდოდა ჩაბმა, მაგრამ დაიგვიანა, რევოლუციას ველარ მიუსწრო. ის ლონდონში დასახლდა და მწერლობა დაიწყო.

მაინ რიდი მკითხველმა აღტაცებით მიიღო: "კვარტერონი ქალი", "ოცეოლა" და სხვები უმალვე შეიყვარეს. ამ "კარგ ტალღაზე" 33 წლის კაპიტანმა ქორწინებაც გადაწყვიტა, რომელიც მის რომანებზე არანაკლებ რომანტიული იყო – ინგლისელი არისტოკრატების 15 წლის ასული ითხოვა.

მაგრამ მწერლის არაპრაქტიკულობამ, ექსტრავაგანტულობამ და ეგზოტიკისადმი ლტოლვამ ის სულ მალე გაკოტრების პირას მიიყვანა, და 49 წლის ასაკში მაინ რიდი ხელმეორედ გაემგზავრა თავის ახალგაზრდობის მხარეში, ამერიკაში – ბედის და ახალი თავგადასავლების საძიებლად.

აქაც არ გაუმართლა; სამი წლის შემდეგ რიდების ოჯახი, ძლივს შეგროვებული ფულით, სამუდამოდ დაბრუნდა ინგლისში.

მაინ რიდი, რომელიც ოდესღაც აღიარებული მწერალი იყო, ცხოვრების ბოლო წლებში მოზარდთათვის სამეცნიერო-პოპულარულ წიგნებს წერდა. ფიზიკურად მოტეხილი და სულიერად დაცემული, ის 1883 წელს გარდაიცვალა.

მისი წიგნები კი დარჩა. ჰუმანური, სამართლიანობის გამარჯვების იმედით გამსჭვალული, საინტერესო წიგნები, რომლებზეც არაერთი ქვეყნის არაერთმა თაობამ ისწავლა ბოროტისა და კეთილის გარჩევა.

მაინ რიდი დაიბადა 1818 წლის 4 აპრილს.

ჩავლილი XX საუკუნე მაინც ჩვენშია

თამარ სუხიშვილი

ეს არის წიგნი, რომელიც არაჩვეულებრივად ასახავს ეპოქის მაჯისცემას, - ასე დაახასიათა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა მიხეილ ბეჟანიშვილმა გურამ თევზაძის ახალი ნაშრომი – "XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია", რომლის პრეზენტაციაც გუშინ მწიგნობართა ასოციაციამ მოაწყო.

როცა მკითხველი ამ წიგნს აიღებს ხელში, ისეთივე ცდუნების წინაშე დადგება, როგორც ის გმირი, საგანძურით სავსე სკივრს რომ ახადა თავი და აღარ იცის, რას დაავლოს ხელი, - აღნიშნავს ფილოსოფოსი გერონტი შუშანაშვილი.

გურამ თევზაძე

გურამ თევზაძის თხზულებაში XX საუკუნის ფილოსოფიური აზროვნების ყველა მნიშვნელოვანი მიმართულებაა განხილული - 15 ფილოსოფიური მიმართულება და 32 ავტორის ნააზრევი (თანაც ეს ავტორები ერთი ნაშრომით კი არ არიან წარმოდგენილნი, არამედ მთელი შემოქმედებით). "ამ წიგნში უზარმაზარი შრომა და ენერგიაა ჩადებული, ჩვეულებრივ, ასეთ ნაშრომებზე ცალკეული სამეცნიერო კოლექტივები და მთელი ინსტიტუტებიც კი მუშაობენ," - ამბობს ფილოსოფოსი რეზო ბალანჩივაძე, და დასძენს: ეს არ არის წიგნი, რომელსაც წაიკითხავ და გვერდზე გადადებ, ამ ნაშრომს დროდადრო უნდა მიუბრუნდე ხოლმეო.

"XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია" მარტო პროფესიონალებისთვის არაა განკუთვნილი, ნებისმიერი მკითხველი ინტერესით გაეცნობა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სიცოცხლის ფილოსოფია, პოსტმოდერნიზმი, ცოდნისა და რწმენის მიმართება, ფილოსოფიური მიმართულებების ჩასახვის პროცესი, და იმ კითხვაზეც მიიღებს პასუხს - რისთვის არსებობს ფილოსოფია. ასე რომ, "XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია", ალბათ, ქართველი მკითხველის სამაგიდო წიგნებს შორის დაიმკვიდრებს ადგილს.

გამომსვლელებმა ბევრი ისაუბრეს წიგნის თავისებურებებზე, ნაშრომის მთლიანობაზე, ლოგიკურ და ღრმა ანალიზზე, ობიექტურობაზე...

ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა შოთა ნადირაშვილმა, ახალი წიგნის ღირსებებზე რომ საუბრობდა, იხუმრა: ერთხელ ვიღაცაზე მკითხეს, ეგ როგორი მკვლევარია, რას წერს, ამან ის თქვა, იმან ის თქვა, თუ თვითონაც რამეს ამბობსო... "XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია", როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო: ეს თხზულება ქართული კულტურის მოვლენაა, არა იმიტომ რომ ქართულ ენაზეა დაწერილი, არამედ იმიტომ რომ ყველა პრობლემასთან დაკავშირებით მოცემულია ქართველი ფილოსოფოსების პასუხები, ქართული ფილოსოფიური აზრი განხილულია, როგორც ევროპული ფილოსოფიის ერთ-ერთი შენაკადი. ეს არის ქართული კულტურის დიალოგი სხვა კულტურებთან.

დაბოლოს, მართალია, XX საუკუნე ჩავლილია, მაგრამ როგორც ქართველი ფილოსოფოსები ამბობენ, მსოფლმხედველობრივად XX საუკუნე მაინც ჩვენშია; "XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია" ამ თვალსაზრისითაც საყურადღებო იქნება ქართველი მკითხველისთვის.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

ეფენბერგი შარში გაეხვია

“დიდი ეფე”, “შესანიშნავი ეფე”, “ვეფხვი ეფე”. რა ეპითეტს აღარ ხმარობდნენ შტეფან ეფენბერგის დიდფეხბურთელობის აღსანიშნავად, მაგრამ, ამავე დროს, ის არასდროს ყოფილა “საყვარელი” და სხვებისთვის მისაბაძი. თავისი ხასიათის გამო გერმანელი ფეხბურთელი მუდამ საზოგადოების კრიტიკის ობიექტი იყო და დღესაც ასეთად რჩება.

მიუნხენის “ბაიერნიდან” წასვლის შემდეგ ეფენბერგი “ვოლფსბურგში” თამაშობდა. დიახ, თამაშობდა, რადგან მისი თითქმის ერთწლიანი რომანი ბუნდესლიგის კლუბთან გუშინ დასრულდა. ფეხბურთელი ძალიან სწრაფად დაშორდა “ვოლფსბურგს”. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ის გუნდის ახალი მწვრთნელის იურგენ რობერის მიმართ ქათინაურებს არ იშურებდა: “რობერმა ბევრს მიაღწია “ჰერტასთან” ერთად. დარწმუნებული ვარ, “ვოლფსბურგში” მისი მოსვლა კლუბს სასიკეთოდ წაადგება”. თავის მხრივ, რობერმაც აქო და ადიდა ეფენბერგი: “ეფენბერგის დონის ფეხბურთელი ბუნდესლიგაში არ მეგულება და ძალიან მიხარია, რომ მასთან მიწევს მუშაობა”. ასეთი ურთიერთობის შემდეგ მით უფრო გასაკვირი ხდება ფეხბურთელის გადაწყვეტილება, ცალმხრივად გაეწყვიტა კონტრაქტი კლუბთან, თუმცა, ეფე რისი ეფე იქნებოდა, მწვრთნელთან ურთიერთობა მომენტალურად არ გაეფუჭებინა. ჯერ იყო და, მწვრთნელის მოთხოვნა, ზედმეტი წონა დაეგდო, ყურად არ იღო, მშვენიერ ფორმაში ვარ და წონაში დაკლება არ მჭირდებაო. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ეფენბერგი სასტარტო შემადგენლობაში ხშირად აღარ ხვდებოდა. თითქოს ეს არ კმაროდაო და, არცთუ დიდი ხნის წინათ პოლიციასთან მოუვიდა უთანხმოება. სიჩქარის გადაჭარბების გამო დაჯარიმებულმა, ჯარიმის გადახდა იუარა. ეს არ იკმარა და, პოლიციის განყოფილებაში საქმის გასარჩევად მისულმა, პოლიციელებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. დიდი ფეხბურთელი კია, მაგრამ ასეთ რამეს არავის ვპატიობთო და პოლიციელებმაც ფეხბურთელს ერთი დღით საკანში უკრეს თავი, თანაც, საჯარიმო თანხა 340 ევროდან 5400-მდე გაუზარდეს.

საბოლოოდ ფეხბურთელმა ნერვები ვერ მოთოკა და სცადა, ყველაზე მარტივი საშუალებით, გაქცევით ეშველა თავისთვის. მაიამიში წასვლის წინ ფეხბურთელმა ბოდიში მოუხადა “ვოლფსბურგის” მენეჯერს, პეტერ პანდერს, რომელმაც, გაქცეულის თქმით, “ვოლფსბურგში დიდი პოტენციალის გუნდი შექმნა”. ამერიკაში ეფე გაემგზავრა თავის მეგობარ ფრაუ შტრუნცთან და მის სამ ქალიშვილთან ერთად. საინტერესოა, რომ გერმანული ფეხბურთის სკანდალური პერსონებისთვის ამერიკაში გაქცევა ტრადიციად იქცა. თავის დროზე ანალოგიური რამ ჩაიდინეს იურგენ კლინსმანმა და კრისტოფ დაუმმა.

ბექჰემი მადრიდში სკოლას ეძებს

მოკლედ, რა ხმები აღარ დადის “მანჩესტერ იუნაიტედის” ქერათმიანი “სპაის ბოის”, დევიდ ბექჰემის შესახებ. მას შემდეგ, რაც ინგლისის ნაკრების კაპიტანს “წითელი ეშმაკების” თავკაცმა, სერ ალექს ფერგიუსონმა, შოტლანდიური სიფიცხით თავში ბუცი უთავაზა, “ბექსის” გული აღარ უდგება თავის მშობლიურ კლუბში. ფეხბურთელის მეუღლე, ვიქტორია ადამსი უკვე დიდი ხანია ოცნებობს მილანში ან მადრიდში ცხოვრებაზე. ახალი სეზონიდან ექს-“სპაის გერლს”, ალბათ, აუხდება კიდეც ეს ოცნება.

ჯერ არავინ იცის, სად გააგრძელებს კარიერას დევიდ ბექჰემი. ეს, ალბათ, თავად ფეხბურთელმაც არ უწყის ზუსტად. ჟურნალისტებიც დაბნეულნი არიან და ერთმანეთის გამომრიცხავ ინფორმაციებს ავრცელებენ. ერთ დღეს წერენ, “ბექსი” მილანში სახლს ეძებს და “ინტერში” აპირებს გადასვლასო, მეორე დღეს კი “სპაის ბოის” მადრიდში უშვებენ – “რეალი” ფიგუს გაყიდვას და მის ნაცვლად ბექჰემის შეძენას აპირებსო, - გვიმტკიცებენ. მოკლედ, ვერაფერს გაიგებ...

ახლახან ესპანურმა გაზეთმა “მარკამ” გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბექჰემი თავისი უფროსი ვაჟიშვილისთვის სკოლას მადრიდში ეძებს. თუ ესპანელებს ვენდობით, “ბექსის” უკვე რამდენიმე სკოლა შემოუვლია ინგლისში, ესპანეთში თუ იტალიაში და ჯერაც ვერ უპოვია ისეთი სასწავლებელი, სადაც ისურვებდა პატარა ბრუკლინის მიბარებას. თუ ბრუკლინი მადრიდულ სკოლაში დაიწყებს სიარულს, მაშინ მისი ოჯახიც ესპანეთში დასახლდება და “ბექსი” “რეალში” ითამაშებს, ფიგუ კი, ალბათ, ან “მილანში” წავა, ან “ინტერში”, - ფიქრობენ ესპანელი ჟურნალისტები.

„შავი კონტინენტის“ საუკეთესო ფეხბურთელები

აფრიკის ფეხბურთის ფედერაციამ უკვე გამოავლინა წლის საუკეთესო ფეხბურთელები სხვადასხვა ნომინაციაში. შარშანდელის მსგავსად, ყველაზე ძლიერი ამ სეზონშიც სენეგალელი ელ ჰაჯი დიუფი აღმოჩნდა. დიუფმა და სენეგალის ნაკრებმა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, მართლაც, ფურორი მოახდინეს, როცა საფრანგეთის ნაკრებს მოუგეს და მეოთხედფინალამდე მიაღწიეს. ჩემპიონატის შემდეგ ელ ჰაჯი დიუფი საფრანგეთიდან ინგლისში გადავიდა. ამჟამად ის ჟერარ ულიეს “ლივერპულში” თამაშობს.

წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა ეგვიპტელი აჰმედ ჰოსანი, რომელსაც ევროპაში მიდუს სახელით იცნობენ. წლის მწვრთნელად დასახელდა ფრანგი ბრუნო მეტსიუ, რომელიც იაპონია-კორეაში სენეგალის ნაკრებს ხელმძღვანელობდა. წლის ნაკრებიც სენეგალის ეროვნული გუნდი გახდა. სენეგალელებმა გაიმარჯვეს კიდევ ერთ ნომინაციაში - წლის საუკეთესო მეკარის საპატიო წოდება ამ ქვეყნის ნაკრების გოლკიპერმა ტონი სილვამ დაიმსახურა. რა თქმა უნდა, წლის გოლიც სენეგალური იყო - პაპა ბუბა დიოპის მიერ საფრანგეთის ნაკრების კარის დალაშქვრა შარშან ლამის ჩემპიონატის მთავარ სენსაციად იქცა. სეზონის საუკეთესო აფრიკული კლუბი კი, თურმე, ეგვიპტური “ზამალეკი” ყოფილა.

ზიდანი „იუვეს“ გულშემატკივრობს

ტურინის “იუვენტუსიდან” მადრიდის “რეალში” გადასვლის შემდეგ ზინედინ ზიდანს, რა თქმა უნდა, ბევრი მომდურავი გაუჩნდა ტურინელ ტიფოზთა შორის. აბა, ვის ესიამოვნებოდა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის დაკარგვა? თუმცა, ბრაზილიელი რონალდოსგან განსხვავებით, ზიდანსა და “იუვეს” შორის მტრული ურთიერთობა არ ჩამოყალიბებულა. ფრანგი ფეხბურთელი ისევ “ბებერი სინიორას” ტიფოზად რჩება და ძალიან უნდა, “იუვემ” ამ სეზონშიც შეძლოს “სკუდეტოს” მოგება.

“კმაყოფილი დავრჩები, თუ ჩემს ყოფილ გუნდს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში შევხვდები. იმედია, ”იუვე” წლეულსაც მოიგებს “სკუდეტოს”. ტურინელებს ამის დიდი შანსი აქვთ, თუმცა, სერია A-ში პროგნოზების გაკეთება ყოველთვის ძნელია. სიურპრიზებისგან არასოდეს ხარ დაზღვეული. მე და ვიერი ერთ გუნდში? არა მგონია, ეს რეალური იყოს. ის ახალგაზრდაა, მე კი უკვე დავბერდი და მალე კარიერასაც დავამთავრებ”, - ამბობს “ბებერი ზიზუ”.

ხმები დადის, თითქოს ზიდანს სურს, კარიერის ბოლო წლები მარსელის “ოლიმპიკში” გაატაროს. ეს ხომ ის გუნდია, რომელსაც პატარა “ზიზუ” ბავშვობიდან გულშემატკივრობდა და მამასთან ერთად აქტიურად დადიოდა “ველოდრომის” სტადიონზე თავისი კერპების თამაშის სანახავად.

მოლდოვანს „ნანტი“ აღარ უნდა

თანდათან იძაბება ურთიერთობა “ნანტის” რუმინელ ფორვარდ ვიორელ მოლდოვანსა და გუნდის თავკაც მარკოსს შორის. საქმე იქამდე მივიდა, რომ რუმინელი თავდამსხმელი უკვე ფრანგული კლუბიდან წასვლას ფიქრობს. მოლდოვანის აგენტმა “პარი სუარის” განუცხადა, რომ მისი კლიენტი სეზონის ბოლოს აუცილებლად დატოვებს “ნანტს” და, საერთოდ, საფრანგეთის ჩემპიონატს.

“მოლდოვანს მიწვევა აქვს ამერიკის “მეიჯორ ლიგიდან”, მაგრამ მას ევროპაში სურს კარიერის გაგრძელება. სავარაუდოდ, ის, ალბათ, ისევ შვეიცარიაში დაბრუნდება”, - ამბობს რომინელი ფორვარდის აგენტი.

თავის დროზე მოლდოვანი კარგად თამაშობდა შვეიცარიულ “ქსამაქსში” და “გრასჰოპერში”. “ნანტის” დატოვების შემდეგ რუმინელი, ალბათ, ისევ ამ ორი გუნდიდან ერთ-ერთს აირჩევს.

რომის პაპის ფერხთით დაჩოქილი ზეპ ბლატერი

FIFA-ს შეფს ცოლის შერთვას უკრძალავენ

ნინო პირველი

მსოფლიო ფეხბურთში იოზეფ ბლატერი, თუ მთლად ერთპიროვნული მბრძანებელი არა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება ნამდვილად ბრძანდება: ხუმრობა ხომ არ არის, 66 წლის შვეიცარიელი FIFA-ს ბოსია და ინტერნაციონალურ საფეხბურთო სამყაროს თავის ჭკუაზე ატრიალებს. იმ რვა წლის განმავლობაში, რაც ბლატერი FIFA-ს პრეზიდენტის ფუნქციებს ასრულებს, ბევრმა სცადა მისი სავარძლის შეზანზარება, მაგრამ შეუპოვარი შვეიცარიელის დამხობა ჯერჯერობით ვერავინ შეძლო. როცა საქმე ფეხბურთს ეხება, ზეპ ბლატერი ძლევამოსილია, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში სულაც არ არის ყოვლისშემძლე. ცოტა ხნის წინ FIFA-ს მედიდური შეფი ჯერ სიყვარულმა დააჩოქა, მერე კი – რომის პაპმა.

საქმე ის არის, რომ შვეიცარიელ საფეხბურთო ჩინოვნიკს პირადი ცხოვრების მოწესრიგება სურს. აქამდე ბლატერი ორჯერ იყო დაქორწინებული. პირველ ცოლს გაეყარა, მეორე კი გარდაეცვალა. ცოტა ხნის წინ ბლატერმა მესამედ შეირთო ცოლი. მისი რჩეული გახლავთ 40 წლის გრაციელა, რომლისთვისაც ეს პირველი ქორწინებაა. FIFA-ს თავკაცს სამოქალაქო ქორწინებაზე, რა თქმა უნდა, უარი არ უთხრეს, ეკლესიაში კი ბლატერს პრობლემები შეექმნა. ზეპ ბლატერი ღრმად მორწმუნე ადამიანია და ძალიან უნდა, მისი და გრაციელას სიყვარული ღვთის მსახურებმაც დალოცონ. FIFA-ს ხელმძღვანელმა რომის პაპს დაუჩოქა და დაქორწინების უფლება სთხოვა, რაზეც იოანე-პავლე II-მ უარი განუცხადა. ქორწინება ერთ-ერთია შვიდ საიდუმლოს შორის და წმინდა რიტუალად ითვლება. კათოლიკური ეკლესია განქორწინებას არ სცნობს. ერთხელ ჯვარდაწერილი მეუღლეები სამუდამოდ ერთად უნდა იყვნენ,

იოზეფ ბლატერი


რომის პაპი - იოანე-პავლე II

სანამ სიკვდილი არ გაყრით, - შეუვალი იყო რომის პაპი.

ასეთმა მკაცრმა განაჩენმა მბრძანებლობას შეჩვეული ბლატერი გააოგნა. “ნუთუ სიყვარული ცოდვაა? - გაოცებით იკითხა ბატონმა ზეპმა და კათოლიკე მღვდლის ნაცვლად ევანგელისტ პასტორს დაადგმევინა თავზე გვირგვინი. ეს უკვე გამოწვევა იყო, რომელმაც შვეიცარიის ეპისკოპოსი ძალიან გააღიზიანა. კათოლიკურ ეკლესიას მთლად მწვალებლად რომ არ ჩაეთვალა და ანათემისთვის არ გადაეცა მისი სახელი, ბლატერმა გრძელი წერილი გაუგზავნა შვეიცარიის ეპისკოპოსს ნორბერტ ბრუნერს. FIFA-ს შეფი შეეცადა, ღვთისმსახურისთვის აეხსნა სიყვარულის წამლეკავი ძალა. თუმცა, ბლატერს ვერც ამ ეპისტოლემ უშველა. ეპისკოპოსმა მხცოვანი შეყვარებული პასუხის ღისრად არ ცნო, ციურიხის მღვდელმთავარმა ქრისტოფ კაზეტიმ კი ბლატერისა და გრაციელას ქორწინებას უკანონო უწოდა. “თქვენ ეკლესიის კანონების საწინააღმდეგოდ ცხოვრობთ!” - მკაცრად განუცხადა ბლატერს კაზეტიმ. შემდეგ კი ცოლქმარს ისეთი რამ შესთავაზა, ოცდამეერთე საუკუნეში არც ერთ საღად მოაზროვნე მოკვდავს რომ არ მოუვიდოდა თავში: რაკი ერთმანეთს ვერ ელევით და ერთად ყოფნა გინდათ, მაშინ ცოდვების მოსანანიებლად ბიბლიური იოზეფისა და ღვთისმშობელ მარიამის მსგავსად უნდა იცხოვროთო. მარიამი და იოზეფი კი, ალბათ, გახსოვთ, მხოლოდ ფიქტიურად იყვნენ ცოლ-ქმარი...

ასე რომ, შვეიცარიული ეკლესია მსოფლიო ფეხბურთის ბოსს ქარაგმით ეუბნება: მაინც უკვე ასაკოვანი ხარ, რაღა დროს შენი სექსია, მოდი, ამ სიბერეში სულს ნუ დაიმძიმებ პაპთან დაპირისპირების ცოდვით და ცოლთან წმინდანივით იცხოვრეო...

საინტერესოა, რამდენად მოსწონს ბლატერს პრობლემის გადაჭრის ასეთი მარტივი გზა...

„ანტიკანური“ კამპანია

ოლივერ კანი ახალგაზრდობას ცუდ მაგალითს აძლევს

ნინო პირველი

იყო დრო, როცა მიუნხენის “ბაიერნისა” და გერმანიის ნაკრების მეკარე ოლივერ კანი გერმანიაში ლამის ზეკაცად ითვლებოდა. 2001 წელს “ბაიერნს” ჩემპიონთა ლიგის თასი სწორედ კანის მიერ მოგერიებულმა თერთმეტმეტრიანებმა მოუტანა, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც კანის კარგმა თამაშმა განაპირობა ბუნდესნაკრების ფინალში გასვლა. იაპონიიდან დაბრუნებული “ოლი” მთელმა გერმანიამ გააღმერთა. ფინალში დაშვებული შეცდომების მიუხედავად, გერმანელებმა კანი მაინც ჩემპიონატის გმირად მიიჩნიეს. “ბაიერნის” შეუპოვარი მეკარე ყველასთვის სამაგლითო გახდა. სამწუხაროდ, კანმა ვერ შეიფერა ეს დიდება...

2003 წელი ბავარიელთა მეკარისთვის შფოთიანი და უსიამოვნებებით აღსავსე აღმოჩნდა. კანი ჯერ ორსული მეუღლის ღალატისთვის გახდა საყოველთაო კრიტიკის ობიექტი. საითაც გაიხედავდი, ყველა “ოლისა” და მისი ახალი საყვარლის, 21 წლის ვერენას შესახებ ლაპარაკობდა და კანის მოტყუებულ მეუღლეს – სიმონეს თანაუგრძნობდა. საზოგადოებას არც ის მოეწონა, რომ “ოლიმ” აღარ ისურვა სიმონესთან ცხოვრება და ორი შვილი - 4 წლის კატერინა და ახალშობილი დავიდი მიატოვა.

ოჯახურ სკანდალზე ჯერ ისევ წერდნენ გაზეთები, როცა კანი კიდევ ერთხელ მოხვდა ყვითელი პრესის ფურცლებზე – ამჯერად სიჩქარის გადაჭარბების გამო. იტალიიდან გერმანიაში მიმავალი “ოლი” ჯერ ავსტრიაში გამოიჭირეს რადარებმა, შემდეგ კი გერმანიაში ორჯერ დაფიქსირდა წესების დარღვევა. კანი შეშლილივით მიაქროლებდა თავის ახალ “აუდის”, გვერდით კი მომხიბვლელი ქერათმიანი ქალი ეჯდა – სავარაუდოდ, ახალი სატრფო, ვერენა. როგორც ჩანს, “ბაიერნის” მეკარეს ვარჯიშზე აგვიანდებოდა. მიუნხენში დაბრუნებულ “ოლის” სიჩქარის გადაჭარბებისთვის ჯარიმა გადაახდევინეს და მართვის მოწმობა ორი თვით ჩამოართვეს.

ყველაფერ ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ გერმანიაში კანის იმიჯი საგრძნობლად შეირყა. ახლა ის უკვე აღარ არის ყველასთვის საყვარელი “ოლი”. მთელი გერმანია ხედავს: ბუნდესნაკრების კაპიტანს დიდება ისე აუვარდა თავში, რომ საკუთარ თავს უკვე ყველაფრის უფლებას აძლევს, საშინლად გამომწვევად იქცევა და ანგარიშს აღარავის უწევს. გერმანიაში უკვე სერიოზულად ფიქრობენ კანის “მორჯულებაზე”, რადგან ფეხბურთის მოყვარულთა წრეებში, სადაც კანის ზნეობა არავის აინტერესებს და ყველა მისი კარგი თამაშითაა მოხიბლული, “ბაიერნის” გოლკიპერი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. გერმანიის ნაკრებსა და “ბაიერნს” უამრავი გულშემატკივარი ჰყავს. უმეტესობა, ბუნებრივია, ახალგაზრდები არიან. მათთვის ოლივერ კანი ხელშეუხებელი კერპია. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ რომელიმე მოზარდი თავის საყვარელ ფეხბურთელს მიბაძავს და მოძრაობის წესებს არაფრად ჩააგდებს?

მიუხედავად იმისა, რომ კანმა მიუნხენი ევროპის ერთ-ერთ სპორტულ მეტროპოლად აქცია და უდავოდ ბევრი რამ გააკეთა გერმანული ფეხბურთისთვის, წესრიგისა და ზნეობის მკაცრად დამცველი გერმანელები ფიქრობენ, რომ ეს დიდი ფეხბურთელი სულაც არ არის დიდი ადამიანი და ახალგაზრდობას ცუდ მაგალითს აძლევს. კანის კვარცხლბეკიდან ჩამოგდება მხოლოდ გერმანიაში როდი სურთ – “ბაიერნის” გოლკიპერს არც ავსტრიული თუ შვეიცარიული პრესა აკლებს კრიტიკას. მოკლედ, გერმანულენოვანი სამყაროს მკაცრი მორალისტები “ბაიერნის” მეკარის წინააღმდეგ დაილაშქრნენ და ენერგიულად ცდილობენ მის გამოსწორებას. ვნახოთ, რა გამოვა ამ “ანტიკანური” კამპანიიდან.

ოლივერ კანი

ქორწილის ნაცვლად - პოლიციაში

ბრაზილიელი ფორვარდი ალიტონი ბრემენის “ვერდერის” ერთ-ერთ ლიდერად ითვლება და გერმანიაში დიდად პოპულარულია. გერმანელები ტემპერამენტიან სამხრეთამერიკელს თუნდაც იმიტომ სცემენ პატივს, რომ მას მიმდინარე სეზონში თექვსმეტი გოლი აქვს გატანილი და ბუნდესლიგის საუკეთესო გოლეადორი გახლავთ. როცა ალიტონი ფორმიდან ამოვარდნილია და მეტოქის კარის დალაშქვრას ვერ ახერხებს, “ვერდერი” უმეტესად უგოლოდ ტოვებს მოედანს და საჭირო ქულებს კარგავს. მოკლედ, ბრაზილიელი თავდამსხმელი ბრემენული კლუბისთვის მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა, ამიტომაც ვერ დარჩა მისი პირადი პრობლემები საზოგადოების ყურადღების მიღმა...

28 წლის ალიტონს უსიამოვნება შეემთხვა თავის მეგობარ გოგონასთან, მექსიკელ როზალისთან. ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, ფეხბურთელი ქალს ხელითაც შეეხოო. არავინ იცის, რა გახდა ჩხუბის მიზეზი, ბრაზილიელი ამის შესახებ არაფერს ამბობს. როზალი ისე გაბრაზდა ალიტონზე, რომ მექსიკაში გაიქცა და დაბრუნება აღარც უფიქრია. ჭორიკანა ჟურნალისტების აზრით, კონფლიქტის მიზეზი ალიტონის ღალატი უნდა ყოფილიყო. როზალი ფეხბურთელთან ჯერ დაქორწინებული არ არის, თუმცა, წყვილს უკვე ორი გოგონა ჰყავს - მარია ფერნანდა და ალექსანდრა როზალი. მექსიკის მოქალაქე როზალის უფლება აქვს, მხოლოდ სამი თვე დარჩეს გერმანიაში, სხვა სახის ვიზა მას არ ეკუთვნის. სამი თვის შემდეგ ის აუცილებლად უნდა დაბრუნდეს სამშობლოში და ახალი ვიზის მიღებამდე ერთი თვე გაატაროს მექსიკაში. ამის გამო ალიტონი ხშირად მარტოა და აბა, რა გასაკვირია, რომ ზოგჯერ გართობის უფლებას აძლევს თავს? “ჩვენ, ბრაზილიელებს, აუცილებლად გვჭირდება სექსი თამაშის წინ”, - თავს იმართლებს ფეხბურთელი. ვერაფერს იტყვი, საფუძვლიანი მიზეზია!

რაკი როზალიმ ღალატი და შეურაცხყოფა ვერ აიტანა და მექსიკაში გაიქცა, ალიტონი დადგა მეგობრის დაკარგვის სერიოზული საფრთხის წინაშე. ბოლო დროს ბრაზილიელი შეიცვალა - დისკოთეკებზე აღარ დადის, გულმოდგინედ ვარჯიშობს და ისეთი სევდიანია, რომ აღარც კი იღიმება. როგორც ჩანს, ალიტონი მძიმედ განიცდის როზალისთან დაშორებას. მან თავის სატრფოს უკვე სთხოვა უკან დაბრუნება და იმდენს მიაღწია, რომ როზალი ცოტათი დაცხრა – ახლა ის ტელეფონით ესაუბრება ფეხბურთელს.

ამ წარმატებამ ალიტონს ფრთები შეასხა და დაქორწინებაზეც კი ალაპარაკდა. ჟურანლისტები ამაოდ ცდილობენ, გაარკვიონ, რატომ გაიმეტა საცემად ალიტონმა თავისი მეგობარი. ფეხბურთელს არაფრის თქმა არ სურს, იმას კი ვერ მალავს, რომ როზალისთან სერიოზული კონფლიქტი მოუხდა, იმდენად სერიოზული, რომ ქალმა პოლიციაშიც კი უჩივლა. “ისეთი არაფერი, უბრალო წვრილმანი იყო, რომელიც ჟურნალისტებმა გაბერეს. მალე ყველაფერი მოგვარდება და დავქორწინდებით კიდეც”, - თავს იმშვიდებს ალიტონი.

დაქორწინების რა მოგახსენოთ, პოლიციაში გამოცხადება კი ნამდვილად მოუწევს ტემპრამენტიან ბრაზილიელს. მიუხედავად იმისა, რომ როზალის თითქოს წყენამ გაუარა, საჩივარი მაინც არ გამოუტანია პოლიციიდან. ცოტა ხნის წინ ალიტონმა უწყებაც მიიღო, ჩვენების მისაცემად მობრძანდითო. ალიტონს ახლა ორი გზა აქვს - ან როზალის უნდა დაუჩოქოს და შეეხვეწოს, საჩივარი გამოიტანეო, ან პოლიციაში გამოცხადდეს და სამართალდამცველებს დეტალურად აუხსნას, რატომ ეჩხუბა მეგობარ ქალს. გერმანელი ჟურნალისტები იმედოვნებენ, რომ ორივე შემთხვევაში მოვლენები საინტერესოდ წარიმართება და გასართობი არ მოაკლდებათ ყვითელი პრესის მოყვარულ მკითხველებს...

აილტონი

ფეხბურთი

რუსეთის ნაკრები - მე-10 ჯგუფის ფარული ლიდერი

ვის როგორ მოუხდა საფეხბურთო ციებ-ცხელება

მიხეილ აბაიშვილი

2 აპრილს ევროპას, ეროვნულ ნაკრებთა დონეზე, მეორე საფეხბურთო ციებ-ცხელება შეეყარა. თუ ეს "ავადმყოფობა" ზოგიერთებისთვის სატურნირო მდგომარეობის სრული გაჯანსაღებით და ლამის ჯიბეში ჩადებული ევროპის ჩემპიონატის საგზურით მიილია, ზოგს ხანგრძლივი ქრონიკული სახადი და უიმედო მდგომარეობა დაუტოვა. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრები ამ უკანასკნელთა რიგში აღმოჩნდა და ნაკრების ახალ მწვრთნელს, რომელსაც ფეხბურთის ფედერაცია ერთ კვირაში დაასახელებს, შესარჩევი ციკლის დარჩენილ თამაშებში სერიოზული სარეანიმაციო კურსის ჩატარება მოუწევს, რათა მომავალ შესარჩევ ციკლს მაინც შედარებით ჯანმრთელად შეხვდეს. თუმცა, დროებით თავი დავანებოთ აგონიაში მყოფ ჩვენს ნაკრებს და ვნახოთ, რა მოხდა დანარჩენ ევროპაში.

მე-10 შესარჩევ ქვეჯგუფში, საქართველო-შვეიცარიის მატჩის პარალელურად, გაიმართა ერთი შეხვედრა, რომელშიც რუსეთის ძლევის შემდეგ ამბიციამოჭარბებულმა ალბანეთის ნაკრებმა ქართველთა დამარცხებით იმედმიცემულ ირლანდიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა. 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონის, გერმანელი ჰანს-პეტერ ბრიგელის მიერ დამოძღვრილმა ალბანელმა "არწივებმა" არც ბრიტანელებს დაუდეს ტოლი და მთელი თამაში შეტევებში გაატარეს. თბილისის მატჩისგან განსხვავებით, ირლანდიელთა ახალ დამრიგებელს, ბრაიან კერის გუნდს რობი კინიც შეუერთდა და მან ძირითად შემადგენლობაშიც დაიწყო თამაში, მაგრამ იგი ჯერ აშკარად არ არის ფორმაში, რის გამოც კერიმ 67-ე წუთზე გამოცვალა კიდეც. მის ნაცვლად მოედანზე გამოჩნდა თბილისში გამარჯვების გოლის გამტანი დოჰერტი, მაგრამ ამჯერად მას თავი არაფრით გამოუჩენია. მართალია, ირლანდიელებმა მატჩის მიწურულს ორი გოლი გაიტანეს, მაგრამ ერთხელ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა, ხოლო მეორედ ირლანდიელთა მხრიდან თამაშის წესის სხვა დარღვევა აღნიშნა. საბოლოოდ, საქართველო-შვეიცარიის მატჩის მსგავსად, ეს შეხვედრაც ნულოვანი საყაიმო ანგარიშით დასრულდა.

ჰანს-პეტერ ბრიგელი: "თბილისსა და ტირანაში მატჩების ფრედ დასრულება რუსეთის ნაკრების წისქვილზე ასხამს წყალს. "შკოდერის კოშმარის" (რუსეთის ნაკრებმა ალბანელებთან მტკივნეული მარცხი ქალაქ შკოდერში იწვნია,-რედ.) შემდეგ ეს რუსებთან დაკავშირებით, შესაძლოა, ცოტა ირონიულად ჟღერს, მაგრამ ფაქტია: რუსეთის ნაკრები, დაკარგული ქულების მიხედვით, ჯგუფის ლიდერად რჩება."

ბრაიან კერი: "საერთოდ, არასდროს ვსაუბრობ მსაჯის შეცდომებზე. ამჯერად მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ დღევანდელ მატჩში მსაჯის აშკარა შეცდომებმა სამი ქულა დაგვაკარგინა და გასვლით შეხვედრებში, დაგეგმილი 6-ის ნაცვლად, სამშობლოში 4 ქულით ვბრუნდებით. ამის მიუხედავად, უკმაყოფილო არა ვარ, რადგან ოთხ დღეში ჩატარებული ორი მატჩით დავამტკიცეთ, რომ ირლანდიის ნაკრები, შესუსტებული შემადგენლობის მიუხედავად, ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთ ლიდერად რჩება. ჩვენ შეგვწევს ძალა, ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის ბრძოლა გავაგრძელოთ."

საქართველო - შვეიცარია: კაბანასი კობიაშვილის წინააღმდეგ.

პირველ შესარჩევ ჯგუფში საგზურის ბედი პრაქტიკულად გაირკვა. მსოფლიოს ექსჩემპიონმა და ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა, საფრანგეთის ნაკრებმა ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო. ამჯერად "სამფეროვნებმა" დაჯაბნეს ისრაელის ნაკრები. ერაყში მიმდინარე ომის გამო თამაში ნეიტრალურ მოედანზე, კერძოდ, იტალიის ქალაქ პალერმოში ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში ნომინალურმა მასპინძლებმა გახსნეს ანგარიში. დებიუტშივე, კერძოდ, მე-2 წუთზე, ბარტეზს აფეკმა გაუტანა გოლი. "სტუმრებს" სულ 20 წუთი დასჭირდათ ანგარიშის გასათანაბრებლად. საყაიმო გოლი ტიერი ანრის ანგარიშზეა, ხოლო მორიგი სამი ქულა ფრანგებს მოუტანა ზინედინ ზიდანმა – მის მიერ საჯარიმო მოედნის მისადგომებიდან დარტყმულ ბურთს ებრაელთა მეკარე ავათმა ვერაფერი მოუხერხა. ეს 45-ე წუთზე მოხდა. მეორე ტაიმში ანგარიში არ შეცვლილა.

ამავე ჯგუფში სლოვენიის ნაკრებმა კვიპროსის ეროვნულ გუნდს აკადემიურად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, ანგარიშით 4:1 მოუგო და პლეი-ოფში თამაშის საუკეთესო შანსს ინარჩუნებს.

დღის მთავარი სენსაცია მე-2 ჯგუფში მოხდა. დანიის ნაკრებმა, რომელმაც 4 დღის წინ ბუქარესტში დიდი ანგარიშით (5:2) დაამარცხა მასპინძელი, რუმინეთის ეროვნული გუნდი, საკუთარ მოედანზე არათუ ვერ შეძლო უპრეტენზიო ბოსნიელთა დამარცხება, არამედ თავად დამარცხდა, თანაც, სოლიდური ანგარიშით (0:2) და სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე გადასვლის შანსი ხელიდან გაუშვა. დანიელებმა ბარბერასმა და ბალიჩმა ორი უპასუხო გოლი გაიტანეს და ბოსნიის ნაკრები აგრძელებს ბრძოლას ევრო 2004-ის ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის. ამავე ჯგუფში, ლუქსემბურგთან გასვლით მატჩში პრობლემა არ ჰქონია ნორვეგიის ნაკრებს. თუმცა, წერტილოვანი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა 60 წუთი "მშრალად" შეინახეს საკუთარი კარი. 63-ე წუთზე ჯერ რუსფალტმა დააწინაურა თავისი გუნდი, ხოლო 7 წუთში სოლსკიაერმაც გამოიჩინა თავი და ნორვეგია ერთპიროვნულად ჩაუდგა ცხრილს სათავეში.

მე-3 ქვეჯგუფს ორი გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს – ნიდერლანდები და ჩეხეთი. ამ გუნდების პირველი რანდევუ 29 მარტს გაიმართა და ეს მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა. ორი დღის წინ ჩეხებმაც და ჰოლანდიელებმაც რიგითი ქულები ჩაიწერეს აქტივში. თუმცა, თუ ჩეხეთის ნაკრებს, რომელმაც საკუთარ მოედანზე ავსტრია გამანადგურებელი ანგარიშით (4:0) დაამარცხა, ამაში პრობლემა არ შეჰქმნია, ჰოლანდიელებს გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდათ მოლდოველების კიშინიოვში დასაშამათებლად. თავიდან მასპინძლები იგებდნენ კიდეც – მე-16 წუთზე ბერეცმა გამოიჩინა თავი, თუმცა "მანჩესტერ იუნაიტედის" საუკეთესო თავდამსხმელმა, ვან ნისტელროიმ 37-ე წუთზე აღადგინა წონასწორობა. გამარჯვების გოლი ჰოლანდიელებმა საფინალო სასტვენამდე 6 წუთით ადრე გაიტანეს. ტიტების ქვეყნის წარმომადგენელთათვის სამი ქულის მომტანი დარტყმა ვან გომელმა შეასრულა.

მე-4 ჯგუფშიც ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. პოლონეთმა საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარა სან-მარინოს (6:0), ხოლო შვედეთის ეროვნულმა გუნდმა სტუმრად დაამარცხა უნგრეთის ნაკრები (2:1). ამ ტურში არ უთამაშია ლატვიის ნაკრებს, რომელიც დაკარგული ქულებით პირველ ადგილზე რჩება.

დანარჩენი შეხვედრებიდან გამოსარჩევია ლიტვის ნაკრების მორიგი წარმატება. ამ გუნდმა, რომელიც წინა შესარჩევ ციკლში ორჯერ დავამარცხეთ საერთო ანგარიშით 6:0, გერმანიასთან სტუმრად მოპოვებული სენსაციური ფრეს შემდეგ შოტლანდიის ნაკრები სულაც უქულოდ გაუშვა შინ. მატჩში გავიდა ერთადერთი გოლი, რომლის ავტორი რაჟენაუსკასია.

დღეისთვის ჯგუფებში ასეთი მდგომარეობაა

I ჯგუფი

სლოვაკეთი - კვიპროსი 4:1
ისრაელი - საფრანგეთი 1:2

საფრანგეთი	5	5	0	0	19-2	15
სლოვაკეთი	3	2	0	1	7-6	6
ისრაელი	3	1	1	1	4-3	4
კვიპროსი	4	1	1	2	5-8	4
მალტა	5	0	0	5	1-17	0

II ჯგუფი

დანია - ბოსნია 0:2
ლუქსემბურგი - ნორვეგია 0:2

ნორვეგია	4	3	1	0	7-2	10
დანია	4	2	1	1	9-6	7
რუმინეთი	4	2	0	2	12-6	6
ბოსნია	4	2	0	2	4-5	6
ლუქსემბურგი	4	0	0	4	0-13	0

III ჯგუფი

მოლდოვა - ჰოლანდია 1:2
ჩეხეთი - ავსტრია 4:0

ჩეხეთი	4	3	1	0	9-1	10
ჰოლანდია	4	3	1	0	9-2	10
ავსტრია	4	2	0	2	4-7	6
ბელორუსი	4	1	0	3	2-8	3
მოლდოვა	4	0	0	4	2-8	0

IV ჯგუფი

პოლონეთი - სან-მარინო 5:0
უნგრეთი - შვედეთი 1:2

პოლონეთი	4	2	1	1	7-1	7
ლატვია	3	2	1	0	2-0	7
უნგრეთი	4	1	2	1	5-3	5
შვედეთი	3	1	2	0	3-2	5
სან-მარინო	4	0	0	4	0-11	0

V ჯგუფი

ლიტვა - შოტლანდია 1:0

გერმანია	3	2	1	0	5-2	7
შოტლანდია	4	2	1	1	6-4	7
ლიტვა	5	2	1	2	4-6	7
ისლანდია	3	1	0	2	4-4	3
ფარერები	3	0	1	2	3-6	1

VI ჯგუფი

ჩრდ. ირლანდია - საბერძნეთი 0:2
ესპანეთი - სომხეთი 3:0

ესპანეთი	4	3	1	0	10-2	10
უკრაინა	4	1	3	0	6-4	6
საბერძნეთი	4	2	0	2	4-4	6
სომხეთი	4	1	1	2	3-7	4
ჩრდ. ირლანდია	4	0	1	3	0-6	1

VII ჯგუფი

სლოვაკეთი - ლიხტენშტაინი 4:0
ინგლისი - თურქეთი 2:0

ინგლისი	4	3	1	0	8-3	10
თურქეთი	4	3	0	1	10-3	9
სლოვაკეთი	4	2	0	2	7-5	6
მაკედონია	4	0	2	2	4-7	2
ლიხტენშტაინი	4	0	1	3	1-12	1

VIII ჯგუფი

ესტონეთი - ბულგარეთი 0:0
ხორვატია - ანდორა 2:0

ბულგარეთი	4	3	1	0	6-1	10
ხორვატია	4	2	1	1	6-2	7
ბელგია	4	2	0	2	2-6	6
ესტონეთი	3	0	2	1	0-1	2
ანდორა	3	0	0	3	1-5	0

IX ჯგუფი

სერბეთი - უელსი გადაიდო

უელსი	4	4	1	0	10-1	12
იტალია	4	2	1	1	6-3	7
სერბეთი	3	1	2	0	5-3	5
ფინეთი	4	1	0	3	3-6	3
აზერბაიჯანი	5	0	1	4	2-13	1

X ჯგუფი

საქართველო - შვეიცარია 0:0
ალბანეთი - ირლანდია 0:0

შვეიცარია	4	2	2	0	7-3	8
რუსეთი	3	2	0	1	9-6	6
ალბანეთი	4	1	2	1	5-6	5
ირლანდია	4	1	1	2	5-7	4
საქართველო	3	0	1	2	2-6	1

ფორმულა 1

„ფერარი„ დიდ გულზეა

წლევანდელ სეზონში "ფერარის" მოულოდნელად სუსტმა სტარტმა მიხაელ შუმახერს მოტივაცია მხოლოდ გაუძლიერა. მისთვის ბრაზილიის გრან-პრის მოგება პრინციპის საქმე გახდა. შარშან ხომ სწორედ შუმახერის ტრიუმფით დასრულდა ბრაზილიის დიდი რბოლა.

"პირველ ორ რბოლაში, უბრალოდ, არ გაგვიმართლა, ამიტომ მომდევნო გრან-პრის მოუთმენლად ველი, – ამბობს ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, – ინტერლაგოსი ძალიან მომწონს. ეს ტრასა პილოტაჟის მიმართ უაღრესად პრეტენზიულია, ამიტომ რბოლა ყოველთვის მძიმეა. გარდა იმისა, რომ მოძრაობა საათის საწინააღმდეგო მხარეს მიმდინარეობს, ტრასა მეტისმეტად უსწორმასწოროა და რბოლა ბოლიდებს დიდ ტვირთად აწვება. აქ ბევრი მოსახვევია და იმისთვის, რომ ოპტიმალური ტრაექტორია შეარჩიო, იძულებული ხდები, საჭე განუწყვეტლივ აკონტროლო. უფრო სწორად, მინდა ვთქვა, რომ ამოსუნთქვის საშუალება არ გეძლევა. F2002-მა დაამტკიცა, რომ საიმედო მანქანაა. ეს კი ბრაზილიის გრან-პრიზე ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ კიდევ ერთი უპირატესობა გვაქვს – რუბენსი ბრაზილიელია, ამიტომ ტრიბუნების მხარდაჭერა, პრაქტიკულად, გარანტირებულია. მოკლედ, ჩვენ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ამისთვის ყველა შანსი გვაქვს".

მიხაელ შუმახერის მეწყვილე რუბენს ბარიკელო სამშობლოში ერთი კვირის წინათ ჩავიდა. მისთვის ბრაზილიის გრან-პრი სეზონის პიკია. მალაიზიაში ნაჩვენები მეორე შედეგის შემდეგ, ბარიკელო თავისი გულშემატკივრების წინაშე გამარჯვებაზე უარს ნამდვილად არ იტყოდა. თუმცა, ბრაზილიაში ფორტუნა არასოდეს ყოფილა ბარიკელოსადმი კეთილგანწყობილი. სეზონის პირველი რბოლები უაღრესად საინტერესო, მაგრამ ამავე დროს ამოუცნობი გამოდგა. "ფერარის" პილოტები ფიქრობენ, რომ მესამე რბოლა ძალთა რეალურ თანაფარდობაზე გარკვეულ წარმოდგენას შექმნის.

"ყველას მიაჩნია, რომ სეზონის ნამდვილი პირველი რბოლა უმოლაში გაიმართება, მე კი მგონია, რომ უკვე ბრაზილია დაგვანახებს ჩემპიონატში ძალთა რეალურ განლაგებას, – ამბობს რუბენს ბარიკელო, - ახალი წესები, რასაკვირველია, ხელს უშლის სიტუაციის საფუძვლიან შეფასებას. ტრასა ძალიან მომთხოვნია როგორც პილოტების, ისე ტექნიკის მიმართ. საათის საწინააღმდეგო მხარეს მოძრაობა ყელს უაღრესად ღლის. უსწორმასწორო გზა კი ძრავებს დამატებით დატვირთვას აძლევს. ასე რომ, მე თვალსასეირო რბოლას ველი და, როგორც ვიცი, ბილეთები ძალიან კარგად იყიდება".

